

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ირმა ლენგ

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო
ურთიერთობები გლობალურ ბიზნეს გარემოში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
შოთა შაბურიშვილი

თბილისი

2023

აბსტრაქტი

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ხანგრძლივი ისტორია აქვს. კვლევის აქტუალობა ერთის მხრივ მდგომარეობს საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლაში და მეორეს მხრივ ემპირიული კვლევის ჩატარებაში, რაც მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში აშშ-თან საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალის შეფასებისა და ორ ქვეყანას შორის სამომავლო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

- განისაზღვრა ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროში გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალების ზემოქმედების მექანიზმი;
- ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია გრავიტაციული მოდელი, როგორც დიდი და მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების და სავაჭრო პოტენციალის ემპირიული კვლევის სასარგებლო ინსტრუმენტი;
- დადგენილია საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები, განსაზღვრულია მათი განვითარების პერსპექტივები და შესწავლილია ორი ქვეყნის თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზა;
- შედარებითი PESTEL ანალიზის საფუძველზე აგებულია მეტა-მატრიცა, რომელიც ასახავს გლობალური კონტექსტით ორი ქვეყნის ბიზნეს-გარემოს წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევებს და მათი გადაჭრის რეკომენდაციებს;
- გამოვლენილია საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობების ობიექტური საფუძვლები, გაანალიზებულია ორი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა და მასზე მოქმედი ფაქტორები;
- საქართველო - ამერიკის შეერთებული შტატებს შორის განხორციელებული ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე გაანალიზებულია პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის (GSP-ს) თანამედროვე მდგომარეობა და გამოვლენილია მისი გაღრმავების შესაძლებლობები;

- ემპირიულად დადგენილია, რომ მშპ და ქვეყნებს შორის საერთო საზღვარი სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს საქართველოს სავაჭრო ნაკადებზე პარტნიორ ქვეყნებთან;
- მონაცემთა ემპირიული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სავაჭრო გახსნილობა, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები, გეოგრაფიული დისტანცია, რელიგია და საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უარყოფით ზემოქმედებას ახდენს საქართველოს სავაჭრო ნაკადებზე პარტნიორ ქვეყნებთან;
- დადგენილია, რომ საქართველოს სავაჭრო ნაკადებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს პარტნიორი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა;
- გამოვლენილია, რომ საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-სთან სუსტია, მიუხედავად მისი დიდი და მიმზიდველი ბაზრისა.

სადისერტაციო კვლევის მიზანია საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი გლობალურ ბიზნეს-გარემოში. ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა, თანამშრომლობის პერსპექტივებისა და მისი გაღრმავების შესაძლებლობების დადგენა, აგრეთვე აშშ-თან საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალის შეფასება თავისუფალი ვაჭრობის (FTA) პერსპექტივის ჩათვლით.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

- ბიზნესის გლობალიზაციის ფენომენის შესწავლა და მისი მამოძრავებელი ძალების წარმოჩენა;
- ქვეყნებს შორის ვაჭრობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების ანალიზი;
- საერთაშორისო ბიზნესში საქართველოსა და აშშ-ის ადგილისა და როლის აღწერა;

- საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობის მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლების განხილვა;
- საქართველოსა და აშშ-ის ბიზნეს-გარემოს შედარებითი PESTEL ანალიზი;
- საქართველოსა და აშშ-ის ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზისა და მისი დინამიკის წარმოჩენა გლობალიზაციის პირობებში;
- ემპირიული კვლევის სტრატეგიის და მოდელის განსაზღვრა;
- მონაცემთა შეგროვება და ბაზის შექმნა;
- მონაცემთა დამუშავება და ანალიზი;
- შედეგების ინტერპრეტაცია და რეკომენდაციების შემუშავება.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისაგან: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა.

პირველ თავში „საერთაშორისო ვაჭრობა გლობალიზაციის პირობებში“ განისაზღვრა ბიზნესის გლობალიზაციის ფენომენი და მისი მამოძრავებელი ძალების ზემოქმედების მექანიზმი; ჩამოყალიბდა სახელმწიფოთა თანამშრომლობის თეორიული საფუძვლები და განისაზღვრა შესაბამისი ემპირიული კვლევების ანალიზი; გაანალიზდა საქართველოსა და აშშ-ის ადგილი და როლი მსოფლიო სავაჭრო სივრცეში.

მეორე თავში „საქართველოსა და აშშ-ის ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძვლები“ გამოვლენილია ორი ქვეყნის თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები; PESTEL ანალიზის საშუალებით მოვახდინეთ ორი ქვეყნის ბიზნეს გარემოს შედარება. მიღებული შედეგები ჩამოყალიბებულია მეტა-მატრიცაში, მიმდინარე ტენდენციების, გამოწვევებითა და საჭირო რეკომენდაციებით; წარმოდგენილია ორი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზი და მისი დინამიკა გლობალიზაციის პირობებში.

მესამე თავში „კვლევის სტრატეგია და მონაცემთა ანალიზი“ წარმოდგენილია ემპირიული კვლევა, რომლის მიზანი იყო გრავიტაციის რეგრესიული განტოლების

შედეგებზე დაყრდნობით შეგვესწავლა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორები და გამოგვეთვალა საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-თან.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პრაქტიკული და თეორიული მონაცემების ემპირიული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები.

კვლევა ეყრდნობა გრავიტაციის რეგრესიული განტოლების გამოყენებით საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების ემპირიულ ანალიზს, რომელიც განხორციელდა საქართველოსა და 44 პარტნიორი ქვეყნის მაგალითზე. გაანგარიშებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალი აშშ-თან. აგრეთვე განხორციელდა საქართველოსა და აშშ-ის ბიზნეს გარემოს კვლევა PESTEL ანალიზის საშუალებით.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებისას, ასევე საგანმანათლებლო პროცესში საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული კურსების სწავლებისას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ბიზნეს-გარემო, საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო პოტენციალი, სავაჭრო პოლიტიკა, PESTEL ანალიზი, გრავიტაციის მოდელი.

Abstract

Georgia and the U.S. have a long history of cooperation in political, economic, and cultural arenas. The importance of this research lies in studying the factors affecting Georgia's foreign trade and in conducting empirical research. These factors are important for assessing the potential of Georgia's foreign trade with the US in the context of globalization and further deepening future relations between the two countries.

The scientific novelty of the dissertation is:

- The driving forces of globalization in the economic, political, and public spheres of countries have been determined;
- Based on the analysis of the literature, the gravity model is highlighted as a useful tool for empirical research on factors affecting trade between countries with large and small economies and assessing trade potential;
- Priority areas of cooperation between Georgia and the United States have been established, prospects for their development have been determined, and the legal framework for cooperation between the two countries has been studied;
- Based on the comparative PESTEL analysis, a meta-matrix is built that reflects the main challenges facing the business environment of the two countries in the global context and makes recommendations for their solutions;
- The objective foundations of trade relations between Georgia and the United States are revealed, and the modern economic situation of the two countries and the factors affecting it are analyzed;
- On the basis of the retrospective analysis of exports and imports between Georgia and the United States, the modern situation of the preferential trade system (GSP) is analyzed and the possibilities of its deepening are revealed;
- It has been empirically established that GDP and the common border between the countries have a statistically significant positive impact on Georgia's trade flows with partner countries;

- Based on the empirical analysis of the data, it was revealed that trade openness, free trade agreements, geographical distance, religion, and the population of Georgia have a negative impact on Georgia's trade flows with partner countries;
- It is determined that the population of the partner country has a statistically significant positive effect on the trade flows of Georgia;
- It has been revealed that Georgia's trade potential with the U.S. is weak, despite its large and attractive market.

The aim of the dissertation research is to analyze the trade relations between Georgia and the United States in the global economic environment.

Research factors affecting the development of trade between the two countries, identifying prospects for cooperation and opportunities for its deepening, as well as assessing the potential of Georgia's foreign trade with the United States, including the prospect of free trade (FTA).

Based on the main purpose of the dissertation research, the following tasks are defined in the thesis:

- Studying the phenomenon of business globalization and presenting its driving forces;
- Analysis of theoretical-methodological issues of trade between countries;
- Description of the place and role of Georgia and the United States in international business;
- Discussion of the reasons and legal grounds for cooperation between Georgia and the United States;
- A comparative PESTEL analysis of the business environment of Georgia and the United States;
- A retrospective analysis of Georgia and US exports and imports and their dynamics in the context of globalization;

- Defining an empirical research strategy and model;
- Data collection and database creation;
- Data processing and analysis;
- Interpretation of results and development of recommendations.

The dissertation consists of four parts: an introduction, a main section, a conclusion, and applied literature.

In the first chapter "International trade in conditions of globalization", the phenomenon of business globalization and the mechanism of influence of its driving forces were defined; the theoretical foundations of cooperation between states were established, and the analysis of relevant empirical studies was defined; the place and role of Georgia and the United States in the World Trade Area were analyzed.

In the second chapter, "Fundamentals of Georgia-U.S. Economic Cooperation," priority areas of cooperation between the two countries are identified; through PESTEL analysis, we compared the business environments of the two countries. The results obtained are formulated in a meta-matrix with current trends, challenges, and necessary recommendations; a retrospective analysis of the export-import of the two countries and its dynamics in the conditions of globalization is presented.

The third chapter, "Research Strategy and Data Analysis," presents an empirical study that aimed to study the factors affecting Georgia's foreign trade based on the results of the gravity regression equation and calculate Georgia's trade potential with the United States.

The final section presents the findings based on empirical analysis of the practical and theoretical material offered in the doctoral thesis.

The study is based on an empirical analysis of factors affecting Georgia's foreign trade using a gravity regression equation, carried out on the example of Georgia and 44 partner countries.

Georgia's foreign trade potential with the U.S. has also been calculated, and the study of the business environment of Georgia and the U.S. has been carried out through PESTEL analysis.

The results of the research can be used in the development of the country's foreign trade policy as well as in the educational process of international trade courses.

Keywords: globalization, business environment, international trade, trade potential, trade policy, PESTEL analysis, gravity model.

შინაარსი

აბსტრაქტი	2
შესავალი	13
თავი I. საერთაშორისო ვაჭრობა გლობალიზაციის პირობებში	
1.1 ბიზნესის გლობალიზაციის ფენომენი და მისი მამოძრავებელი ძალები	26
1.2 საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული და ემპირიული კვლევების ანალიზი	37
1.3 საქართველოსა და აშშ-ის ადგილი გლობალურ ბიზნეს-გარემოში	53
თავი II. საქართველოსა და აშშ-ის ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძვლები	
2.1 საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის მიზეზები და სამართლებრივი საფუძვლები	58
2.2 საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნეს-გარემოს შედარებითი PESTEL ანალიზი გლობალური კონტექსტით	65
2.3 საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზი	103
თავი III. კვლევის სტრატეგია და მონაცემთა ანალიზი	
3.1 კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ბაზის ფორმირება	114
3.2 მონაცემთა ანალიზი და ემპირიული კვლევის შედეგები	119
დასკვნა	125
გამოყენებული ლიტერატურა	129

ცხრილების ნუსხა:

ცხრილი 1. პარადიგმების ცვლილებები ცივი ომიდან გლობალიზაციის ეპოქამდე.....	29
ცხრილი 2. ადამიანის თავისუფლების ინდექსი (HFI) 2020.....	70
ცხრილი 3. ადამიანის თავისუფლების ინდექსი (ნაკრები HFI) 2020	71
ცხრილი 4. საქართველო - აშშ რეიტინგი 2019-2020 წლების ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით	74
ცხრილი 5. საქართველოსა და აშშ-ის რეიტინგი ბიზნესის წარმოების პირობების მიმზიდველობით 2019-2020 წლებში	75
ცხრილი 6. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 4.0 2019 წლის ანგარიში.....	78
ცხრილი 7. საქართველოსა და აშშ-ის 2018-2021 წლების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები	81
ცხრილი 8. მსოფლიო ბანკი - ჯინის ინდექსი 2018-2019	85
ცხრილი 9. გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი EPI - 2020 (180 ქვეყნის გლობალური (EPI) რეიტინგი, ქულები და რეგიონალური რეიტინგები (REG)	89
ცხრილი 10. კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) 2019-2021 წლებში	92
ცხრილი 11. მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსი (WJP) კატეგორიების მიხედვით 2021 წელი	94
ცხრილი 12. PESTEL - ანალიზის შედეგების შეჯამება მეტა - მატრიცაში	96
ცხრილი 13. აშშ-ს ხვედრითი წონის დინამიკა საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში 2012-2022 წლებში	106
ცხრილი 14. აშშ-სთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სალდოს დინამიკა 2011-2022 წლებში	108
ცხრილი 15. აშშ-ის ბაზარზე საქართველოს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფები 2019-2022 წლებში	110
ცხრილი 16. აშშ-დან საქართველოში იმპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფები 2019-2022 წლებში	112
ცხრილი 17. საქართველოს 44 სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ჩამონათვალი	115

ცხრილი 18. ცვლადების განსაზღვრა	117
ცხრილი 19. პანელის ჯვარედინი დამოკიდებულების (CD) ტესტი	119
ცხრილი 20. გრავიტაციული მოდელის შედეგები (დამოკიდებული ცვლადი: საქართველოს მთლიანი ვაჭრობა პარტნიორ ქვეყნებთან)	120

დიაგრამების ნუსხა:

დიაგრამა 1. ქვეყნები გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით 2018-2019	36
დიაგრამა 2. აშშ-იდან განხორციელებული პუი 2016-2022 წლებში	63
დიაგრამა 3. დემოკრატიის ინდექსები 2016-2020 წლებში	68
დიაგრამა 4. დემოკრატიის ინდექსები კატეგორიების მიხედვით	68
დიაგრამა 5. ბიზნესის კეთების ანგარიში - Doing Business 2019-2020 წლების რეიტინგები	77
დიაგრამა 6. 2021 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსები კატეგორიების მიხედვით.....	86
დიაგრამა 7. ქვეყნების ჯგუფების წილი ექსპორტსა და იმპორტში 2022 წლის მდგომარეობით	105
დიაგრამა 8. საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-სთან (EGLS)	123
დიაგრამა 9. საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-სთან (ორი ეტაპიანი -EGLS) (Two stage -EGLS)	123
დიაგრამა 10. საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-სთან (GMM)	124

სქემების ნუსხა:

სქემა 1. მაიკლ პორტერის რომბის მოდელი ოთხი დეტერმინანტით	44
სქემა 2. განზოგადებული ორმაგი რომბის მოდელი	46

შესავალი

კვლევის აქტუალურობა

XXI საუკუნეში ქვეყნების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისკენ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკების ურთიერთ დამოკიდებულება. მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მსოფლიოს თითოეული ქვეყანა ცდილობს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვას (The World Bank, 2022). ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარი ხელის შემწყობია მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი (შაბურიშვილი, 2017).

XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურად ჩაერთო. საქართველომ პარტნიორული ურთიერთობები მრავალ ქვეყანასთან დაამყარა და განვითარების მთავარ გზად მსოფლიო და რეგიონულ სამეურნეო სტრუქტურებში ინტეგრაცია აირჩია. ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრინციპი, საქართველოს გამომარჩევს მსოფლიოში ყველაზე კონკურენტულ სავაჭრო პოლიტიკის მქონედ (MESDG, 2023).

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველოსთვის ამერიკის შეერთებული შტატები სტრატეგიული პარტნიორია და პირიქით, აშშ საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირედ მოიაზრებს. ამასთან, ქვეყანათა ორმხრივმა ურთიერთობამ თვისებრივი ცვლილებები განიცადა: იგი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ლიბერალურ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას დაეფუძნა, რომელშიც მთავარი ადგილი თანასწორუფლებიანობამ, ეკონომიკურმა მიზანშეწონილობამ და სარგებლიანობამ დაიკავა.

1992 წელს, მას შემდეგ რაც შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო და საელჩო გახსნა საქართველოში, ორ ქვეყანას შორის მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. საქართველოსა და აშშ-ის

ეკონომიკური კავშირების განვითარების ფაქტორთა რიცხვი საკმაოდ დიდია და ორი ქვეყნის პარტნიორული ურთიერთობების გრძელვადიან პერსპექტივებს განაპირობებს.

ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხი აქტუალური და პერსპექტიულია გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული, სავაჭრო და სხვა თვალსაზრისით. აშშ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდამჭერია საქართველოს სამომავლო პოლიტიკის, უწყობს რა ხელს საქართველოს მისწრაფებას გახდეს ევროკავშირის ნამდვილი და ღირსეული წევრი.

შესაბამისად, მომდევნო ათწლეულის დასაწყისში ორ ქვეყანას შორის გაფორმდა მნიშვნელოვანი დოკუმენტი “ჩარჩო შეთანხმება” ვაჭრობასა და ინვესტიციების შესახებ, რომელიც საქართველოში ინვესტიციების გაზრდასა და ვაჭრობის გაფართოვების სამომავლო პერსპექტივას მოიცავდა (MESDG, 2023).

2018 წლიდან დაწყებული აშშ-ის ზედა ეშელონებში, კერძოდ კონგრესის ზედა პალატაში გამძაფრდა საუბარი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამომავლო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე, რაც თავისთავად მოიცავდა ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (FTA) გაფორმებას. აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს სავაჭრო პოტენციალის სრულად გამოყენებასა და 330 მილიონიან ამერიკულ ბაზარზე ადგილის დაკავებას მოიაზრებდა, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნებოდა საქართველოსათვის.

საქართველოს ექსპორტის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება, რაც ქართულ პროდუქციას მისცემს საშუალებას კონკურენცია გაუწიოს აშშ-ის ბაზარზე უკვე არსებულ პროდუქციას.

საკითხის მეცნიერული დამუშავების დონე

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ვაჭრობა "ცალმხრივად შეღავათიანი რეჟიმით ე.წ. GSP (Generalized System of Preferences საფუძველზე" ხორციელდება (USA, 2023). აღნიშნული რეჟიმი ათავისუფლებს თითქმის 3500-მდე საქონელს ბაჟისაგან. რაც შეეხება თავისუფალ ვაჭრობას, ის საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლების შესაძლებლობას აძლევს თითქმის ყველა დასახელების საქონელს და შედარებით GSP-სთან, ის უვადოდ შეიძლება განვიხილოთ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დღეისათვის "საქართველოს თავისუფალი ვაჭრობა აქვს თანამეგობრობის თითქმის ყველა ქვეყანასთან, ევროკავშირთან და ევროპის ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), აგრეთვე თურქეთთან და ჩინეთთან" (MESDG, 2023).

მრავალ სამეცნიერო ნაშრომში შესწავლილია საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები. გამოყენებული ემპირიული კვლევებით დადასტურებულია, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები (FTAs) ხელს უწყობს გლობალური ბაზრის გაფართოვების შესაძლებლობას მწარმოებლებისა და ექსპორტიორებისთვის. ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებები ამცირებს სავაჭრო ბარიერებს, ქვეყნების მიერ დაწესებულ ტარიფებს და ხელს უწყობს ინვესტიციების შემოდინებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეცნიერთა უმეტესი ნაწილი დაინტერესებულია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების (FTAs) სხვადასხვა ასპექტებით, მიიჩნევენ, რომ (FTAs) საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელსაყრელი მექანიზმია. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არსებულ კვლევებს საფუძვლად უდევს საერთაშორისო ვაჭრობის ტრადიციული თეორიები და გათვალისწინებული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა საქართველოს ორმხრივ ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორები, როგორცაა: მშპ, ქვეყნის

მოსახლეობის ზომა და საერთო საზღვარი, რელიგია, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები და დისტანცია, რომელთა გავლენა ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტზე მნიშვნელოვანია.

ამგვარად, ერთის მხრივ საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლას და მეორეს მხრივ გლობალიზაციის პირობებში აშშ-თან საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალის შეფასებას მნიშვნელოვანი დატვირთვა ეძლევა, რომელიც როგორც საქართველოსთვის, ასევე საერთაშორისო დონეზე არსებითად გაამდიდრებს კვლევების არსებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ბაზას.

კვლევის მიზანი და ამოცანები: სადისერტაციო კვლევის მიზანია საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი გლობალურ ბიზნეს-გარემოში. ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა, თანამშრომლობის პერსპექტივებისა და მისი გაღრმავების შესაძლებლობების დადგენა, აგრეთვე აშშ-თან საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალის შეფასება თავისუფალი ვაჭრობის (FTA) პერსპექტივის ჩათვლით.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

- ბიზნესის გლობალიზაციის ფენომენის შესწავლა და მისი მამოძრავებელი ძალების წარმოჩენა;
- ქვეყნებს შორის ვაჭრობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების ანალიზი;
- საერთაშორისო ბიზნესში საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ადგილისა და როლის აღწერა;

- საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლების განხილვა;
- საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნეს-გარემოს შედარებითი PESTEL ანალიზი;
- საქართველოსა და აშშ-ის ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზისა და მისი დინამიკის წარმოჩენა გლობალიზაციის პირობებში;
- ემპირიული კვლევის სტრატეგიის და მოდელის განსაზღვრა;
- მონაცემთა შეგროვება და ბაზის შექმნა;
- მონაცემთა დამუშავება და ანალიზი;
- შედეგების ინტერპრეტაცია და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნეს-გარემოს სპეციფიკა გლობალური კონტექსტით და მისი გავლენა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე.

კვლევის ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია გლობალური ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, საქართველოს და აშშ-ის ბიზნეს-გარემო, მათ შორის განხორციელებული სავაჭრო ურთიერთობები და ამ ურთიერთობების სამართლებრივი ჩარჩო.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა

სადისერტაციო კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზაა საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე კონცეფციები, ამერიკელი, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. კვლევის მონაცემთა ძირითადი ბაზა ეყრდნობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს შემოსავლების სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სავაჭრო პალატის, აგრეთვე ამერიკის შერთებული შტატების სახელმწიფო სამსახურის, აშშ-ის დასაქმების ბიუროს, აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს, აშშ-ის პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების ბიუროს, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, აშშ-ის სავაჭრო პალატის და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო და კერძო სამსახურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ქართულ და საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

კვლევის საგნის და ობიექტის სირთულიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა მოგვეხდინა კვლევის თეორიული, ემპირიულ-რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების შეჯერება და სამეცნიერო სფეროში არსებული უახლესი სტატისტიკული მეთოდების გამოყენება.

ლიტერატურის ანალიზის შემდეგ, საქართველოსა და აშშ-ის ბიზნეს გარემოს გლობალური კონტექსტით შესასწავლად მივმართეთ PESTEL - ანალიზის მეთოდს. ფაქტორების ანალიზისთვის გამოყენებულია მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ქვეყნების 2017-2021 წლების საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური რეიტინგები. საგარეო ვაჭრობის პოტენციალის და მასზე მოქმედი დეტერმინატების ემპირიულ კვლევაში გამოყენებულია შეფასების სამი ტექნიკა: EGLS, two-stage EGLS, GMM (ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია და

მონაცემთა ბაზის ფორმირების პროცესი დეტალურად აღწერილია სადისერტაციო ნაშრომის 3.1 პარაგრაფში).

კვლევის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს, როგორც სიახლის მატარებელს, ასევე კონტრიბუტორს გლობალური ბიზნეს-გარემოს კონტექსტით ქვეყნებს შორის ვაჭრობის სფეროში არსებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის შესავსებად.

ნაშრომის ზოგად მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს გრავიტაციული მოდელის გამოყენებით საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების კომპლექსური ანალიზი და გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოტენციალის შეფასება აშშ-თან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოსა და აშშ-ის ვაჭრობაზე ჩატარებულმა ემპირიული კვლევის შედეგებმა გაამდიდრა საერთაშორისო ცოდნა მცირე და დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების მიმართულებით. შესაბამისად, ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს შემდეგი:

- განისაზღვრა ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროში გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალების ზემოქმედების მექანიზმი;
- ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია გრავიტაციული მოდელი, როგორც დიდი და მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების და სავაჭრო პოტენციალის ემპირიული კვლევის სასარგებლო ინსტრუმენტი;
- დადგენილია საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები, განსაზღვრულია მათი განვითარების პერსპექტივები და შესწავლილია ორი ქვეყნის თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზა;
- შედარებითი PESTEL ანალიზის საფუძველზე აგებულია მეტა-მატრიცა, რომელიც ასახავს გლობალური კონტექსტით ორი ქვეყნის ბიზნეს-გარემოს წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევებს და მათი გადაჭრის რეკომენდაციებს;

- გამოვლენილია საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობების საფუძვლები, გაანალიზებულია ორი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა და მასზე მოქმედი ფაქტორები;
- საქართველო - ამერიკის შეერთებული შტატებს შორის განხორციელებული ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე გაანალიზებულია პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის (GSP-ს) თანამედროვე მდგომარეობა და გამოვლენილია მისი გაღრმავების შესაძლებლობები;
- ემპირიულად დადგენილია, რომ მშპ და ქვეყნებს შორის საერთო საზღვარი სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს საქართველოს სავაჭრო ნაკადებზე პარტნიორ ქვეყნებთან;
- მონაცემთა ემპირიული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სავაჭრო გახსნილობა, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები, გეოგრაფიული დისტანცია, რელიგია და საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უარყოფით ზემოქმედებას ახდენს საქართველოს სავაჭრო ნაკადებზე პარტნიორ ქვეყნებთან;
- დადგენილია, რომ საქართველოს სავაჭრო ნაკადებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს პარტნიორი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა;
- გამოვლენილია, რომ საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-სთან სუსტია, მიუხედავად მისი დიდი და მიმზიდველი ბაზრისა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

21-ე საუკუნის სწრაფად ცვლებად სამყაროში ქვეყნებს შორის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. გლობალური საკითხები გლობალურ გადაწყვეტას საჭიროებს. თითოეული ქვეყანა ცდილობს თავისი ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო სავაჭრო სარბიელზე. საერთაშორისო ვაჭრობიდან სარგებელს იღებს ყველა ქვეყანა. მრავალი საერთაშორისო კვლევა ადასტურებს, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის ზრდას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანა ინდივიდუალურად აღიქვამს მასზე მოქმედ თითოეულ ფაქტორს და არ შეიძლება სხვა ქვეყნის მაგალითი გამოყენებული იყოს საქართველოზე.

სადისერტაციო ნაშრომის ევრისტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს მცირე და დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების პოტენციალის შეფასებაში და მასზე მოქმედი ფაქტორების კვლევის თეორიული ბაზის გამოკვეთაში. დისერტაციის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას არსებითად ზრდის საქართველოსა და აშშ-ის ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების ემპირიული კვლევის შედეგები. ჩატარებული კვლევა შეავსებს ეკონომიკურ მეცნიერებაში უკვე არსებულ თეორიებსა და კონცეფციებს, ასევე მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის პრობლემით დაინტერესებული მეცნიერებისათვის შემდგომი კვლევების ჩასატარებლად.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებისას და მოლაპარაკებების სტრატეგიების დაგეგმვისას. აშშ-ის და საქართველოს ბაზრებით დაინტერესებულ მეწარმეებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ქვეყნების, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციოკულტურულ, ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ და სამართლებრივ გარემოზე გლობალური კონტექსტით. ასევე ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის პოლიტიკასა და გამოყენებულ სავაჭრო რეჟიმებზე. კვლევის შედეგები, ასევე, შეიძლება მიმართული იყოს საგანმანათლებლო პროცესში, საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული კურსების სწავლებისას.

კვლევის პუბლიკაცია და აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომი სრულად განხილულია 2023 წლის 15 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე. (კათედრის სხდომის ოქმი N 3)

კვლევის შედეგები წარდგენილია შემდეგ საერთაშორისო კონფერენციაზე:

- ✚ The Covid pandemic and contemporary trends of global trade flows“. “*2nd International Scientific and Practical Internet Conference: Impact of Covid-19 Pandemic on Development of Modern World: Threats and Opportunities*„, 2022. (pp. 37-42). 'WayScience', International Electronic Scientific and Practical Journal. ISBN 978-617-95218-9-8. <http://www.wayscience.com/en/2nd-conference-21-22-september-2022/>
- ✚ The Repercussions the Covid-19 pandemic Had on the global economy and international trade flows. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია*. „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“. ეკონომიკა-XXI საუკუნე. 2023. (E ISSN 2587-4691) (ცნობა)

სადისერტაციო კვლევის ცალკეული მასალები გამოქვეყნებულია ქართულ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში:

- ✓ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზი. *ახალი ეკონომისტი*. 17(2), 2022. 53-58. doi:10.36962/NEC17022022. ISSN 2667-9752 (Online). ISSN 1512-4649 (Print). <http://www.neweconomist.com.ge/journal/article/retrospective-analysis-of-exports-and-imports-between-georgia-and-the-united-states-1673020311>
- ✓ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნეს გარემოს PESTEL - ანალიზი. ეკონომიკა და ბიზნესი. XIV(3), 2022. 128-149. doi:10.56079. ISSN 1987-5789. ESN 2587-5426. <http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&arq=2022-11-30>

- ✓ „Georgia’s Foreign Trade Potential with the United States: A Gravity Model Approach”. The Journal of Eastern Europe and Central Asia Research (JEECAR) Vol.10 No.7 December 2023. (ISSN: 2328-8272 (print) | ISSN: 2328-8280 (online) Scopus and Web of Science. <https://ieeca.org/journal/index.php/JEECAR>. (ცნობის)

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავალის, სამი თავის, რვა პარაგრაფისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ძირითადი ნაწილი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ A4 ფორმატის 138 გვერდს.

შესავალში განხილულია თემის აქტუალობა და მეცნიერული დამუშავების დონე. ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი და ამოცანები. განსაზღვრულია კვლევის საგანი და ობიექტი. განხილულია კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა და კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩამოყალიბებულია კვლევის მეცნიერული სიახლე და მოსალოდნელი შედეგები.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი - საერთაშორისო ვაჭრობა გლობალიზაციის პირობებში - შედგება სამი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში შესწავლილია ბიზნესის გლობალიზაციის ფენომენი და მისი მამოძრავებელი ძალები. მეორე პარაგრაფი ეძღვნება საგარეო ვაჭრობის თორიული და ემპირიული კვლევების ანალიზს. შესწავლილია საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე თეორიები, ასევე ემპირიული კვლევებით მიღებული შედეგები. ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია გრავიტაციული მოდელი, როგორც დიდი და მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების და სავაჭრო პოტენციალის შეფასების ემპირიული კვლევის სასარგებლო ინსტრუმენტი. მესამე პარაგრაფში გაანალიზებულია საქართველოსა და აშშ-ის ადგილი გლობალურ ბიზნეს-გარემოში.

ნაშრომის მეორე თავი - საქართველოსა და აშშ-ის ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძვლები - მოიცავს სამ პარაგრაფს. პირველ პარაგრაფში გაანალიზებულია საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობის მიზეზები და სამართლებრივი საფუძვლები. მეორე პარაგრაფში გაანალიზებულია საქართველოსა და მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის აშშ-ის ბიზნეს-გარემოს შედარებითი PESTEL ანალიზი გლობალური კონტექსტით. გარემოზე მოქმედი ფაქტორების ანალიზისთვის გამოყენებულია მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ

გამოქვეყნებული ქვეყნების 2017-2021 წლების საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური რეიტინგები. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები, ასევე შესწავლილია აშშ-ის და საქართველოს სარეიტინგო ქულები. ხოლო მესამე პარაგრაფი სრულად მოიცავს საქართველოსა და აშშ-ის ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიულ ანალიზს და აანალიზებს მის დინამიკას გლობალიზაციის პირობებში.

დისერტაციის მესამე თავი მთლიანად მოიცავს კვლევით ნაწილს. პირველი პარაგრაფი განსაზღვრავს კვლევის მეთოდოლოგიას და აღწერს მონაცემთა შერჩევის სპეციფიკას. განმარტებულია კვლევაში გამოყენებული ცვლადები: მშპ, ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო ბრუნვა, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები, საერთო საზღვრები, რელიგია, ეკონომიკის გახსნილობა, მოსახლეობა, მანძილი და აღწერილია მათი მოპოვების წყაროები. ჩამოყალიბებულია კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო. საქართველოსა და 44 პარტნიორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის ანალიზისთვის გამოყენებულია პროგრამა EViews 12. მეორე პარაგრაფი ეთმობა მონაცემთა ანალიზს და ემპირიული კვლევის შედეგების გამოკვეთას. აშშ-თან საქართველოს სავაჭრო პოტენციალის შეფასება განხორციელებულია EGLS, ორ საფეხურიანი Two stage -EGLS და GMM ტექნიკის გამოყენებით.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული და ემპირიული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები.

თავი I. საერთაშორისო ვაჭრობა გლობალიზაციის პირობებში

1.1 ბიზნესის გლობალიზაციის ფენომენი და მისი მამოძრავებელი ძალები

გლობალიზაციამ, როგორც არასდროს ყველა ქვეყნის მოქალაქისათვის მარტივად გასაგები გახადა ის რეალური მსოფლიო ეკონომიკური ძალები, რომლებიც მათ ბედზე ყოველდღიურად ზემოქმედებენ (კრუგმანი, ობსტფელდი, & მელიტცი, 2017). გლობალიზაცია გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოებაზე, მოიცავს რა საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივსა თუ კულტურულს, ის მეტ-ნაკლებად მონაწილეა მათში მიმდინარე პროცესებზე.

ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯოზეფ სტიგლიცის განმარტებით, გლობალიზაცია არის მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების უფრო მჭიდრო ინტეგრაცია, რაც გამოწვეულია ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის ხარჯების უზარმაზარი შემცირებით და საზღვრების გარეთ საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ცოდნისა და ხალხის ნაკადების ხელოვნური ბარიერების მოშლით (Stiglitz, 2002).

გლობალიზაციის ფენომენი ფართო, ცვალებადი და მრავალფეროვანია. თეოდორ ლევიტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც გლობალიზაციის კონცეფციის პიონერია, ცნება „ბაზრის გლობალიზაცია“ პირველმა შემოიტანა (Levit, 1983). მისი აზრით, გლობალიზაცია ეს არის კომერციული, გლობალურ კონკურენციის ეპოქაში წარმატებული კომპანიების, გლობალურ დონეზე მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც ვითარდება ერთიანი სტრატეგიული ბაზრის შეთავაზებისკენ.

ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად გლობალიზაციის პროცესი წარმოადგენს კატალიზატორს, რომელიც სრულიად ცვლის ქვეყნების ეკონომიკურ სისტემას და ახდენს კულტურულ ტრანსფორმაციას (შაბურიშვილი, 2017).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ანტიგლობალისტების მთავარი არგუმენტების - უმუშევრობა, ბავშვების შრომა, გარემოს უგულვებელყოფა და ძირითადი საჭიროებების გაუთვალისწინებლობა, განვითარებულ ქვეყნებთან ერთად ბრალდებებს უყენებენ ტნკ-ებს.

მიუხედავად გლობალიზაციის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, მოყოლებული მეოცე საუკუნიდან სამეცნიერო და პოლიტიკურ არენაზე ის მაინც ძირითადი განხილვის საგნად შეიძლება ჩაითვალოს (შენგელია, 2012).

გლობალური ბიზნეს-გარემო რთული სტრუქტურის მქონეა (Harrison, 2014). გლობალიზაციის ეპოქაში ბიზნესზე უამრავი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორისაა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბუნებრივი და მთელი რიგი სხვა (ბედიანაშვილი, 2016).

მეოცე საუკუნიდან მოყოლებული გლობალურმა ცვლილებებმა გამოიწვია გლობალური ეკონომიკების მასშტაბურად შეცვლა (Кастельс, 2000).

უვიზო მიმოსვლის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს გლობალიზაციის არსებობას (ხარაიშვილი, 2020).

გლობალიზაციამ თვითონვე შექმნა გლობალიზაციის კონკურენტული ფენომენი - ერთის მხრივ, მუდმივად უნდა აუმჯობესებდეს საკუთარ მაჩვენებლებს, და მეორეს მხრივ, ამით ხელს უწყობდეს სხვებს მაჩვენებლების გაუმჯობესებაში და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში (ღაღანიძე, 2020).

გლობალიზაცია, გლობალური ინტეგრაცია გაგებულია, როგორც მთელს მსოფლიოში ურთიერთთანამშრომლობის გაფართოვება, გაღრმავება და დაჩქარება თანამედროვე სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში. ის არის ურთიერთდაკავშირებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების ფართო პროცესი სივრცობრივი და პოლიტიკური საზღვრების მიღმა. აქვე აღსანიშნავია ეკონომიკური გლობალიზაციის სამი ძირითადი ასპექტი. ესენია:

საერთაშორისო ტურიზმი, საერთაშორისო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (Held, McGrew, Perraton, & Goldblatt, 1999).

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ფრიდმანის (1983) განმარტებით, “გლობალიზაცია - ეს არის ბაზრების, ერებისა და სახელმწიფოების, ტექნოლოგიების ინტეგრაცია, რაც ინდივიდებს, კორპორაციებს, ერებსა და სახელმწიფოებს აძლევს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში წვდომის საშუალებას უფრო სიღრმისეულად და იაფად, ვიდრე წარსულში”. გლობალიზაციას აქვს ეკონომიკური წესების საკუთარი ნაკრები, რომლის საფუძველი არის ეროვნული ეკონომიკების გახსნილობა, დერეგულირება და პრივატიზება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით (Friedman J. , 1983).

გლობალიზაციის პროცესები, ფართო გაგებით, ხასიათდება ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მირითად სფეროებში ურთიერთკავშირების და ურთიერთდამოკიდებულებების მკვეთრი გაძლიერებითა და გართულებით, რომელიც იძენს პლანეტარულ მასშტაბებს (Максимова, 2004). გლობალიზაცია გამოიხატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის მზარდ ურთიერთდამოკიდებულებებში, რაც განპირობებულია საქონლისა და მომსახურებების მზარდი მოცულობების მოძრაობით და მათი გავრცელების მასშტაბების მნიშვნელოვანი გაფართოვებით, აგრეთვე ყველა სახის ტექნოლოგიების სწრაფი და ფართო გავრცელებით.

საერთაშორისო ეკონომიკის პეტერსონის ინსტიტუტის განმარტებით (PIIE), გლობალიზაციის პროცესი შეჭერდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ნაციონალური ეკონომიკები დაუბრუნდნენ პროტექციონიზმს. აღნიშნული ტრენდი გაგრძელდა დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც, სანამ აშშ-მა არ ითავა ინსტრუმენტალურად მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ვაჭრობის აღდგენაში (The Peterson Institute for International Economics (PIIE), 2023).

საინტერესოდ გადმოგვცემს გლობალიზაციის შინაარსს ნიუ-იორკ თაიმსის პოლიტიკური რეპორტიორი, განსაზღვრავს რა „გლობალიზაციას“ პარადიგმის

ცვლილებების თვალსაზრისით. ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ თანამედროვე მსოფლიო „ცივი ომის“ 1989 წელში დაცემამდე (Friedman T. L., 1999).

ცხრილი 1.

„პარადიგმების ცვლილებები ცივი ომიდან გლობალიზაციის ეპოქამდე“

ცივი ომი	გლობალიზაცია
ჩაკეტილი სივრცე/დანაყოფი	ინტეგრაცია (ერების, ბაზრების და ტექნოლოგიების)
კედელი (იზოლირებული სისტემა)	ქსელი (კომპლექსური სისტემა)
მსოფლიოს ქვეყნების 8%-ს აქვს თავისუფალი ბაზარი	მსოფლიო ქვეყნების 28%-ს აქვს თავისუფალი ბაზარი
განსხვავებული, ცალკეული კულტურები	გლობალური კულტურა
ნელი სვლა/წონა (მეგატონი)	სწრაფი სვლა/სიჩქარე (მეგაბიტი)
ერთი ძალა/ინდივიდის ბაზარი	კავშირები/ინდივიდების, ბაზრების ძალა

გლობალიზაციის ტრანსფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამ ძირითად პერიოდად:

გლობალიზაციის I ტალღა საბჭოთა კავშირის დაშლამდე მსოფლიო ეკონომიკა მოიცავდა აშშ-ს, ევროპის და იაპონიის 580 მილიონ ადამიანს. 1990-იანი წლებიდან რკინის ფარდის რღვევამ ეკონომიკური საქმიანობის გაფართოვება გამოიწვია და მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა არის იზოლირებული.

გლობალიზაციის II ტალღა ამჟამად მთელი ძალით მიმდინარეობს. გლობალურ სტრატეგიაში პრიორიტეტი უკვე არა იაფი მიწოდების წყაროების ხელმისაწვდომობაა, არამედ განვითარებად ბაზრებზე დაშვება.

გლობალიზაციის III ტალღის პირობებში შესაძლებელია, რომ გამოჩნდნენ ახალი კონკურენტები სამთავრობო კეთილდღეობის ფონდების, ლოკალური კომპანიების და ბრენდების სახით, რომლებიც ეცდებიან გლობალურ კომპანიებად გადაქცევას.

ერთ-ერთი კრიტიკული ნაბიჯი გლობალიზაციის გზაზე იყო 1993 წელს ხელმოწერილი NAFTA-ს (ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება) ხელშეკრულება (Congressional Research Service, 2020). 2020 წელს NAFTA შეცვლილი იქნა USMC-ით (ამერიკა-მექსიკა-კანადის ხელშეკრულება).

გლობალიზაცია არის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფენომენი, რომელმაც შეცვალა სამყარო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. გლობალიზაციის პროცესი უზრუნველყოფს საერთაშორისო ვაჭრობის და ინვესტიციების სტიმულირებას, კულტურულ გაცვლას, ტურიზმისა და მიგრაციის ზრდის ტენდენციებს, კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და გავრცელებას.

გლობალიზაციის პროცესი ამცირებს ადგილობრივ მთავრობათა მხრიდან საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. ადგილობრივ მთავრობებს უჭირთ პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება სამამულო წარმოების დასაცავად.

ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორების მიხედვით, პრიორიტეტულია გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალები: საერთაშორისო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მრავალეროვნული (ტრანსნაციონალური) ფირმების საქმიანობა და ტექნოლოგიების წარმოება-საერთაშორისო გავრცელება. ფირმათაშორისო ვაჭრობა არის გლობალიზაციის ინტენსივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი (OECD, 2005)

გლობალიზაცია მხოლოდ საერთაშორისო ბიზნესში ჩართვა არ არის, განსხვავება ხარისხობრივია და გულისხმობს თვით საერთაშორისო ბიზნესის სუბიექტების ტრანსფორმაციასა და მათი სტრატეგიული ორიენტაციების ცვლილებას. XXI საუკუნის რადიკალურმა ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა ფართო შედეგებით

იმოქმედეს ქვეყნების კულტურასა და საზოგადოებრივ პოლიტიკაზე (CATO Institute, 2019).

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციები საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ძირითადი წარმმართველნი და გლობალიზაციის მთავარი სუბიექტები არიან. მართალია, ხშირად მათ განიხილავენ, როგორც გლობალიზაციის პროცესების შედეგს, მაგრამ საჭიროა დავინახოთ, რომ ისინი თავის მხრივ, გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ (ჯამაგიძე, 2008).

კორპორაციების მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ეკონომიკური გლობალიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორს. ისინი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც გლობალიზაციის უკან მდგომი ეკონომიკური ძალა.

თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობების განვითარებაში, ისინი წარმოადგენენ ინოვაციური საქმიანობის და ტექნოლოგიური ტრანსფერის უმნიშვნელოვანეს სუბიექტებს. ინოვაციური პროცესი გვევლინება კონკურენტულობის უზრუნველყოფის ძირითად წყაროდ, როგორც ცალკეული კომპანიების, ისე ეროვნული ეკონომიკის დონეზე.

ინოვაციური პროცესების განხორციელების ეფექტიანობა განისაზღვრება მისი შედეგების ტრანსფერის ინტენსივობითა და ხარისხით. ტექნოლოგიების ტრანსფერი უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ამაღლებას ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში, კონკურენტუნარიანობის ზრდას და საექსპორტო შესაძლებლობების გაფართოებას. ტნკ-ები განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ საერთაშორისო ბიზნესში, გვევლინებიან ძირითად სუბიექტებად და მრავალმხრივ გავლენას ახდენენ მის ფუნქციონირებაზე (შაბურიშვილი, 2016).

ჯ. დანიინგი (1993) მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები და ტექნოლოგიური მიღწევები აღრმავებს კონკრეტულ

ურთიერთდამოკიდებულებას ქვეყნებს შორის და მათი კონკურენტული უპირატესობის რომლები ურთიერთდაკავშირებული ხდება. ტნკ-ები მიზანშეწონილად მიიჩნევენ გადაიტანონ ზოგიერთი საწარმოო ბაზა სხვა ქვეყნებში, რომლებიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს მათ ინოვაციების დანერგვისა და ამოქმედებისათვის.

ტნკ-ების შვილობილი კომპანიები სპეციალიზდებიან იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელშიც მათ აქვთ კონკურენტული უპირატესობა და ყიდიან პროდუქციას რეგიონულ და ეროვნულ ბაზრებზე. სხვადასხვა არამატერიალური აქტივის მობილურობა, ფირმათაშორის ალიანსებთან და ქსელებთან ერთად გზას უხსნის მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციასა და გლობალიზაციას.

გლობალიზაცია უკავშირდება ბაზრების მიერ გლობალური სახის მიღების მზარდ ტენდენციას, ტნკ-ების სწრაფვას განალაგონ საქმიანობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მოახდინონ სტრატეგიებისა და ოპერაციების კოორდინაცია და ინტეგრაცია ეროვნულ საზღვრებს მიღმა.

რ. ბოლდუინის (2006) კონცეფციის თანახმად, გლობალიზაცია ტერმინი გამოხატავს ორ ძლიერ ტენდენციას: წარმოების სივრცული დაშორება მოხმარებისგან და წარმოების სტადიების გეოგრაფიული დაცალკეება. ამის შესაძლებლობას ქმნის გლობალური საწარმოო ქსელები. ხოლო ამგვარ ქსელებში ტნკ-ები ასრულებენ სისტემის გამაერთიანებელ როლს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამრეწველო საქონლისა (მიკროპროცესორები, მეხსიერების ჩიპები, საავიაციო საქონელი და სხვა) და ნედლეულის (რესურსების, სასოფლო-სამეურნეო საქონლის) ბაზრები გამოირჩევიან გლობალიზაციის უფრო მაღალი ხარისხით მათი უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე, ხოლო სამომხმარებლო საქონლის ბაზარი წარმოადგენს ყველაზე ნაკლებ გლობალიზებულ ბაზარს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის საფუძველს წარმოების ზრდადი ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ეს ცნება გულისხმობს მსოფლიოს ცალკეული

ქვეყნების საწარმოებს შორის მყარი ეკონომიკური კავშირის დამყარებას და განვითარებას. წარმოების ინტერნაციონალიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ტრანსპორტის სწრაფი განვითარება და ტრანსპორტირების დანახარჯების მკვეთრი შემცირება.

წარმოების ინტერნაციონალიზაციამ განაპირობა ეროვნული კაპიტალის დაკავშირებისა და გაერთიანების პროცესის გაღრმავება, ანუ კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია. ამის ნათელი მაგალითია ეროვნული კომპანიების გარდაქმნა უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიებად.

საერთაშორისო ბიზნესი თავის განვითარების პიკს აღწევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებში. საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის მთავარ შემადგენელ კომპონენტს.

იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის პირობებში, როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე წარმოების ფაქტორთა გატანას ძირითადად ადგილი აქვს განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, ადასტურებს ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მშობელი კომპანიების უდიდესი ნაწილი სწორედ განვითარებულ ქვეყნებშია განლაგებული. ამასთან, ტრანსნაციონალური კორპორაციები უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ ინვესტიციებს, ვინაიდან ისინი ღებულობენ თავისუფალ დაშვებას სხვა ქვეყნების ბუნებრივ და შრომით რესურსებზე, უერთებენ რა მათ თავიანთ საკუთარ რესურსებს – კაპიტალს, ცოდნას, ტექნოლოგიასა და მეწარმეობრივ უნარს (აბესაძე, 2018).

თანამედროვე ეკონომიკა გლობალურ კონტექსტში შესაძლოა დავახასიათოთ გლობალურ ეკონომიკად. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი წარმოადგენს წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის კანონზომიერ შედეგს (ITA, 2023). გლობალური ეკონომიკის მახასიათებელია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არნახული ზრდა. შედეგად, ერთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ ცვლილებებს (განსაკუთრებით პოლიტიკურად და ეკონომიკურად წამყვან ქვეყნებში) შეუძლია მკვეთრი ზეგავლენის მოხდენა სხვა

ქვეყნების ეკონომიკებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ს როლი გლობალურ ეკონომიკაში (The Federal Reserve, 2023).

გლობალიზაციის განვითარების პროცესში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ძირითად ელემენტს. ის ქმნის პირდაპირ, სტაბილურ და გრძელვადიან კავშირებს ეკონომიკებს შორის. ის აგრეთვე წარმოადგენს ადგილობრივი საწარმოების განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას და მას აგრეთვე შეუძლია მიმღები ქვეყნის კონკურენტული პოზიციის გაუმჯობესება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაძლებლობას აძლევს მიმღებ ქვეყანას ფართოდ გაიტანოს თავისი პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე.

1996 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონცეფციის (UNCTAD) მიერ მიღებულია დოკუმენტი „პარტნიორობა განვითარებისა და ზრდის მიზნით“. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ სახელმწიფოთა მთავრობებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი თეზისი: ეკონომიკური ზრდის და განვითარების პროცესში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლიათ დადებითი როლი ითამაშონ.

უკანასკნელ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. მას განიხილავენ იმ ინსტრუმენტად, რომელიც განაპირობებს გლობალურ მსოფლიო ეკონომიკაში სხვადასხვა ქვეყნის ინტეგრირებას წარმოების დონეზე, მთელი რიგი აქტივების - კაპიტალის, ტექნოლოგიების, მმართველობითი უნარ-ჩვევების გადაცემის საშუალებით, მათ შორის უცხოურ ბაზრებზე შეღწევის გათვალისწინებით (UNCTAD, 2023).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD, 2023) მიერ შემოთავაზებულია ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის ინდიკატორები. ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის დონეს გვიჩვენებს წარმოების სიღრმე, ფირმათაშორისო და შიდადარგობრივი ვაჭრობა. ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს წარმოების სიღრმეს, გამოითვლება ქვეყანაში წარმოებული მთლიანი ღირებულების შეფარდებით ქვეყნის მთლიან გამოშვებასთან.


ყველა ზემოთ განხილულ მიდგომისა და თეორიის გათვალისწინებით, ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება განმარტებული იყოს, როგორც საქონლისა და წარმოების ფაქტორების გლობალური ბაზრების ფორმირების პროცესი, რომელიც განაპირობებს ამ პროცესში ჩართული ეკონომიკური სუბიექტებისა და ეკონომიკების თვისებრივ ტრანსფორმაციას. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ეკონომიკურ გლობალიზაციაში ვაჭრობისა და კაპიტალის ტრანსნაციონალური ზრდა იგულისხმება.

კოფის ინდექსის (KOF) თანახმად, ეკონომიკურ გლობალიზაციას აქვს ორი განზომილება, პირველი - მიმდინარე ეკონომიკური ნაკადები, მეორე - ვაჭრობასა და კაპიტალზე შეზღუდვები.

კოფის ინდექსი მოიცავს გლობალიზაციის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს. კოფის ინდექსი ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონცეფციის წლიურ ანგარიშებს. 2019 წლის კოფის (KOF) გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, რომელიც ზომავს ქვეყანაში გლობალიზაციის გავლენას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ჭრილში (KOF), აშშ - 82,41%-ით 23 - ე ადგილზე, ხოლო საქართველო - 75,55% - ით 42-ე ადგილზე. რაც შეეხება 2018 წლის მონაცემებს, აშშ - 79,95%-ით 24 - ე ადგილზე, ხოლო საქართველო - 72,50% - ით 45-ე ადგილზე (Statista Statistics, 2023).

დიაგრამა 1.

ქვეყნები გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით (2018-2019 წლები)



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.statista.com -ის და <https://kof.ethz.ch> მონაცემზე დაყრდნობით

ლიბერალიზაცია, როგორც ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება ქვეყნის შიგნით და საზღვრებს გარეთ, ეკონომიკური გლობალიზაციის განუყოფელი ნაწილია, რომლის აქტიური ტენდენციები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა. ამ პერიოდიდან გამოჩნდა ბიზნესის მოდელი, რომელიც დაფუძნებული იყო წარმოების საერთაშორისო კონსოლიდაციაზე. რის შედეგადაც მივიღეთ მსხვილი კორპორაციული გაერთიანებები. კომპანიებმა განახორციელეს ბიზნესის ყველა ასპექტის რაციონალიზაცია (ყველა სახის დანახარჯების შემცირება). შედეგად ასპარეზზე გამოჩნდა მსხვილი კორპორაციების წრე, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ წარმოების და გაყიდვების გლობალური მასშტაბით განხორციელების. ლიბერალიზაციის წყალობით გაფართოვდა კაპიტალის მოქმედების არეალი. კ. ო'რურკე და ჯ. ვილიამსონის აღნიშნულ პერიოდს გლობალიზაციის ოქროს ხანას უწოდებენ (O'Rourke & Williamson, 2001). მეორე

მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ვაჭრობის ზრდის ტემპი საშუალოდ, ორჯერ აღემატებოდა მსოფლიო მშპ-ს ზრდის ტემპს (UN, 2010).

ამდენად, თანამედროვე პირობებში ყველა ქვეყნის წინაშე დგას ერთი პრობლემა - რაც შეიძლება მინიმალური დანაკარგებით მაქსიმალურად გამოიყენოს გლობალიზაციის უპირატესობები.

მიუხედავად გლობალიზაციის დადებითი ზემოქმედებისა, მას უარყოფითი მხარეც გააჩნია, კერძოდ ერთი ქვეყნის ეკონომიკის დაღმავალმა სვლამ სავაჭრო პარტნიორებს შორის შეიძლება წარმოშვას "დომინოს ეფექტი", რაც ძირითადად დააზარალებს პატარა და შედარებით სუსტ სუვერენულ სახელმწიფოებს.

მიუხედავად გლობალიზაციის რიგი უარყოფითი ზემოქმედებისა, იგი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას. განვითარებად ქვეყნებს ეხმარება ახალი ინოვაციების ათვისებაში, ხოლო განვითარებული ქვეყნები კიდევ უფრო მყარად ინარჩუნებენ თავის პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე, რაც მსოფლიო ბატონობის სურვილზე მიანიშნებს.

1.2 საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული და ემპირიული კვლევების ანალიზი

სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ყველაზე განვითარებული ფორმაა საერთაშორისო ვაჭრობა. საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ყველაზე ადრეულ ფორმას წარმოადგენს, რომლის სწრაფი განვითარება დაიწყო XVI-XVII საუკუნეებში.

ამასთან უნდა აღინიშნოს რომ ეკონომიკური თეორიის არც ერთი ნაწილი არ არის ისეთი წინააღმდეგობრივი, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის თეორია და პოლიტიკა, შესაბამისად საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ახსნა რომელიმე ერთი თეორიით შეუძლებელია, ამიტომ უნდა მოხდეს მისი კომპლექსური შესწავლა.

საყოველთაოდ ცნობილ საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკურ თეორიებს, როგორებიცაა: დ. რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის, ჰეკშერ-ოლინის, ჰეკშერ-ოლინი-სამუელსონის წარმოების ფაქტორების და სხვა თეორიებს მოჰყვა თანამედროვე თეორიები, რიმელთა აუცილებლობა განპირობებული იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში გამოწვეული ცვლილებებით. მათ შორის აღსანიშნავია პორტერის (Porter Diamond Theory of National Advantage) გლობალური კონკურენტუნარიანობა, ორმაგი რომბის (The double diamond), 5 ძალის მოდელი (Porter's Five Forces), ვაჭრობის გრავიტაციის მოდელი (The Gravity Model of Trade), დამატებული ღირებულების ჯაჭვის პარადიგმა (Value Added Chain) და სხვა.

როგორც ცნობილია, XV-XVIII საუკუნეებში მერკანტილიზმის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ოქროს მარაგის ზრდა წარმოადგენდა სახელმწიფოს მთავარ ამოცანას, ხოლო საგარეო ვაჭრობას უნდა უზრუნველყო, პირველ რიგში, ოქროს შემოდინება, ეს კი შესაძლებელი იყო აქტიური სავაჭრო ბალანსის პირობებში (Econlib).

სამრეწველო გადატრიალებისა და მსხვილ მანქანურ წარმოებაზე გადასვლის პირობებში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებამ, XVIII საუკუნის ბოლოს სტიმული მისცა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრებას (მამედოვა, 2009). პროტექციონიზმის საწინააღმდეგო პოლიტიკის ეკონომიკური არგუმენტების შედეგად შემუშავდა აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების თეორიები.

მერკანტილისტულ შეხედულებებს დაუპირისპირდა და გააკრიტიკა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის სკოლის ფუძემდებელმა შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა. ადამ სმიტმა თავის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ ჩამოაყალიბა აბსოლუტური უპირატესობის კონცეფცია, რომლის თანახმად ქვეყნებისთვის სარგებლიანი იქნებოდა დასპეციალიზებულიყვნენ იმ საქონლის ექსპორტზე, რომლის წარმოება სხვაზე ნაკლები შრომითი დანახარჯებით შეეძლოთ ანუ ქონდათ აბსოლუტური უპირატესობა (სმიტი, 1938). თუმცა გაურკვეველი იყო იმ ქვეყნების ბედი, რომლებსაც არცერთი საქონლის წარმოებაში არ ექნებოდათ აბსოლუტური უპირატესობა.

მოგვიანებით ადამ სმითის იდეები განავითარა და საერთაშორისო ვაჭრობის პირველი თეორიის სახით წარმოგვიდგინა დევიდ რიკარდომ (Ricardo, 1817). მან 1817 წელს თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიისა და გადასახადების პრინციპები“ ჩამოაყალიბა შეფარდებითი უპირატესობის თეორია. ამ თეორიის თანახმად, ვაჭრობა მომგებიანია აბსოლუტური უპირატესობის არარსებობის პირობებშიც, კონკრეტულად კი მაშინ, როდესაც ქვეყნები სპეციალიზდებიან იმ საქონლის ექსპორტზე, რომლის წარმოება ნაკლები ალტერნატიული შრომითი დანახარჯებით შეუძლიათ. შესაბამისად, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ამოსავალი ცნება შრომის მწარმოებლურობა გახდა (Рикардо, 2007).

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რიკარდოს მოდელი მხოლოდ მიწოდების მხრიდან ანალიზებს საერთაშორისო ვაჭრობას და ეფუძნება წარმოების მხოლოდ ერთი ფაქტორის (შრომის) არსებობას. არაა გათვალისწინებული სხვა წარმოების ფაქტორების ზემოქმედება და მოთხოვნის პირობები.

მიუხედავად თავისი შეზღუდულობისა დ. რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორია დღესაც საბაზო როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობის საკვანძო პრობლემების კვლევაში და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის მთავარი ინსტრუმენტია.

XX საუკუნის დასაწყისში ე. ჰეკშერმა (Heckscher, 1919) და ბ. ოლინმა (Ohlin, 1967) ჩამოაყალიბეს წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორია, რომლის თანახმად, წარმოებული საქონლის ღირებულება დამოკიდებულია წარმოების 3 ფაქტორის (შრომა, მიწა, კაპიტალი) გამოყენების შედეგად მიღებულ შემოსავალზე.

საერთაშორისო გაცვლის მიზეზია წარმოების ფაქტორების ფარდობითი სიუხვე ან ფარდობითი იშვიათობა. ანუ საერთაშორისო გაცვლა არის ჭარბი წარმოების ფაქტორების გაცვლა იშვიათ წარმოების ფაქტორებზე.

წარმოების ფაქტორების განსხვავებული ღირებულება ამა თუ იმ საქონლის წარმოებას იმ ქვეყანაში ასტიმულირებს, სადაც მისი წარმოებისათვის საჭირო ფაქტორები ჭარბი და იაფია. წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორია

გააღრმავა პ. სამუელსონმა (Samuelson, 1949), რომელმაც ჩამოაყალიბა შემდეგი თეორემა: წარმოების ფაქტორების ერთგვაროვნების, ტექნიკის იდენტურობის, სრულყოფილი კონკურენციისა და საქონლის სრული მობილურობის შემთხვევაში, საერთაშორისო გაცვლა ათანაბრებს წარმოების ფაქტორების ფასს.

ამ თეორემას ე. ჰეკშერის, ბ. ოლინის და პ. სამუელსონის გვარების შესაბამისად HOS-თეორემა დაერქვა. HOS-თეორემაში მნიშვნელოვანი გამარტივებებია გამოყენებული, ამიტომ მასში ყურადღება არაა გამახვილებული წარმოების ფაქტორების ხარისხზე, მათ კომბინაციაზე, ბაზრის მახასიათებელ მაჩვენებლებზე და ა. შ. მაგალითად, ვ. ლეონტიევმა შრომასა და კაპიტალს შორის კავშირების შესწავლისას აღმოაჩინა, რომ უხვი კაპიტალის მარაგების მიუხედავად აშშ იყო შრომატევადი პროდუქციის ექსპორტიორი. ლეონტიევის (Leontief, 1941) კვლევის შედეგი პარადოქსად იქნა მიჩნეული.

XX საუკუნის ეკონომიკური აზრი ვითარდებოდა თავისუფალი ვაჭრობისა და პროტექციონიზმის მომხრეთა დისკუსიების ფონზე. მათ შორის უპირატესობა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს ენიჭებოდა, თუმცა ცალკეულ პერიოდებში პროტექციონიზმს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნებისთვის. რაც შეეხება XXI საუკუნის დასაწყისს, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებმა მყარი პოზიცია დაიმკვიდრა.

საერთაშორისო ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების უფრო კომპლექსურ ანალიზს გვთავაზობს კონკურენტუნარიანობის კონცეფციები. კონკურენტუნარიანობა ერთ – ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ცნებაა მიმდინარე ეკონომიკურ პოლიტიკაში, რეგიონალური ან ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოებსა და სტრატეგიებში, ბიზნესში. არსებობს სხვადასხვა თეორია კონკურენტუნარიანობის შესახებ, განსხვავებული მიდგომებით, როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე.

კონკურენტუნარიანობის კონცეფციის თეორიული წარმოშობა შეიძლება მოვიძიოთ საერთაშორისო ვაჭრობასა და მის როლში ეროვნულ და საერთაშორისო ეკონომიკურ კეთილდღეობაში. ბოლოდროინდელი თეორიული დებატები

განიხილავენ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის კონცეპტუალურ სირთულეებს არსებული მიდგომებით, რომლებიც მოიცავს, როგორც ექსკლუზიურად მიკროეკონომიკურ, ასევე მაკროეკონომიკურ პერსპექტივებს. ამგვარ კონცეპტუალურ მრავალფეროვნებას მივყავართ პრაქტიკულ შედეგებამდე. მეტად გლობალიზებულ ეკონომიკურ გარემოს წინაშე დგას კონკურენციასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები და შესაძლებლობები.

ღია ეკონომიკებს შორის საქონლის, მომსახურების, შრომისა და კაპიტალის ნაკადების ინტენსივობა და მიმართულებები გაიზარდა და უფრო არასტაბილური გახდა, რამაც ზოგიერთი ქვეყნისთვის დადებითი შედეგები გამოიღო, ზოგიერთი ეკონომიკისა და ერებისათვის კი უარყოფითი. რაც შეეხება გლობალურ დონეზე, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები თვლიან ქვეყნების კონკურენტუნარიანობას, როგორც გლობალური ეკონომიკის სტაბილურობისა და ზრდის, და განვითარებადი ეკონომიკის საერთაშორისო ეკონომიკურ ნაკადებში უფრო ღრმად ინტეგრირების წინაპირობას. კომპანიები და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ბიზნესის სწრაფი შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და მათი კეთილდღეობის სტატუსის უფრო მკაფიოდ გააზრების მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერების კონკურენტუნარიანობის საერთაშორისო შედარებას.

პოლ კ. კრუგმანი (1994) (1995) (1997) ამტკიცებდა, რომ ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას აზრი არ აქვს, როგორც მაკროეკონომიკურ კონცეფციას. მის მთავარ არგუმენტებში შედიოდა შემდეგი:

- i) რიკარდოსეული პერსპექტივით, ყველა ქვეყანა ფლობს შეფარდებით უპირატესობას;
- ii) სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გაკოტრება, ხოლო კომპანიებს შეუძლიათ;
- iii) შიდა კომპანიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სხვა ეროვნული კომპანიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე;

iv) ქვეყნები ეკონომიკურად კონკურენციას არ უწყვენ კომპანიებს, რადგან ისინი მონაწილეობენ პოტენციურად ნულოვანი თანხის თამაშებში;

v) გლობალური ვაჭრობა ქვეყნებს შორის არის პოზიტიური თანხა, რომელშიც ქვეყნების ეკონომიკური განვითარების რიტმი ხელს უწყობს გლობალური ბაზრების განვითარებას და უფრო სწრაფად განვითარებადი ქვეყნების ყველა ეკონომიკური პარტნიორი სარგებლობს უკეთესი ან/და იაფი პროდუქციის არსებობით და უკეთესი სავაჭრო პირობებით. კრუგმანის აზრით, კონკურენტუნარიანობა არსებითად მიკროეკონომიკური კონცეფციაა.

საერთო ანგარიშით მიმდინარე წლის სუსტი მაჩვენებლების მიუხედავად შეერთებული შტატები რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიან ეკონომიკად. ის ჯერ კიდევ არის ინოვაციების ელექტროსადგური, იგი იკავებს მე-2 ადგილს ინოვაციების შესაძლებლობების მხრივ და პირველს ბიზნესის დინამიკის თვალსაზრისით, მსოფლიოში სიდიდით მეორე უდიდესი ბაზრით და ყველაზე დინამიური ფინანსური სისტემების სამშობლოდ რჩება. (ქულა 91.0, მე-3) (World Economic Forum, 2022).

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის კონცეფციების პრობლემებზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნით ისეთ მეცნიერებს, როგორებიცაა მაიკლ პორტერი, ე. ჰეკშერი, ბ. ოლინი, გ. ჰოტელინგი, და სხვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეკონომიკური თანამშროლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით (OECD, 2023), “კონკურენტუნარიანობა არის კომპანიის, დარგის, რეგიონისა და ერის უნარი უზრუნველყოს სხვებთან შედარებით შემოსავლისა და ხელფასის მაღალი დონე, დარჩეს რა ღიად საერთაშორისო კონკურენციისთვის”.


კონკურენტუნარიანობის თეორიაში ცნობილია მაიკლ პორტერის ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი, რომელიც ასევე მოიხსენიება ეროვნული უპირატესობის პორტერის რომბის თეორიად.

იგი, როგორც სისტემა, აერთიანებს ლოკალური კონკურენციული უპირატესობის ოთხ დეტერმინანტს. ესენია: 1. ფაქტორული პარამეტრები; 2. მოთხოვნის პირობები; 3. საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი დარგებისა და დამხმარე სფეროების ერთმანეთთან დაკავშირების პირობები; 4. კომპანიის მყარი სტრატეგიის, სტრუქტურის და კონკურენტული გარემოს შექმნის პირობები.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომლის ოთხი დეტერმინატი ხელს უწყობს კონკურენტულ სფეროებში კლასტერების წარმოშობას. მაიკლ პორტერის აზრით, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის პრიზმაში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა განხილული უნდა იყოს არა ცალკეული კომპანიების, არამედ კლასტერების მიხედვით. აშშ დღეისათვის ერთ-ერთი მოწინავეა კლასტერების რაოდენობით.

კლასტერის შემადგენელ ნაწილად ყოფნა კომპანიებს საშუალებას აძლევს უფრო პროდუქტიულად იმუშაონ წყაროების მოძიებაში; ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციასთან, ტექნოლოგიებსა და საჭირო ინსტიტუტებთან; მოახდინონ შესაბამის კომპანიებთან კოორდინაცია, შემგომი გაუმჯობესების გასაზომად და მოტივაციისთვის (Porter, 1998).

მაიკლ პორტერის რომბის მოდელი ოთხი დეტერმინანტით სქემა 1.



არსებობს კიდევ ორი ცვლადი, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს ან შეასუსტოს ამ ოთხი ფაქტორის ურთიერთქმედების სინერგიული ეფექტი - შემთხვევითი მოვლენები და მთავრობის ქმედებები (Smith, 2010).

მაიკლ პორტერის თქმით, „აღნიშნული დეტერმინანტები ქმნიან ეროვნულ გარემოს, რომელშიც კომპანიები იბადებიან და სწავლობენ კონკურენციის გაწევას“ (Porter, 1990).

საინტერესოა რუგმანის (1992) მოსაზრება, პორტერის შეხედულებების საწინააღმდეგოდ, რომლის აზრით არ არსებობს განსაკუთრებული მიზეზი, რის გამოც მრავალეროვნულ ფორმებს სჭირდებოდათ საშინაო ბაზა, განსაკუთრებით გლობალიზაციის ეპოქაში. იგივე კონტექსტში პორტერის რომბის სისტემაში დანინგიც (1992) ამატებს ”ტრანსნაციონალურ ბიზნეს საქმიანობას”, რაც ვარაუდით მიგვანიშნებს შიდა და გარე პირდაპირი ინვესტიციების გავლენას კონკურენტული უპირატესობის რომბებზე.

მან ასევე აღნიშნა (Dunning, 1993), რომ პორტერის მიმოხილვაში მოცემული მტკიცებულებებიდან ჩანს იმ დარგების მნიშვნელობა, სადაც ინდუსტრიული ქვეყნები ცდილობენ თავიანთი კონკურენტული უპირატესობების განვითარებას, საყურადღებოა, რომ ტრანსნაციონალური ბიზნესის ცვლადი განიხილება, როგორც ცალკეული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ამ უპირატესობის კონფიგურაციაზე.

პორტერის ქვეყნის შიდა ერთი რომბი მნიშვნელოვანია უფრო დიდი ეკონომიკებისთვის, როგორცაა შეერთებული შტატები და იაპონია. პატარა ქვეყნებისათვის საჭიროა განზოგადებული ორმაგი რომბის მიდგომა.

ეს მიდგომა მოითხოვს, როგორც მცირე ქვეყნის შიდა რომბის, ასევე მისი უდიდესი სავაჭრო და ინვესტიციური პარტნიორის რომბის ანალიზს. ეს ახალი ჩარჩო გამოიყენება კანადასა და სამხრეთ კორეაზე. განზოგადებული ორმაგი რომბი უკეთესი გზაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთავრობის როლის დამოკიდებულების დასაანხად ფირმების, ინდუსტრიებისა და ერების კონკურენტუნარიანობასთან (Chang, Rugman, & Verbeke, 1995).

გ. მუნმა, ა. რუგმანმა და ვერბეკემ (1995) ორმაგი რომბი გადააკეთეს განზოგადებულ ორმაგ რომბად, როგორც საუკეთესო საშუალება ღია ეკონომიკის მქონე მცირე ქვეყნების პოზიციების გასაანალიზებლად.

რუგმანისა და დ'კრუზის მიერ (1993) შემუშავებული ორმაგი რომბის ჩარჩო ვარაუდობს, რომ მენეჯერებმა უნდა დააფუძნონ როგორც შიდა, ისე უცხოური რომბები, რათა გახდნენ გლობალურად კონკურენტუნარიანები გადარჩენის, მომგებიანობისა და ზრდის თვალსაზრისით.

რომბის მოდელი (ლურჯი) - განზოგადებული ორმაგი რომბის მოდელი (თეთრი)

სქემა: 2



ვინაიდან დღევანდელ გლობალურ ბიზნეს გარემოში, მრავალეროვნული საქმიანობა წარმოადგენს როგორც ეგზოგენურ, ისე ქვეყნის შიდა მოქმედ ცვლადს, ამ თვალსაზრისით პარკი და პარკ-ბარჯოტი (Parc & Park-Barjot, 2014) ამტკიცებენ, რომ უფრო ეფექტიანია განზოგადებული ორმაგი რომბის მოდელის გამოყენება, ვიდრე პორტერის ერთი რომბის მოდელის, რათა მოხდეს ერთი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაანალიზება და შედარება მეორე კონკურენტ ქვეყანასთან.

ქვეყნებს შორის მარტივი შედარების მიზნით, პორტერის ერთი რომბი წარმოდგენილია, როგორც შიდა რომბი, ხოლო განზოგადებული ორმაგი რომბი მოიხსენიება, როგორც გლობალური რომბი, რომელიც მოიცავს მრავალეროვნულ საქმიანობას. კერძოდ, გლობალური რომბი წარმოადგენს, როგორც შიდა რომბის, ასევე საერთაშორისო ცვლადების ჯამს, რომელიც წარმოადგენს ორიგინალი რომბის მოდელის ოთხი დეტერმინანტის მრავალეროვან საქმიანობას.

პორტერის ერთი რომბის ჩარჩო ხსნის აშშ-ს, იაპონურ და ე.წ. მრავალეროვნული კომპანიების, ანუ ტრიადის წარმატებას. ამასთან, პორტერის მოდელი არ გამოიყენება მცირე, ღია, სავაჭრო ეკონომიკისთვის, რომლებიც ამ სამეულის ნაწილები არ არიან.

პორტერის მიდგომა საკმაოდ სასარგებლოა იმ კომპანიებისთვის, რომელთაც სურთ ინტერნაციონალიზაცია და სჭირდებათ შესაბამისი ადგილის დამკვიდრება საზღვარგარეთის ქვეყნებში.

პორტერის მიდგომა კრიტიკულად ეხება ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ყველა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს ახალი ბიზნესის წამოწყებამდე ან არსებულის საზღვარგარეთ გაფართოვებამდე. ამასთან, სხვა საერთაშორისო ბიზნეს მოდელები, როგორცაა პორტერის ხუთი ძალის მოდელი ეხმარება პოტენციურ კონკურენტებთან, მყიდველებთან და მომწოდებლებთან დაკავშირებული რისკების და საფრთხეების შეფასებაში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები მსოფლიო მეურნეობის განვითარებასთან ერთად აღრმავებს და აფართოვებს თავისი არსებობის სფეროს და იძენს გლობალურ ხასიათს (Misala, 2011).

საერთაშორისო კონკურენცია სწორედ, რომ გლობალიზაციის შედეგს წარმოადგენს და გულისხმობს ერთი ქვეყნის უპირატესობას სხვა ქვეყანასთან გეოგრაფიულ მდებარეობასა და ქვეყნის ინსტიტუციონალურ წყობაში, ბიზნესის კეთების სისწრაფესა და ეკონომიკურ ზრდაში და მთელ რიგ სხვა ფაქტორებში (Barney, 1995).

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია როგორც შიდა, ისე გარე მოქმედ ფაქტორებზე. გარე PESTEL ფაქტორების ცვლილებები: PESTEL¹ ნიშნავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და ტექნოლოგიურ ეკოლოგიურ და სამართლებრივ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის მაკრო გარემოზე. (PESTEL ფაქტორების ცვლილებები განხილული გვაქვს ვრცლად ქვეთავი 2.1-ში)

საკომუნიკაციო და ინფორმაციულ სფეროში რევოლუციურმა ცვლილებამ, აგრეთვე სატრანსპორტო ხარჯების მკვეთრმა შემცირებამ ხელი შეუწყო წარმოების პროცესის საერთაშორისო ფრაგმენტაციას (WTO, 2017). ფრაგმენტული პროდუქციის ქსელებს ქვეყნებში გლობალური ღირებულების ჯაჭვები ეწოდება (WTO, Edited by

¹ PESTEL ანალიზში ვრცლად განვიხილავთ თითოეული ქვეყნის მაჩვენებლებს.

Deborah K. Elms and Patrick Low, 2017). საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ბირთვში კვლავ დომინირებს თეორიები, რომლებიც სრული საქონლით ვაჭრობას ითვალისწინებს. როგორც გროსმანმა და როსი-ჰანსბერგი (Grossman & Rossi-Hansberg, 2006) აღნიშნავენ, მას ესაჭიროება ახალი პარადიგმა ამ ტენდენციების შედეგების უკეთ გასაგებად. გაფართოებული რიკარდოსეული სავაჭრო მოდელი გვთავაზობს ახალ თეორიას, რომელიც განიხილავს საქონლით ვაჭრობას და გლობალური ღირებულების ჯაჭვების წარმოქმნას (Esaïth & Miroudot, 2016, July 4-8).

ღირებულებათა ჯაჭვის კონცეფცია გამოყენებული იქნა გლობალური ღირებულების ჯაჭვების საერთაშორისო ვაჭრობის გასაანალიზებლად და მოიცავს "საქმიანობის სრულ სპექტრს, პროდუქტის წარმოქმნიდან მისი დიზაინის, ნედლეულის, შუალედური საშუალებების, მისი მარკეტინგის, დისტრიბუციისა და საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების ჩათვლით" (Global Value Chains).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე (UNCTAD) და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO), აქტიურად იყენებენ დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის კონცეფციას ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გზების გამოსავლენად (შაბურიშვილი, 2018). გლობალური ღირებულების ჯაჭვები დღეს მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით ნახევარს შეადგენს (World Development Report, 2020).

საერთაშორისო ვაჭრობის საკითხების შესწავლისა და ქვეყნების მსოფლიო ბაზართან ინტეგრაციის პრობლემის კვლევაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის გრავიტაციულ მოდელს (Grosch, 2011). მოდელი ეყრდნობა ნიუტონის გრავიტაციის კანონის იმიტაციას, რომელშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება ობიექტების ფიზიკურ პარამეტრებს და მანძილს.

ეკონომიკური პრობლემების კვლევაში გრავიტაციის პრინციპები პირველად ვალტერ ისარდმა შემოიტანა 1954 წელს (Isard, 1954). ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ძირითადი მოდელი (i და j) მიიღებს ფორმას $F_{ij} = G * M_i M_j / D_{ij}$, აღნიშნულ

ფორმულაში **G** არის მუდმივი, **F** წარმოადგენს სავაჭრო ნაკადს, **D** ნიშნავს მანძილს და **M** აღნიშნავს დასაკვირვებელი ქვეყნების ეკონომიკურ ზომებს.

მიუხედავად იმისა რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს რომ გრავიტაციის განტოლებას არ აქვს თეორიული დასაბუთება (Deadroff, 1998). მოდელი აქტიურად გამოყენება ჰიპოთეზების შესამოწმებლად და აქვს მნიშვნელოვანი ემპირიული ვალიდობა ორმხრივი ვაჭრობის კვლევისას (Magrini, Montalbano, & Nenci, 2017).

UNCTAD და WTO-ს ყოველწლიურ ანგარიშებში ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი აღწერილია, როგორც ძალიან ინტუიციური მექანიზმი (Yotov, Piermartini, Monteiro, & Larch, 2016), რომელიც ქვეყნებს შორის დაშორების და ეკონომიკური ზომების ურთიერთქმედების საფუძველზე პროგნოზირებს ქვეყნებს შორის ვაჭრობას (Akman, 2016).

უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ ორმხრივი სავაჭრო სქემები ემპირიულად კარგად არის აღწერილი ე.წ. გრავიტაციის განტოლებით, რომელიც ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას დადებითად აკავშირებს - შემოსავლებთან, ხოლო უარყოფითად - მათ შორის მანძილთან, ჩვეულებრივ ფუნქციური ფორმით, როგორც ფიზიკაში მიზიდულობის კანონი (Deadroff, 1998).

ზოგადად, გრავიტაციის მოდელი გამოიყენება ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის შესასწავლად. ასევე ის კარგი საშუალებაა ქვეყნის შშპ-ზე პოზიტიური ზეგავლენის და გეოგრაფიული მანძილის ნეგატიური გავლენის ასახსნელად (Heplman, Melitz, & Rubinstein, 2008). ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ არსებობს აბსოლუტური მტკიცებულება, რომ ვაჭრობა მიდრეკილია კლებისკენ მანძილთან მიმართებაში (Carrere, Mrazova, & Neary, 2020). დისდიერი და ჰედი (2008) ჩატარებულ მეტაანალიზში ასაბუთებენ ვაჭრობაზე მანძილის უარყოფთ გავლენას.

მრავალ სამეცნიერო ნაშრომში გრავიტაციის განტოლება გამოყენებულია გეოგრაფიული მდებარეობის, დემოგრაფიული პარამეტრების, RTA-ების, ტარიფების (Baier & Bergstrand, 2001), ექსპორტის (Heplman, Melitz, & Rubinstein, 2008),

სუბსიდიების, ემბარგოების, სავაჭრო სანქციების, საგარეო დახმარების, იმიგრაციის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (Francois, Pindyuk, & Woerz, 2009), კულტურული კავშირების საერთაშორისო ვაჭრობაზე ზემოქმედების შესასწავლად.

კუმარმა და აჰმედმა (2015) გრავიტაციული მოდელის გამოყენებით სამხრეთ აზიის რვა ქვეყნისთვის აჩვენეს, რომ ვაჭრობა განისაზღვრება ისეთი ცვლადებით, როგორცაა მოსახლეობა (Stewart, 1948), მშპ (Boulhol, Serres, & Molnar, 2008), მანძილი (Anderson & Yotov, 2010) და ტარიფები (McGuire, 2002). სულთანმა და მუნირმა (2015) გამოიყენეს გრავიტაციული მოდელი პაკისტანის გლობალური ექსპორტის, იმპორტისა და სავაჭრო პოტენციალის გასაანალიზებლად. 2001 წლიდან 2013 წლამდე პანელის მონაცემების გამოყენებით, მათ აჩვენეს, რომ ექსპორტის და იმპორტის ანგარიშები განსხვავებულია რეგიონებში.

ემპირიული კვლევები (Bergstrand, 1985) აჩვენებს, რომ სასაზღვრო ბარიერების გავლენა ვაჭრობაზე შედარებით მცირეა (Havranek & Irsova, 2016).

ელჰანან ჰელპმანი და პოლ კრუგმანი (1985) ამტკიცებენ, რომ მსგავსი შემოსავლების დონის მქონე ქვეყნები უფრო მეტად ვაჭრობენ ერთმანეთთან. ჰელპმანი და კრუგმანი ამას ხედავენ იმის მტკიცებულებად, რომ ამ ქვეყნებს დიფერენცირებული საქონლით ვაჭრობა აქვთ მათი მსგავსების გამო (Helpman & Krugman, 1985).

ეს ხედვა გამოყენებულ იქნა ეკონომისტების (Irshad & Xin, 2018) მიერ ორმხრივი სავაჭრო ნაკადების განმსაზღვრელი დეტერმინანტების (ფაქტორების) გასაანალიზებლად როგორცაა საერთო საზღვრები, საერთო რელიგია. საერთო სამართლებრივი სისტემები, საერთო ვალუტა, საერთო კოლონიური მემკვიდრეობა, და ის გამოიყენეს ისეთი სავაჭრო ხელშეკრულებებისა და ორგანიზაციების ეფექტიანობის შესამოწმებლად, როგორცაა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (NAFTA) და მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (WTO). კვლევამ აჩვენა, რომ საერთო საზღვარი შესაძლოა საზიანო იყოს ქვეყნის ეკონომიკისთვის (Darmayadi & Megits, 2023).

გრავიტაციის მოდელი ასევე გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში ვაჭრობაზე ხელშეკრულებებისა და კავშირების გავლენის შესაფასებლად.

ბიალინიკა-ბირულამ (2015) წარმოადგინა გრავიტაციული მიდგომა საერთაშორისო ვაჭრობის მიმართ ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებში და აღმოაჩინა მანძილის უარყოფითი და მნიშვნელოვანი გავლენა.

ცინარი და სხვამ, გამოიყენეს გრავიტაციის მოდელი, რათა შეესწავლათ ყოფილი აბრეშუმის გზის რეგიონში მდებარე ქვეყნების სავაჭრო პოტენციალი (Cinar, Johnson, & Geusz, 2016). ამავე კონტექსტით გამოიკვლიეს ქვეყნების ჩინეთთან ვაჭრობის შენარჩუნების შესაძლო პერსპექტივები. იგი ასევე ასახავდა, რომ პოზიტიური შედეგები მიღწეული იქნა სამხრეთ აზიის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (SAFTA) მეშვეობით, რაც ეფექტიანია SAARC-ის ქვეყნებისთვის შიდა რეგიონული ვაჭრობის გასაუმჯობესებლად.

ირშადმა, სინიმ, შაჰრიარმა და ალიმ გამოიყენეს გრავიტაციული მოდელი ჩინეთის OPEC-ის წევრ ქვეყნებთან 1990-2016 წლებში ვაჭრობის მოდელების შესაფასებლად (Irshad, Xin, Shahriar, & Ali, 2018). ჩინეთსა და WTO-ს წევრ OPEC-ის ქვეყნების შემოსავალზე (მშპ ერთ სულ მოსახლეზე), ორმხრივი ვაჭრობა პოზიტიურ კავშირშია მშპ-სა და ვაჭრობის გახსნილობასთან. ემპირიული მტკიცებულებების თანახმად, ქვეყნის ღიაობა დადებითად აისახება მის კეთილდღეობაზე (Dragusha, Hasaj, Kruja, & Lulaj, 2023).

გრავიტაციული განტოლება წარმატებით გამოიყენება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების (FTA) სავაჭრო ნაკადებზე ზემოქმედების კვლევისას. FTA-ის მთელი მიზანია შეამციროს ბარიერები ვაჭრობისთვის ყველა სექტორში. ჰანნამ (2016) კვლევაში აჩვენა, რომ ექსპორტის მოგება უფრო მაღალია, როდესაც განვითარებად ბაზრებს აქვთ სავაჭრო ხელშეკრულებები მოწინავე ბაზრებთან.

ბაიერისა და ჯეფრი ბერგსტანდის (2007) კვლევამ აჩვენა, რომ, საშუალოდ, FTA დაახლოებით აორმაგებს ორი ქვეყნის ორმხრივ ვაჭრობას 10 წლის შუალედის

პერიდში. FTA ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, რაც აძლევს მას შესაძლებლობას ნაკლებად დამოკიდებული გახდეს საგარეო დახმარებაზე.

ნაროდლუ (2010) იკვლევდა მოსახლეობის გავლენას ორმხრივ ვაჭრობაზე. მან გამოავლინა, რომ ექსპორტიორი ქვეყნისთვის მოსახლეობის გავლენა ორმხრივ სავაჭრო ნაკადებზე დადებითია, ხოლო იმპორტიორი ქვეყნისთვის უარყოფითი. მათიასი (1997) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მოსახლეობას აქვს მიდრეკილება გაზარდოს ვაჭრობა, ხოლო დელ'არისია (1999) ემხრობა მოსახლეობის უარყოფით კოეფიციენტს.

ზემოაღნიშნული ცვლადების გარდა, საერთაშორისო თუ ორმხრივ ვაჭრობაზე გავლენას ახდენს მრავალი სხვა ფაქტორი, მათ შორისაა საერთო კულტურისა და რელიგიის გაზიარება.

მაგალითად, მეჰანამ (2003) 1996-1999 წლებში 33 შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითზე გამოიკვლია, რომ კულტურას წარმოდგენილს რელიგიითა და ენობრივი კუთვნილებით, აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ახლო აღმოსავლეთის ვაჭრობაზე (Mehanna, 2003). მეცნიერების ნაწილი ვარაუდობენ, რომ ზოგიერთი რელიგიური კულტურა სხვაზე მეტად ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო ქსელების ჩამოყალიბებას (Lewer & Van Den Berg, 2007).

1.3 საქართველოსა და აშშ-ის ადგილი გლობალურ ბიზნეს-გარემოში

XXI საუკუნეში საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანა არის ჩართული და თითოეული სახელმწიფო მეტნაკლებად განიცდის გლობალიზაციის გავლენას. სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ვაჭრობის გარიგებებში, რათა გაიუმჯობესონ ეკონომიკური კეთილდღეობა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად გაიღრმავონ პოზიციები საერთაშორისო არენაზე.

საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის განვითარება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლებიც მთლიანობაში ზემოქმედებას ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად მიმართულებებსა და ტემპებზე.

90-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნების მთავრობათა წინაშე უმთავრეს ამოცანად სწორი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა დაისახა, რაზეც იქნებოდა დამოკიდებული მომავალში კავკასიის რეგიონის ქვეყნების სუვერენიტეტის დამცავი მექანიზმის სიცოცხლისუნარიანობა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნის შესაძლებლობა. მათი პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში დიდი როლი ითამაშა კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანმა გეოსტრატეგიულმა მდებარეობამ.

კავკასიის რეგიონის რესპუბლიკებმა, კერძოდ საქართველომ, აზერბაიჯანმა და სასომხეთმა დაიწყეს კონტაქტების გაფართოება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ლიბერალური პოლიტიკის გზას დაადგა და თანასწორუფლებიანობისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული პარტნიორული ურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან დაამყარა.

დამოუკიდებლობის მოპოვებამ საქართველო გამოწვევების წინაშე დააყენა. საომარმა მოქმედებებმა საქართველოს ორ რეგიონში, აგრეთვე სამოქალაქო სამხედრო

დაპირისპირებამ დედაქალაქში გაზარდა კრიმინოგენული მდგომარეობა ქვეყანაში, რასაც მოჰყვა საქართველოს ეკონომიკის დაღმავალი სვლა, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და უმუშევრობის დონის კატასტროფულად მატება. ქვეყნის არჩეულმა მთავრობამ უპირველეს მიზნად დაისახა ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესება. საჭირო გახდა დროული რეფორმების შემუშავება და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმება. აღსანიშნავია FTA-ს მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საქმეში. საქართველოს გაფორმებული აქვს FTA თანამეგობრობის თითქმის ყველა ქვეყანასთან, ევროკავშირთან, თურქეთთან და ჩინეთთან (MESDG, 2023).

1992 წლის 31 ივლისს, საქართველოს გაეროში გაწევრიანების დღეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ქართველმა დიპლომატმა, ა ჩიკვაიძემ (გაეროს გენერალური ასამბლეა, 1992) თავის სიტყვაში აღნიშნა: “რა შეიძლება შესთავაზოს დანარჩენ მსოფლიოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ტრადიციის ქვეყანამ - საქართველომ?” აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, როგორც “დამაკავშირებელი ჰაბი” მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვან დატვირთვას სძენს.

შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის რეგიონის გარშემო ერთმანეთს სხვადასხვა მხარის ინტერესები ხშირად იკვეთება. აღნიშნული ინტერესები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სახისაა. ძირითადი ადგილი კასპიის ენერგორესურსებსა და მათი ტრანსპორტირების გზებზე კონტროლის მოპოვებას ენიჭება.

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა წამყვან როლს ასრულებს გლობალურ ფინანსურ სისტემაში. აშშ, როგორც წამყვანი ინდუსტრიული ქვეყანა ყველაზე კონკურენტუნარიანია მსოფლიოში, მულტიკულტურული ქვეყანა პლანეტაზე წარმოდგენილია ყველაზე მაღალი საიმიგრაციო მაჩვენებლით. აღსანიშნავია ისიც, რომ ის არის მსოფლიოს მთავარი მყიდველი ქვეყანა.

კეთილი ნების გარდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კურსში კავკასიის რეგიონის და კერძოდ საქართველოს მიმართ გარკვეული ინეტერესები დევს. კერძოდ:

- ✓ კავკასიის რეგიონში შემავალ ქვეყნებში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებით აშშ ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენას შეასუსტებს;
- ✓ კონტროლს გაუწევს ირან-რუსეთის ბალანსს;
- ✓ არ მისცემს რუსეთს ენერგორესურსების ერთპიროვნულად მართვის საშუალებას;
- ✓ გააძლიერებს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებას და რეგიონს თავისი სტრატეგიული მოქმედებების პლაცდარმად გადააქცევს.

აღნიშნული ურთიერთობების გაღრმავებამ რუსული პოლიტიკა კიდევ უფრო აგრესიული გახადა კავკასიის რეგიონის ქვეყნების მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო სიძლიერე შეიძლება ითქვას, რომ გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან. პრაქტიკულად ევროპის ძირითადი მომმარაგებელი გახდა აშშ. აღნიშნულმა გამოიწვია მისი, როგორც “მსოფლიო მონოპოლისტად” ჩამოყალიბება და განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გადაწყვეტა.

განსაკუთრებით ოცდამეერთე საუკუნეში ქვეყნების მჭიდროდ დაკავშირებამ როგორც ერთმანეთთან, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს განვითარებული ქვეყნების მომავალზე. ყურადსაღებია “დომინოს ეფექტი” განვითარებულ ქვეყნებზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების უკუსვლამ შეიძლება გამოიწვიოს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი სამთავრობო სავაჭრო დოკუმენტით ქვეყანა თავისუფალ ვაჭრობას Free Trade Agreement - FTA) ახორციელებს, როგორც მის უშუალოდ მოსაზღვრე კანადასა და მექსიკასთან, ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის თითქმის 20 ქვეყანასთან. აშშ FTA-თ ვაჭრობს (USTR, 2023) როგორც სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მდებარე ქვეყნებთან, ასევე ევრაზიის, ავსტრალიისა განვითარებულ და აფრიკის ზოგიერთ განვითარებად ქვეყანასთან.

ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი ვალუტაა აშშ დოლარი (USD). ქვეყანას გააჩნია მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სავალუტო ხაზინა. აშშ საერთაშორისო ვაჭრობას ახორციელებს დოლარით, რაც მას უფრო მეტად მიმზიდველს და ძლიერს ხდის მსოფლიო მასშტაბით. ვალუტის კურსის ცვლილება იწვევს მსოფლიო პროდუქტებზე ფასების ცვლილებას, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა განაგებს “მსოფლიო მიწოდება-მოთხოვნას”.

გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანი ეტაპია ისეთი გარდამავალი ქვეყნის განვითარებისთვის, როგორც საქართველო. წინ უამრავი გამოწვევაა, რომელსაც საქართველო უნდა გაუმკლავდეს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება კი პრიორიტეტულია. საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედია საგარეო სექტორი, რომელიც საექსპორტო შემოსავლებში, ფულად გზავნილებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში პოვნებს გამოხატულებას.

საქართველოს თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე საკმაოდ კარგი შანსი აქვს ფეხი აუწყოს გლობალიზაციის პროცესებს, გაამყაროს საგარეო ურთიერთობები, როგორც მეზობელ, ასევე მოკავშირე-პარტნიორ ქვეყნებთან. აღნიშნული სიტუაცია საქართველოს მისცემს შანსს მოიზიდოს უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ისეთი მცირე ზომის ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის, როგორც საქართველოა.

მსოფლიოში ყველა ქვეყანა რაღაცა დონით ერთმანეთთან არის ურთიერთდაკავშირებული. კორონავირუსის პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ვაჭრობის ხელშეწყობის აუცილებლობა ქვეყნების ეკონომიკების გაძლიერებისათვის.

იქიდან გამომდინარე, რომ ზეწოლა განიცადეს გლობალურმა ეკონომიკებმა, ფინანსურმა სისტემებმა და მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულმა მიწოდების ჯაჭვებმა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას ესაჭიროებოდა დროული და მნიშვნელოვანი წვდომა როგორც მნიშვნელოვან მედიკამენტებზე, ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელ საკვებზე. ქვეყნებში შექმნილმა კრიზისმა მეტნაკლებად 2008 წლის ფინანსური კრიზისის “დუბლირება” გამოიწვია.

მრავალი მეცნიერი აღნიშნავს, რომ “COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ძირითადად გამოწვეულია მსოფლიოს ლიდერი სამი ეკონომიკის: შეერთებული შტატებს, EU და ჩინეთს შორის წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვების ჩამოშლამ” (სამადაშვილი, 2020). ჩინეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც განიცადა კორონავირუსის პირველი დარტყმა და აშშ-ს მსგავსად, ის წარმოადგენს “გლობალიზებული ეკონომიკის ჰაბს” საწარმოო ქსელებისა და მიწოდების გლობალური ჯაჭვების არსებობის მხრივ (OECD, 2020).

შედეგად, მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებს შორის დაწესებულმა საერთაშორისო სავაჭრო შეზღუდვებმა გამოიწვია გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელება. რამაც უარყოფითად იმოქმედა მცირე და განვითარებად ქვეყნებზე.

თავი II. საქართველოსა და აშშ-ის ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძვლები

2.1 საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის მიზეზები და სამართლებრივი საფუძვლები

მეოცე საუკუნის ბოლოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ გამოიარა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნები უამრავი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. ბევრ ქვეყანაში წამოიწყო ეთნიკური კონფლიქტები, მათ შორის საქართველო არ ყოფილა გამონაკლისი. ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ყოველივე აღნიშნულს მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლა, კორუფციის “აყვავება” და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესება.

2003 წლის ნოემბრიდან “ვარდების რევოლუციამ” სრულიად შეცვალა ქვეყნის მომავალი. ქვეყნის წინაშე დასახული ძირითადი მიზნები და მიმართულებები მოიცავდა: ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევას.

საქართველოს მთავრობის დამსახურებაა ქვეყნის ისეთი მნიშვნელოვანი წარმატება, როგორცაა კორუფციასთან ბრძოლა და საერთაშორისო დონეზე ქვეყნის აქტიური თანამშრომლობა მთელ რიგ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა გამოიწვია რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გამწვავება.

იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს ეკონომიკურად აყვავება და დაცული იყოს როგორც ქვეყნის დემოკრატია, ასევე თითოეული მოქალაქის უფლებები, საჭიროა საქართველოს სამომავლო პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბება.

საქართველოს მთავრობა მოწოდებულია ხელი შეუწყოს დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას და სოციალური სერვისების გაუმჯობესებას. საქართველო კავკასიის რეგიონში აშშ-ს მთავარი მოკავშირეა და კასპიის ზღვიდან ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ

ენერგორესურსების კარიბჭეა. 1991 წლის 25 დეკემბერს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ჰ. ბუშმა გადაწყვეტილება გამოაცხადა და აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო (DSUSA, 2023).

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გახსნა საელჩო საქართველოში და ოფიციალურად დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა (MFAG, 2023).

საქართველო ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ მუდმივად იღებს პოლიტიკურ, სამხედრო, ფინანსურ და ჰუმანიტარულ დახმარებას. “ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდამჭერი”, ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დოკუმენტში (USDS, 2020).

საქართველო და შეერთებული შტატები წარმოადგენენ მრავალმხრივ ორგანიზაციათა წევრ ქვეყნებს, როგორცაა UN, WTO, NATO, IMF და World Bank. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაფუძნებულია “ღია და თანასწორ” ურთიერთობაზე, ურთიერთპატივისცემაზე და ქვეყნების სამომავლო პერსპექტივების განვითარებაზე (USDS, 2020).

საქართველოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობა ორ ეტაპად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

საწყისი ეტაპი: ეხება თანამშრომლობას კულტურისა და სამეცნიერო სფეროში;

მიმდინარე ეტაპი: მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდებიდან იწყება, როდესაც აშკარა ინტერესი გამოიკვეთა დასავლეთისა და აშშ-ის მხრიდან, რაც კასპიის აუზის ენერგორესურსების მომხიბვლელობამ განაპირობა.

აშშ-მა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორია: სახელმწიფო საზღვრის დაცვა, კაპიტალის ბაზრის განვითარება, ტერორისზმთან ბრძოლა, ექსპორტის კონტროლი და ფულადი

პოლიტიკა და სხვა მრავალი. საქართველოსთვის კარი გაიღო მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის.

2002 წელს საქართველოსა და აშშ-ს შორის პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან განხორციელდა სამხედრო წვრთნები და მოხდა სამხედრო აღჭურვილობით საქართველოს დახმარება (MFAG, 2023).

აღნიშვნის ღირსია ამერიკის შეერთებული შტატების წვლილი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. შეერთებული შტატები საქართველოს განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან მოკავშირეს კავკასიის რეგიონში. ხოლო საქართველოსთვის აშშ შეიძლება ითქვას, მთავარი და ყველაზე ძლიერი სტრატეგიული პარტნიორია, რომელიც უამრავ დახმარებას ახორციელებს, როგორც ეკონომიკური, ასევე ჰუმანიტარული და სამხედრო დახმარების მხრივ.

საქართველოს ძირითად სამთავრობო დოკუმენტში (MFAG, 2023) აღნიშნულია, რომ “საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია აშშ-თან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება, რომელიც ოთხ მიმართულებას მოიცავს:

- (I ჯგ) უსაფრთხოება და თავდაცვა;
- (II ჯგ) ეკონომიკა, ვაჭრობა და ენერჯეტიკა;
- (III ჯგ) დემოკრატიული მმართველობა და სამოქალაქო საზოგადოება;
- (IV ჯგ) კულტურული კონტაქტები.

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან არ შენელებულა საქართველოს დახმარება სხვადასხვა სფეროში. ქვეყნის სუვერენიტეტისა და დემოკრატიის განვითარების რთულ გზაზე აშშ მუდმივად უცხადებს მხარდაჭერას საქართველოს.

საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას იღებს USAID - საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან მთელი რიგი ეკონომიკური, ჯანდაცვისა თუ სხვა რიგი სახემწიფო პროექტების განსახორციელებლად (USAID, 2023).

თითქმის ორი ათწლეულია MCC - ათასწლეულის გამოწვევების კორპორაცია მთავარი ხელშემწყობია საქართველოს ინფრასტრუქტურის ინვესტიციების (USDS, 2020).

MCC-ის ინვესტიციებმა მოახდინა რეგიონალური ვაჭრობის სტიმულირება რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურისა და საიმედო ენერჯით მომარაგების გზით. ასევე გააუმჯობესა რეგიონული და მუნიციპალური სერვისების მიწოდება, უზრუნველყო ინვესტიციური კაპიტალი და გაიზარდა პროდუქტიულობა ფერმებში (MCC, 2022).

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს საქართველოს ბაზარზე გამოავლინოს ბიზნესში ინვესტიციები და მოახდინოს მისი განვითარების შესაძლებლობები (ჭარაია, et al., 2020).

დღესდღეობით საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო ურთიერთობები ეფუძნება “GSP”-ს, რაც ითვალისწინებს საქართველოს მიერ ბაჟის გარეშე მრავალი პროდუქტის შეტანას შეერთებულ შტატებში.

აშშ-ის მხრიდან საქართველოსთვის გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარების ყველაზე მსხვილი დონორი არის ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID, 2023). აღნიშვნის ღირსია საქართველოსთვის გაწეული ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება, პერსონალის გაცვლა, სასწავლო პროგრამების დაფინანსება, Care Georgia (CG), Fund for Democracy Development (FDD), და სხვა. აღნიშნული ძირითადად კონცენტრირებულია ეკონომიკის რესტრუქტურისა და ენერჯეტიკული სექტორის რეფორმასა და დემოკრატიული მართვის პრინციპების ხელშეწყობაზე.

მეორე მსხვილ დონორ ორგანიზაციას კი აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი წარმოადგენს (USDA, 2023).

შეერთებული შტატები საქართველოს უცხადებს მხარდაჭერას კონფლიქტების მოგვარების საქმეში, აგრეთვე აღიარებს რა საქართველოს დამოუკიდებლობას, გმობს რუსეთის აგრესიას და გამოთქვამს მზადყოფნას სამომავლო ურთიერთობის შემდგომ ფაზაში გადასაყვანად. აღნიშნული მოიცავს NATO-ში გაწევრიანებას, მეტი ინვესტიციის განხორციელებასა და საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოვებას FTA ხელშეკრულების ჩათვლით. ყოველივე აღნიშნულის დადასტურებაა შეერთებული შტატების მთავრობის მიერ მიღებული “საქართველოს მხარდამჭერი აქტი”.


რაც შეეხება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელი მოეწერა “ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ორ ქვეყანას შორის “ჩარჩო ხელშეკრულების“ ფორმატში განსაზღვრავს ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში”. ნათქვამია საქართველოს მთავრობის თავდაცვის სამინისტროს ძირითად დოკუმენტში (MDG, 2023).

საქართველოს ეკონომიკური ზრდა და მომავალი განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებზე.

თითმის სამი ათწლეულია საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებულია “ხელშეკრულება ინვესტიციების შესახებ“, რომლის მიზანია ორივე ქვეყანის მიერ განხორციელებული ინვესტიციების უსაფრთხოება და სამომავლო ხელშეწყობა. 2016-2022 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებს 638 332 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია აქვს საქართველოში განხორციელებული (NSOG, 2022).

დიაგრამა 2.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან განხორციელებული პუი 2016-2022 წლებში



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.geostat.ge მონაცემებზე დაყრდნობით

აღსანიშნავია მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაცია OPIC-ის როლი საქართველოს საინვესტიციო პროექტებში, რომლის ძირითადი სამიზნე დარგებია განათლების სფერო, ტურიზმისა და სასტუმროების მომსახურება. პროექტი აგრეთვე მოიცავს ჯანდაცვისა და საფინანსო სექტორებს.

საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, რომელიც მოიცავს საერთაშორისო დონეზე პარტნიორ ქვეყნებთან FTA - თავისუფალი ხელშეკრულებების არსებობას. აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს მისცემს შანსს საერთაშორისო ბაზარზე პროდუქცია შეიტანოს შემცირებული ან ნულოვანი საბაჟო გადასახადით, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს ექსპორტის განვითარებასა და შესაბამისად ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებული პროდუქცია GSP-ით (Generalized System of Preferences) გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან, რაც ამცირებს

პროდუქციის ღირებულებას და ზრდის ქართული საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას აშშ-ის ბაზარზე.

WTO-ში (WTO, 2023) გაწევრიანების შემდეგ, საქართველოს მიერ განხორციელებულმა დემოკრატიულმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა საბოლოოდ გადააწყვეტინა აშშ-ს მოეხსნა საქართველოსთვის ჯექსონ-ვანიკის შესწორების მოქმედება და მიენიჭა GSP -ს რეჟიმი (CFR, 2022).

ვინაიდან GSP-ის წილი აშშ-ის იმპორტში დაბალ მაჩვენებელს ვერ სცდება და GSP-ის რეჟიმი დაახლოებით 3000-მდე დასახელების პროდუქციას შეეხება, საქართველოსთვის უმჯობესია ექსპორტის ეფექტიანობისთვის აშშ-თან მიაღწიოს (FTA) თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას. საჭიროა ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების გაგრძელება და საბოლოოდ შედეგამდე მისვლა. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად გააიოლებს ქართული პროდუქციის აშშ-ის ბაზარზე შეღწევას და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო საინვესტიციო მდგომარეობას უფრო მიმზიდველს გახდის.

თითქმის ერთ ათეულ წელზე მეტია რაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის “მაღალი დონის დიალოგი“ გაიმართა. აღნიშნული პროექტი მოიცავს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობასა და სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავებას, რომელიც მოიცავს საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის FTA - თავისუფალი ვაჭრობის არსებობას. აღნიშნული პროექტი პერიოდულად ისევ მოლაპარაკებების დონეზე განიხილება და ჯერ კიდევ არ არის საბოლოო შედეგი მიღებული.

2.2 საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნეს-გარემოს შედარებითი PESTEL ანალიზი გლობალური კონტექსტით

საქართველო რომელიც უძველესი ქვეყანაა, წარმოადგენს უნიტარულ, საპარლამენტო სახელმწიფოს ორი ავტონომიური რესპუბლიკით. განსხვავებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ბოლო სამი ათეული წელია ოკუპირებულია რუსეთის მიერ და იმყოფება საქართველოს “დე-ფაქტო იურისდიქციის” ფარგლებს გარეთ. რაც შეეხება “სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს”, როგორც შიდა ქართლის ნაწილი ამჟამად ისიც ოკუპირებულია და მინიჭებული აქვს “ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსი”.

საქართველო გეოგრაფიულად მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის, რომელიც წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ “გზაჯვარედინს”. ქვეყნის ტერიტორია განისაზღვრება 69,7 ათასი კვ. კილომეტრით. სახელმწიფო საზღვრის საერთო სიგრძე შეადგენს 2 148 კილომეტრს. საქართველოს სამხრეთით მოსაზღვრე ქვეყნებია აზრებაიჯანი, თურქეთის და სომხეთის რესპუბლიკები, ხოლო ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას. მსოფლიო ბანკის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3,7 მილიონს, ხოლო ნომინალური მშპ ერთ სულზე 4 448 აშშ დოლარს.

საქართველო მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის გამო წარმოადგენს “დამაკავშირებელ ხიდს“ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის. ქვეყანას აძლევს რა კავკასიის რეგიონში მთავარი მოთამაშის სტატუსს, საქართველოს აქვს შესაძლებლობა მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვანი ადგილის დაკავების.

ამერიკის შეერთებული შტატები ორმოცდაათი შტატით და ერთი ფედერალური ოლქით წარმოადგენს ფედერალურ სახელმწიფოს.

ქვეყანა მდებარეობს ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე და მას ჩრდილოეთით ესაზღვრება კანადა, ხოლო სამხრეთით მექსიკა (WHE, 2023). აღმოსავლეთით ესაზღვრება ატლანტიკის ოკეანე, ხოლო დასავლეთიდან წყნარი ოკეანე. აშშ-ის

დედაქალაქია: ვაშინგტონი (DC). ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ქვეყანა, ისტორია იწყება 1776 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა 4 ივლისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ხოლო მსოფლიოში პირველი კონსტიტუცია 1787 წელს მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში (USA, 2022).

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ინდოეთისა და ჩინეთის შემდეგ მესამე ადგილზეა მოსახლეობის სიმრავლით (USA), ხოლო მთლიანი ფართობით მეოთხე ქვეყანაა მსოფლიოში.

მსოფლიო ბანკის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით 329,5 მილიონიანი მოსახლეობის მქონე ეთნიკურად მრავალფეროვანი და მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა (PESTEL Analysis, 2022). ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური ზესახელმწიფო. ნომინალური მშპ-ს თვალსაზრისით, ის მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკაა.

საქართველოსა და მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის აშშ-ის ბიზნეს გარემოს გასაანალიზებლად გამოვიყენოთ PESTEL - ანალიზი. PESTEL-ის ანალიზში მოკლედ გავეცნობით სხვადასხვა ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ორივე ქვეყნის მაკრო გარემოზე. PESTEL ანალიზი მოიცავს - პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, გარემოსდაცვით და სამართლებრივ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის მაკრო გარემოზე.

პოლიტიკური ფაქტორები

შეერთებულ შტატებს აქვს ძლიერი დემოკრატიული წყობა და ეფექტიანი კანონის უზენაესობა. არჩევნები ითვლება სამართლიანად და გამჭვირვალედ. ქვეყანა სტაბილური პოლიტიკური კლიმატით სარგებლობს. აშშ-ს აქვს მასიური პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა როგორც ეროვნული, ასევე გლობალური პოლიტიკის შემუშავებაზე და აღიარებულია, როგორც წამყვანი სუპერ ძალა მსოფლიოში.

საერთაშორისო ანალიტიკური-კვლევითი ორგანიზაცია “The Economist Intelligence Unit”-ის მიერ წარმოდგენილი (EIU, 2020) ანგარიში ზომავს მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის ინდექსს. 2020 წლის ანგარიშში ნათლად ჩანს მსოფლიოს 165 ქვეყნის და 2 ავტონომიის დემოკრატიის დონე. დემოკრატიის ინდექსი გამოითვლება ხუთ კატეგორიაში გაერთიანებული 60 სხვადასხვა ინდიკატორით.


ეს კატეგორიებია (EIU, 2020): 1) საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი; 2) მთავრობის ფუნქციონირება; 3) პოლიტიკური ჩართულობა; 4) პოლიტიკური კულტურა და 5) სამოქალაქო თავისუფლება. ამ კატეგორიის ინდიკატორების ქულების მიხედვით, ქვეყნების კლასიფიცირება განსაზღვრულია შემდეგნაირად: “სრული დემოკრატია”, “ნაკლოვანი დემოკრატია”, “ჰიბრიდული რეჟიმი“ და “ავტორიტარული რეჟიმი“.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ამერიკის შეერთებული შტატები კანადის შემდეგ (კანადის 2020 წლის დემოკრატიის ინდექსი 9,24 ქულა და სრულად დემოკრატიული ქვეყანა) სიდიდით მეორე დემოკრატიაა.

აშშ რჩება "ნაკლოვანი დემოკრატიის" კატეგორიაში, რომელიც ქვეყნის ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის ეროზიის გამო 2016 წელს გამოვიდა "სრული დემოკრატიის" კატეგორიიდან. აშშ 2020 წელს წარმოდგენილია 7,92 ქულით და იკავებს 25-ე ადგილს, ხოლო საქართველო, როგორც ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყანა წარმოდგენილია 5,31 ქულით და იკავებს 91-ე ადგილს მსოფლიო რეიტინგში (EIU, 2020).

დიაგრამა 3.

დემოკრატიის ინდექსები 2016-2020 წლებში




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ The Economist Intelligence Unit-ის <https://www.eiu.com> მონაცემებზე დაყრდნობით

რაც შეეხება დემოკრატიულობის ინდექს კატეგორიების მიხედვით, შეგვიძლია შევადაროთ საქართველოს, აშშ-ის და მსოფლიოს 2020 წლის საშუალო მაჩვენებლები.

დიაგრამა 4.

დემოკრატიის ინდექსები კატეგორიების მიხედვით



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ The Economist Intelligence Unit-ის <https://www.eiu.com> მონაცემებზე დაყრდნობით

როგორც აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს და აშშ-ს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (3.57-საქართველო, 6.79-აშშ) მთავრობის ფუნქციონირებასა და (3.75-საქართველო; 6.25-აშშ) პოლიტიკური კულტურის კომპონენტებში უფიქსირდებათ.

აშშ-ის ქულა პოლიტიკური მონაწილეობის კატეგორიაში 8,89-მდე გაიზარდა, რაც მისი უმაღლესი ნიშნულია 2006 წლის შემდეგ. ყველაზე მაღალი გლობალური 9.17 ქულიანი მაჩვენებელი დაფიქსირდა საარჩევნო პროცესისა და პლურალიზმის კატეგორიაში. შეერთებულმა შტატებმა ასევე მოკრძალებულად გაიუმჯობესა ქულა სამოქალაქო თავისუფლების კატეგორიაში 8,53 ქულით 2020 წელს, 2019 წლის 8,24-თან შედარებით. პოლიტიკური კულტურა აშშ-სთვის ყველაზე სუსტ კატეგორიად იქცა, რომლის ქულები მკვეთრად დაეცა 2020 წელს 6,25-მდე, 2019 წლის 7,50-თან შედარებით, ხოლო რაც შეეხება 2020 წელს აშშ-ის ქულა მთავრობის ფუნქციონირების კატეგორიისთვის შემცირებულია 6,79-მდე.

საქართველოს მაჩვენებელმა სამთავრობო კატეგორიის ფუნქციონირების თვალსაზრისით 3.57 ქულა შეადგინა. ბოლო წლების ტენდენციის გაგრძელებით, პოლიტიკური მონაწილეობის საერთო გლობალური ქულის კიდევ ერთი ზრდა დაფიქსირდა 6.11 ქულა 2020 წელს. გლობალური ტენდენციების შესაბამისად, საქართველომ უარესი შედეგი მიიღო სამოქალაქო თავისუფლების მაჩვენებელშიც 5.29 ქულით, ნაწილობრივ კორონა ვირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების დანერგვის გამო. ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო საარჩევნო პროცესისა და პლურალიზმში. საქართველოს ქულა აღნიშნულ კატეგორიაში 7.83-მდე ავიდა 2020 წელს, რაც მისი უმაღლესი დონეა სხვა კატეგორიებთან შედარებით. კანონის უზენაესობის პოლარიზაციის შედეგია ქვეყნის პოლიტიკური კულტურის, 3.75 ქულიანი საკმაოდ დაბალი გლობალური მაჩვენებელი.

ადამიანის თავისუფლების ინდექსი (HFI, 2020) (The HUMAN FREEDOM INDEX 2020) წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების ფართო საზომს, გაგებული, როგორც იძულებითი შეზღუდვის არარსებობა. აღნიშნული წლიური ინდექსი იყენებს 162

ქვეყნის მონაცემს, რომელიც მოიცავს 76 მკაფიო ინდიკატორს და ზომავს პირადი და ეკონომიკურ თავისუფლებას შემდეგ სფეროებში (The Fraser Institute, 2020):

ცხრილი 2.

ადამიანის თავისუფლების ინდექსი (HFI) 2020

ადამიანის თავისუფლების ინდექსი (HFI) 2020												
ქვეყანა	კანონის უზენაესობა	უსაფრთხოება და დაცვა	სამოქალაქო მოძრაობა	რელიგია	ასოციაცია, ასამბლეა და სამოქალაქო საზოგადოება	აზრის გამოხატვა და ინფორმაციულობა	პირადობა და ურთიერთობები	მთავრობის ზომს	იურიდიული სისტემის და საკუთრების უფლებები	ფულის წვდომა	საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება	კრედიტის, შრომის და ბიზნესის რეგულაციები
საქართველო	5.4	9	6.7	7.1	8.6	9.2	8.2	7.9	6.5	9.3	9	8.3
აშშ	6.7	9.2	10	8	9.9	9.9	9	7.5	7.3	9.7	7.8	8.8

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.cato.org და www.fraserinstitute.org მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხრილში კარგად ჩანს, რომ საქართველოსა (5.4) და აშშ-ის (6.7) კანონის უზენაესობის ინდიკატორი საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი. ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს ფულის წვდომის (9.3) ხოლო აშშ-ს აზრის გამოხატვა და ინფორმაციულობაში (9.9) აქვს.

რაც შეეხება თავისუფლების ინდექსს, რომელიც წარმოდგენილია ინდიკატორების ნაკრებით 3 სხვადასხვა ჯგუფში, საქართველოს მაჩვენებელი შედარებით დაბალია პერსონალური თავისუფლების ჯგუფში (7.56), ხოლო აშშ-ს შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელში (8.22).

ცხრილი 3.

ადამიანის თავისუფლების ინდექსი (ნაკრები HFI) 2020

ადამიანის თავისუფლების ინდექსი (ნაკრები HFI) 2020						
ქვეყანა (162)	პერსონალური თავისუფლება	რეიტინგი	ეკონომიკური თავისუფლება	რეიტინგი	ადამიანის თავისუფლება	რეიტინგი
საქართველო	7.56	58	8.18	8	7.87	40
აშშ	8.66	29	8.22	6	8.44	17

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.cato.org და www.fraserinstitute.org მონაცემებზე დაყრდნობით.

დემოკრატიული ინსტიტუტები და კანონის უზენაესობა საკმარისი არ არის წარმატებული დემოკრატიის შესანარჩუნებლად. ხალხის ჩართვა დემოკრატიულ და ანგარიშვალდებულ გადაწყვეტილების მიღებაში არის ჭეშმარიტად აქტიური დემოკრატიის წინაპირობა, რომლის საბოლოო მიზანი უნდა იყოს აქტიურ მოქალაქეთა საზოგადოების შექმნა.

ეკონომიკური ფაქტორები

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები:

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საუკეთესო გზაა ეკონომიკური ზრდის გასაზომად. 2019 წლის შეერთებული შტატების მშპ დაახლოებით 21,43 ტრილიონი აშშ დოლარია. აშშ უდიდესი ეკონომიკაა მსოფლიოში ნომინალური მშპ-ს მიხედვით. 2019 წელს მსოფლიოს გლობალურმა მშპ-მ შეადგინა დაახლოებით 84,75 ტრილიონი აშშ დოლარი (The World Bank, 2022).

2020 წელს შეერთებული შტატების რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 20,94 ტრილიონი აშშ დოლარი 2019 წელთან შედარებით შემცირებული მაჩვენებლით წარსდგა, რაც მეტწილად გამოწვეული იყო პანდემიასთან დაკავშირებული

შეზრუდვებით. 2019 წლის მდგომარეობით აშშ-ის მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (PPP) 22,68 ტრილიონი აშშ დოლარია და ის მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილზე აღმოჩნდა (IMF, 2021).

2019 წლის შეერთებულ შტატებში უმუშევრობის დონემ მთლიანი სამუშაო ძალის 3.682% შეადგინა COVID-19 პანდემიის გამო გლობალური ეკონომიკური საქმიანობის შენელების გამო. 2019 წლის CPI-სამომხმარებლო ფასის ინდექსი (2010=100) 117-ია, ხოლო უმუშევრობა - 3,9% (UN, World Statistics Pocket book 2020).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში უამრავი შოკის მიუხედავად, მათ შორის 2007-08 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტი, კოვიდ პენდემია, საქართველოს ეკონომიკა საშუალო წლიური ტემპით 5%-ით გაიზარდა.

2020 წელს რთულ პერიოდში ქვეყანამ მშპ-ს რეალური ზრდის მკვეთრი -6,5%-იანი ვარდნა განიცადა. 2019 წლის რეალური მშპ 17,5 მილიარდი აშშ დოლარი იყო. ხოლო ერთ სულ მოსახლეზე (მშპ) შეფასდა 4 696,2 აშშ დოლარით (IMF, 2021).

საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2020 წელს დაახლოებით 15.9 მილიარდი აშშ დოლარი იყო, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე (მშპ) შეფასდა 4 275 აშშ დოლარით. მშპ-ის დეფლატორის ცვლილება 6,9% (The World Bank, 2022).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები.

2020 წელს ეკონომიკამ განიცადა რეცესია 6.2%-იანი შემცირებით. პანდემიასთან დაკავშირებულმა დაბლოკვითმა ზომებმა უარყოფითად იმოქმედა და დიდი გავლენა განიცადა ტრანსპორტის, ტურიზმისა და მშენებლობის სექტორებმა (MESDG, 2023). 2020 წლის ბოლოს უმუშევრობის დონემ 20,4%-ს მიაღწია, ხოლო სიღარიბის მაჩვენებელი 5.4%-იანი პუნქტით გაიზარდა (სიღარიბის ეროვნული ხაზის

გამოყენებით) (The World Bank, 2022). CPI (Consumer Price Index)- (CPI, 2022) სამომხმარებლო ფასის ინდექსი (2010=100) 13;

მშპ-სთან მჭიდრო კავშირშია მთლიანი ეროვნული პროდუქტი (GNP-Gross National Product) ასევე ცნობილი, როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI). მშპ-სგან განსხვავებით, რომელიც წარმოებას ზომავს გეოგრაფიული მდებარეობით, (GNI) ითვალისწინებს წარმოებას საკუთრების მიხედვით.

2019 წლის აშშ-ს (GNI)-მ 21,69 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოს მაჩვენებელმა მოკრძალებულად 55,35 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (MESDG, 2023).

ლეგატუმის ინსტიტუტის (The Legatum Institute, 2020) 2019-2020 წლის კეთილდღეობის ინდექსები ზომავს კეთილდღეობას მსოფლიოს 167 ქვეყანაში, რომლებიც ერთად შეიცავს მსოფლიოს მოსახლეობის 99,4%-ს.

ქვეყნის დონის თითქმის 300 მაჩვენებელი ჯგუფდება 66 პოლიტიკაზე ორიენტირებულ ელემენტად, გამოიყენება კეთილდღეობის ამჟამინდელი მდგომარეობის გასაზომად და იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა იგი 2010 წლიდან მსოფლიოში.

2019-2020 წლებში 53-ე ადგილზე საქართველოა, რომელიც ჩამორჩება აშშ-ს, რომელიც საკმაოდ კარგ შედეგზე მე-18 ადგილზეა, ევროპის ბევრ ქვეყანას და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს (The Legatum Institute, 2020). ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსი არის სხვადასხვა ფაქტორების გამოკვლევის შედეგი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში განაპირობებს ცხოვრების ხარისხს.

კვლევის ბოლოდროინდელმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ მატერიალური სიმდიდრის, არამედ ადამიანების ცხოვრების კმაყოფილების შედარება მსოფლიოს ქვეყნებში.

ცხრილი 4.

საქართველო-აშშ რეიტინგი 2019-2020 წლების ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით

The Legatum Prosperity Index - ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსი 2019-2020 წლებში														
2019 რეიტინგი	2020 რეიტინგი	ქვეყანა	უსაფრთხოება	პირადი თავისუფლება	მმართველობა	სოციალური კაპიტალი	საინვესტიციო გარემო	საწარმოო პირობები	ბაზრის წვდომა და ინფრასტრუქტურა	ეკონომიკური ხარისხი	ცხოვრების პირობები	ჯანმრთელობა	განათლება	ბუნებრივი გარემო
18	18	აშშ	66	22	22	17	10	4	4	17	28	59	20	22
53	53	საქართველო	73	61	51	111	41	53	56	82	89	82	55	115

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.prosperity.com მონაცემებზე დაყრდნობით.

2019-2020 წლების საერთო ანგარიშით საქართველო რეიტინგით ზედიზედ 53-ე ადგილზე იმყოფებოდა. საუკეთესო მონაცემი საინვესტიციო გარემოს, მმართველობის, საწარმოო პირობების, განათლებასა და ბაზრის წვდომა/ინფრასტრუქტურის მაჩვენებლებში აქვს. შემაშფოთებელი მონაცემები კი გამოიკვეთა ბუნებრივ გარემოში, სოციალურ კაპიტალში, ცხოვრების პირობებში და ეკონომიკურ ხარისხში, სადაც საქართველო 167 ქვეყანას შორის 82-ე ადგილზე აღმოჩნდა. რაც შეეხება უსაფრთხოებასა და პირადი თავისუფლების კატეგორიები წინა პერიოდებთან შედარებით გაუარესებული მაჩვენებლებით წარსდგა.

აშშ ყველაზე კარგი პოზიცია კვლავ საწარმოო პირობებში და ბაზრის წვდომა/ინფრასტრუქტურაში აქვს, შემდეგ მოდის საინვესტიციო გარემო 10 ქულით, სოციალური კაპიტალი და ეკონომიკური ხარისხი 17 ქულით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით.

რაც შეეხება განათლებას, პირად თავისუფლებას, მმართველობას, ბუნებრივ გარემოს და ცხოვრების პირობებს, წინა პერიოდებთან შედარებით მცირე ცვლილებით გამოირჩება. კვლავ დაბალია მაჩვენებლები ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების

კატეგორიებში, რაც აშშ-ის სარეიტინგო ქულებს დაბლა სწევს და მე-18 ადგილს ინარჩუნებს.

მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ბიზნესის კეთების ინდექსი (Doing Business Ranking), იმ სახელმწიფო რეგულაციების შეფასებას წარმოადგენს, რომელიც როგორც ხელს უწყობს ბიზნესის ოპერირებას, ასევე აფერხებს მას.

2020 წლისათვის მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილ ბიზნესის კეთების ანგარიშში საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით ლიდერთა შორისაა. ბიზნესის კეთების მაღალი სიმარტივე ნიშნავს, რომ მარეგულირებელი გარემო უფრო ხელსაყრელია ადგილობრივი ფირმის დაარსებისა და მუშაობისთვის. 1-190-დან რანჟირება განისაზღვრება ჯამური ქულების დახარისხებით 10 სხვადასხვა თემაზე, თითოეული შედგება რამდენიმე ინდიკატორისგან, თანაბარი წონის მინიჭებით თითოეულ თემაზე (Doing Business, 2020).

2020 წლის მონაცემებით მსოფლიოს 190 ეკონომიკას შორის საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით მე-7 ადგილზეა ქულით 83.7, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები მე-6 ადგილზე 84,0 ქულით. ბოლო 2019-2020 წლების პერიოდში აშშ და საქართველო ერთი და იგივე მე-6 მე-7 პოზიციებს მყარად ინარჩუნებენ (Doing Business, 2020).

ცხრილი 5.

საქართველოსა და აშშ-ის რეიტინგები ბიზნესის წარმოების პირობების მიმზიდველობით 2019-2020 წლებში

რეიტინგი	ქულა	2019-2020	საწარმოების რეგისტრაცია	მშენებლობის ნებართვის	ელექტროენერგიის მიღება	ქონების რეგისტრაცია	დაკრედიტება	ინვესტიციების დაცვა	დაბეგვრა/გადასახადები	ვაჭრობა საზღვრებს	კონტრაქტების შესრულების უზრუნველყო	საწარმოების ლიკვიდაცია
6	84	აშშ	55	24	64	39	4	36	25	39	17	2
7	83.7	საქართველო	2	21	42	5	15	7	14	45	12	64

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ www.doingbusiness.org-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ბიზნესის კეთების ანგარიში მოიცავს ბიზნესის რეგულირების 12 სფეროს. ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში გაერთიანებულია 10 ინდიკატორი.


ბოლო პერიოდში საქართველოს ბიზნეს-გარემო არსებითი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. 2019-2020 წლებში საქართველო ბიზნესის წარმოების (დაწყების) სიმარტივით მსოფლიოში მე-2 ადგილზეა და ის უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია, აშშ 55-ე ადგილი და სხვა. რაც შეეხება ქონების რეგისტრაციას მე-5 ადგილით და ინვესტორთა უფლებების დაცვა მე-7 ადგილით საქართველო საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა, რაც შეეხება აშშ-ს აღნიშნულ კატეგორიებში 39-ე და 36-ე ადგილებით საკმაოდ შემცირებული მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფა, დაკრედიტებისა და დაბეგვრა/გადასახადების კატეგორიას საქართველოს მაჩვენებლები საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება მე-12, მე-15 და მე-14 ადგილებით, თუმცა აშშ-ის მაჩვენებლები აღნიშნულ კატეგორიებში საკმაოდ მაღალია მე-17, მე-4 და 25-ე ადგილებით.

მშენებლობის ნებართვების მიღების სიმარტივით თითქმის ერთნაირი მაჩვენებლებით გამოირჩევიან საქართველო 21-ე და აშშ 24-ე ადგილებით. რაც შეეხება ყველაზე გაუარესებული მაჩვენებლებით საქართველო წარმოდგენილია ელექტროენერჯის მიღების 42-ე და საერთაშორისო ვაჭრობა 45-ე ადგილებზე. აშშ-ის მაჩვენებლებიც აღნიშნულ კატეგორიებში არასახარბიელოა და 64-ე და 39-ე ადგილებით გაუარესებულ სიტუაციას აჩვენებს. რაც შეეხება საწარმოების ლიკვიდაციას საკმაოდ გაუმჯობესებული მაჩვენებლით მე-2 ადგილზეა, ხოლო საქართველო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით 64-ე ადგილზეა.

ბიზნესის კეთების ანგარიში ასევე ზომავს მუშების დასაქმების რეგულაციას და კონტრაქტებს მთავრობასთან, რომელიც არ არის გათვალისწინებული ბიზნესის ქულისა და რანჟირების სიმარტივეში.

დიაგრამა 5.

ბიზნესის კეთების ანგარიში -Doing Business 2019-2020 წლების რეიტინგები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ www.doingbusiness.org-ის მონაცემებზე დაყრდნობით

2020 წლისათვის მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ნაჩვენებია საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები: მშენებლობის ნებართვებთან ურთიერთობა - საქართველომ გააუმჯობესა შენობის ხარისხის კონტროლი ინფორმაციასთან საზოგადოების ხელმისაწვდომობის გაზრდით.

რაც შეეხება 2019 (MESD, საქართველო მსოფლიო რეიტინგებში 2019) წლის რეფორმებში, ის შემოიფარგლებოდა 3 ძირითადი მაჩვენებლით: ბიზნესის წამოწყება; გადასახადების გადახდა; კონტრაქტების აღსრულება. მთლიანად საქართველოს განხორციელებული აქვს 51 რეფორმა 2006-2020 წლებში (MESD, ბიზნესის კეთება 2020).

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, 2020 წლისათვის მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ნაჩვენებია აშშ-ის მიერ განხორციელებული შემდეგი სახის რეფორმები: გამარტივდა ბიზნესის წამოწყება; გადასახადების გადახდა; ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში (The Global Competitiveness Report) წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ მიმოხილვას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF), რომელიც ჩამოყალიბდა 1971 წელს, ყოველწლიურად აქვეყნებს სახელმწიფოთა გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგებს (GCI, 2019) (Global Competitiveness Index, GCI). აღნიშნული ინდექსი კომპლექსურად ზომავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიურ მიღწევებს.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში GCI-ის მიზანია შეაფასოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა მსოფლიოში, გამოავლინოს ცალკეული ქვეყნების კონკურენტუნარიანი მხარეები და სისუსტეები, გამოავლინოს გლობალურ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობის ტენდენციები და გააუმჯობესოს ძირითადი ცოდნა კონკურენტუნარიანობის წყაროების და ეკონომიკური განვითარების პროცესის შესახებ (HBS, 2023).

გლობალური კონკურენტუნარიანობის GCI ინდექსი ქვეყნების შეფასებას ახდენს 4 ძირითადი მიმართულების მიხედვით, რომელიც აერთიანებს 12 ძირითად მაჩვენებელს, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია 98 კომპონენტად.

ცხრილი 6.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ წარმოდგენილია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 4.0 (GCI) 2019 წლის ანგარიში.

141		140		137				
ქვეყანა	GCI-4.0 2019		ქვეყანა	GCI-4.0 2018		ქვეყანა	GCI-4.0 2017	
	რეიტინგი	ქულა		რეიტინგი	ქულა		რეიტინგი	ქულა
აშშ	2	83.7	აშშ	1	85.6	აშშ	2	5.85
საქართველო	74	60.6	საქართველო	66	60.9	საქართველო	67	4.28

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ <http://www.gcr.weforum.org> -ის მონაცემებზე დაყრდნობით

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საანალიზო 2019 წლის პერიოდში 141 ქვეყანას შორის საქართველომ გაიუარესა პოზიცია და 66-ე ადგილიდან (2018 წ) 74-ე ადგილზე გადაინაცვლა, ჯამური 60.6 ქულით.

ხოლო აშშ მე-2 ადგილზე 83.7 ქულით. რაც შეეხება აშშ-ს, რომელიც 2017 წლის მონაცემით მე-2 პოზიციაზე იყო, 2018 წელს გაიუმჯობესა და ის ლიდერი გახდა 85.6 ქულით 1-პირველ პოზიციაზე (GCI, 2019).

2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოსათვის განხილული 12 მიმართულებიდან ყველაზე პრობლემატურ საკითხებს წარმოადგენს ბაზრის მოცულობა (104-ე ადგილი), ინოვაციური შესაძლებლობები (91-ე ადგილი), ფინანსური სისტემა (91 ადგილი), ჯანდაცვა (87-ე ადგილი) და მაკროეკონომიკური სტაბილურობა (84-ე ადგილი).

2019 წლის ანგარიშის მიხედვით, აშშ-ისთვის განხილული 12 მიმართულებიდან ყველაზე პრობლემატურ საკითხებს წარმოადგენს ჯანდაცვა (55-ე ადგილი) და მაკროეკონომიკური სტაბილურობა (37-ე ადგილი) (WEF, 2019).

საქართველოს კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის მაკროეკონომიურ სტაბილურობაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ჯანდაცვის, განათლებისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე, საწარმოო დონის გაუმჯობესებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმვასა და რეალიზებაზე (ყორდანაშვილი, 2016).

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, საქართველოს შეუძლია უმუშევრობის დონისა და სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირება, მოახდინოს დასაქმების სფეროში მკვეთრი რეფორმის განხორციელება და დამატებითი სამუშაო ადგილების ზრდა, რაც საბოლოოდ ქვეყანას მისცემს საშუალებას მიაღწიოს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას.

ამერიკის შეერთებული შტატების, 1995 წელს შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი კვლევითი ორგანიზაციის Heritage Foundation-ის (IEF, 2022) ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Index of Economic Freedom) ყოველწლიურად იკვლევს 180 ქვეყანას და განსაზღვრავს მათი თავისუფლების დონეს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შეფასება ძირითადად ეყრდნობა ისეთი საერთაშორისო რეიტინგების წყაროებს, როგორცაა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგი (Doing Business), გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) და მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსი (WJP) (MESD).

Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ს 2020 წლის კვლევის მიხედვით საქართველო მსოფლიო რეიტინგში დაწინაურდა და საქართველოს სარეიტინგო ქულამ ისტორიული მაქსიმუმი 77.1 ქულა შეადგინა,

მსოფლიო რეიტინგში 4 პოზიციით დაწინაურდა და მე-12 პოზიცია დაიკავა. წინა წელთან შედარებით საქართველო ევროპის რეგიონში 2 პოზიციით დაწინაურდა და შედეგით საქართველო ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით.

საქართველოს საერთო ქულა აღემატება როგორც რეგიონის (69.8 ქულა), ისე მსოფლიოს საშუალო ქულას (61.6 ქულა).

2020 წლის რეიტინგი შეფასებას აკეთებს შემდეგი 4 მიმართულებით: კანონის უზენაესობა, მთავრობის მოცულობა, რეგულაციების ეფექტიანობა და ღია ბაზარი. აღნიშნული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავს 12 კომპონენტს.

ცხრილი 7.

საქართველოსა და აშშ-ის 2018-2021 წლების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები

პერიოდი (წელი)	ქვეყნის კოდი	ქვეყანა	მსოფლიოს რეიტინგი	რეგიონის რეიტინგი	ქულა	საკუთრების უფლება	სასამართლოს ეფექტიანობა	მთავრობის სამართლიანობა	გადასახადების ტვირთი	მთავრობის დანახარჯები	ფისკალური სიჯანსაღე	ბიზნესის თავისუფლება	შრომის თავისუფლება	მონეტარული თავისუფლება	ვაჭრობის თავისუფლება	საინვესტიციო გარემოს	ფინანსური თავისუფლება
2021	61	საქართველო	12	7	77.2	66.9	59.3	64.6	89.1	76.9	94.9	84.9	76.7	76.7	86.0	80	70
	175	აშშ	20	3	74.8	79.7	72.4	76.8	76.0	62.2	34.9	82.5	87.1	81.1	80.4	85	80
2020	61	საქართველო	12	6	77.1	68.6	57.9	64.8	87.1	73.6	94.4	85.3	76.3	78.3	88.6	80	70
	175	აშშ	17	3	76.6	81.8	83.7	77.2	74.6	56.5	54.3	83.3	87.9	75.5	79.8	85	80
2019	61	საქართველო	16	8	75.9	65.9	54.6	58.5	87.1	73.6	93.9	85.8	76.6	76.0	88.6	80	70
	175	აშშ	12	2	76.8	79.3	78.6	77.4	75.1	57.1	53.1	83.8	89.4	76.6	86.6	85	80
2018	61	საქართველო	16	9	76.2	62.8	64.2	61.8	87.0	73.3	91.8	86.9	77.3	79.6	89.4	80	60
	175	აშშ	18	2	75.7	79.3	76.9	71.9	65.1	56.5	54.8	82.7	91.4	78.6	86.7	85	80

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ <https://www.heritage.org/> მონაცემებზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია, რომ რეიტინგის 12 კომპონენტიდან საქართველომ 2020 წლის მდგომარეობა გაიუმჯობესა 5 ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორცაა: საკუთრების უფლება (68.6 ქულა), მთავრობის სამართლიანობა (64.8 ქულა), სასამართლოს ეფექტიანობა (57.9 ქულა), მონეტარული თავისუფლება (78.3 ქულა) და ფისკალური თავისუფლება (94.4 ქულა).

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის საკუთრების უფლების ინდიკატორში ქვეყნის შეფასებამ 81.8 ქულა შეადგინა, ხოლო სასამართლოს ეფექტიანობის კომპონენტში აშშ-ს შეფასება გაუმჯობესდა და 83.7. ქულა შეადგინა, 2020 წელს აშშ-ის რეიტინგი 5 პოზიციით შეიცვალა და მე-17 პოზიცია დაისაკუთრა. რაც შეეხება ბიზნესის თავისუფლების კომპონენტში საქართველოს (85.3 ქულა) და აშშ-ის (83,3 ქულა) 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით მცირედით არის შემცირებული, ხოლო ვაჭრობისა და ფინანსური თავისუფლების კომპონენტებში საქართველოს და აშშ-ს ქულებს ცვლილება არ განუცდია.

საქართველოს 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, ჯამური შეფასების კლების მიუხედავად, კვლავ მე-16 პოზიციაზე იყო (75,9 ქულით) და ადგილს იკავებდა „უმეტესწილად თავისუფალი“ ქვეყნების რიგში. ხოლო აშშ მე-12 ადგილზე ჯამური ქულის მცირედი ცვლილებით 76.8 ქულით წარსდგა. 2021 წელსაც, საქართველო რეიტინგში მე-12 ადგილი შეინარჩუნა 77,2 ქულით, ხოლო აშშ-ი სამი პოზიციით ჩამოქვეითდა და 74.8 ქულით მე-20 პოზიციაზე აღმოჩნდა.

2019-2020 წლის საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, ზოგიერთ სფეროებში განცდილი მაღალი რეგრესი საფრთხეს უქმნის, როგორც ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო იმიჯს, ასევე ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, საქართველოსათვის ძირითად გამოწვევად რჩება მაკროეკონომიკური გარემოს ნაკლები სტაბილურობა, ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაცია, კანონის უზენაესობის დაბალი დონე, სამართლიანი

სასამართლოს არ ქონა, მაღალი დონის კორუფცია, ინფრასტრუქტურულ გამოწვევები და ინოვაციური განვითარების დაბალი მაჩვენებლები.

ქვეყნის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებებით დროული რეფორმების გატარება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

სოციალური ფაქტორები

აშშ მოსახლეობის მხრივ მესამე ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 330 მილიონი ადამიანია, რაც მსოფლიო მოსახლეობის 4.22%-ია და მე-3 ადგილზეა ჩინეთისა და ინდოეთის მერე (U.S.C.B).

მსოფლიოს მოსახლეობა (UNPD, 2020) 2021 წლის 20 მაისის მდგომარეობით შეადგენს 7 868 976 000. ინგლისური (განსაკუთრებით, ამერიკული ინგლისური) არის არაოფიციალური ეროვნული ენა აშშ-ში. რასის მიხედვით აშშ-ის მთლიანი მოსახლეობის 73.1%-ით უდიდეს ჯგუფს თეთრკანიანები ქმნიან; აშშ-ის მოსახლეობის 70% ქრისტიანია. ქვეყანაში აგრეთვე წარმოდგენილია უამრავი სხვადასხვა რასისა და რელიგიის მიმდევრები. უკანონო იმიგრაციის ზრდა აშშ-ის მნიშვნელოვანი საზრუნავია, რადგან ამჟამად აშშ-ში უკანონოდ ცხოვრობს 11,7 მილიონზე მეტი ადამიანი.

2019 წლის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3.72 მლნ ადამიანს, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 0.0474%-ია და 129-ე ადგილზეა (NSOG, 2022). ხოლო ეთნიკური ქართველები ამჟამინდელი მოსახლეობის 86,8%-ს შეადგენენ (World Bank, 2015).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო მოსახლეობის დადებითი ბუნებრივი მატება, საქართველომ დაკარგა მოსახლეობის დაახლოებით 31%. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო გარე მიგრაცია, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია (The World Bank, 2022). საქართველოს მოსახლეობის 83,4% მართლმადიდებელი ქრისტიანია (საქართველოს

საპატრიარქო, 2023). ისევე როგორც ადგილობრივი კავკასიელი ხალხების უმეტესობა, ქართველები არც ევროპასა და აზიის არცერთ მთავარ ეთნიკურ კატეგორიაში არ ჯდებიან. ქართული ენა არ მიეკუთვნება ინდოევროპულ ან სხვა ენათა ჯგუფს (Lang, 1966).

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ადამიანის განვითარების წლიურ ანგარიშში 189 ქვეყნის ადამიანის განვითარების ინდექსს (HDI, 2020) (Human Development Index) ადგენს. ინდექსი ითვალისწინებს მოცემულ ქვეყანაში არსებულ ადამიანთა ჯანმრთელობას, განათლებას და შემოსავალს, იგი უზრუნველყოფს ადამიანის განვითარების ისეთი საზომს, რომელიც შესაძარია მოცემულ ქვეყნებს შორის და დროის შუალედში (HDI, 2020).

2019 წლის ადამიანის განვითარების ინდექსში (HDI) საქართველოს რეიტინგი 0,812 ქულით 61-ე ადგილზეა. 2018 წლის მაჩვენებელთან (0,805 ქულა) შედარებით 2 პოზიციით არის გაუმჯობესებული. მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 78,1 წელი ქალებში და 69,3 წელია მამაკაცებში. გულის იშემიური დაავადება (IHD) გულ-სისხლძარღვთა დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია.

2019 წლის ადამიანის განვითარების ინდექსში აშშ-ს აქვს 0,926 ქულა და მე-17 ადგილზე, ბოლო 5 წლის განმავლობაში 3 პუნქტით დაიხია უკან. ჩატარებული კვლევის თანახმად, აშშ მოსახლეობის დაბერების პრობლემას განიცდის, ანუ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაზრდილია, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 81,4 წელი ქალებში და 76,3 წელია მამაკაცებში, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ გავლენას ახდენს მშპ-ს ზრდაზე, პროდუქტიულობაზე და ინოვაციებზე.

მსოფლიო ბანკის მიერ დათვლილი ეკონომიკაში ჯინის (Gini Index, 2019) კოეფიციენტი, რომელსაც ზოგჯერ ჯინის ინდექსი ან ჯინის კოეფიციენტი ეწოდება, არის სტატისტიკური დისპერსიის საზომი, რომელიც მიზნად ისახავს შემოსავლის უთანასწორობას ან სიმდიდრის უთანასწორობას ერში ან ადამიანთა სხვა ჯგუფში. (იგი შეიმუშავა იტალიელმა სტატისტიკოსმა და სოციოლოგმა კორადო ჯინიმ)

ცხრილი 8.

მსოფლიო ბანკი - ჯინის ინდექსი 2018-2019

World Bank - Gini Index 2018-2019		
ქვეყანა	კოეფიციენტი 2018	კოეფიციენტი 2019
საქართველო	36.4	35.9
აშშ	41.4	41.5

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ <https://data.worldbank.org/> მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხრილიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად ჩამორჩება ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს 2018-2019 წლების მაჩვენებლები.

ტექნოლოგიური ფაქტორები


ინოვაცია და ტექნოლოგია აშშ-ის ეკონომიკის ქვაკუთხედი. დაარსების დღიდან, ქვეყანა ლიდერობს ტექნოლოგიის ადაპტაციისა და გამოყენების თვალსაზრისით. ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Apple, Microsoft, Google, Facebook გლობალური ლიდერები არიან მთელს მსოფლიოში. გარდა ამისა, აშშ ასევე ლიდერობს ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა და განვითარების სფეროებში, როგორიცაა ნანოტექნოლოგია, ეკოლოგიური ტექნოლოგია და ბიოტექნოლოგია, რაც უხსნის მასიურ შესაძლებლობებს აღნიშნულ სფეროებში მოღვაწე კომპანიებს.

გლობალური ინოვაციის ინდექსი (GII, 2022), მოიცავს 132 ეკონომიკას და დაფუძნებულია 81 სხვადასხვა ინდიკატორზე, რომელიც წარმოდგენილია 7 სხვადასხვა კატეგორიით, თავის მხრივ 21 ქვე-კატეგორიებისაგან არის შემდგარი. ყოველწლიურად აფასებს ინოვაციური ეკოსისტემების ეფექტიანობას მთელს მსოფლიოში, ხაზს უსვამს ინოვაციის ძლიერ და სუსტ მხარეებს და განსაკუთრებულ

ხარვეზებს ინოვაციების მეტრიკაში. მისი მიზანია ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციების ჩვენება.

დიაგრამა 6.

2021 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსები კატეგორიების მიხედვით



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ <https://www.globalinnovationindex.org> -ის მონაცემებზე დაყრდნობით.

*(1-დან-33-მდე საუკეთესოა, 34დან-63-მდე საშუალოზე მაღალი, 67-დან 99-მდე საშუალო, ხოლო 100-იდან 132 დაბალი მაჩვენებელია)

2021 წლის გლობალური ინოვაციის ინდიკატორებში საქართველოს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი აქვს ინფრასტრუქტურაში, ბიზნესის დახვეწილობასა და ადამიანური კაპიტალის კვლევაში, ხოლო შედარებით მაღალი სარეიტინგო პოზიცია დაუფიქსირდა ბაზრის დახვეწილობასა და შემოქმედებითი შედეგების კატეგორიაში. რაც შეეხება აშშ-ს, მას შედარებით დაბალი მაჩვენებელი უფიქსირდება ინფრასტრუქტურის კატეგორიაში, ხოლო გაუმჯობესებული მაჩვენებელი მოიცავს

ბაზრის დახვეწილობა, ბიზნესის დახვეწილობა და ცოდნისა და ტექნოლოგიების შედეგების კატეგორიაში. შემოქმედებითი შედეგების კატეგორიაში საქართველოსა და აშშ-ს ერთნაირი მაჩვენებლები უფიქსირდება.

2019 წლის გლობალური ინოვაციის GCI ანგარიშში საქართველოსათვის განხილული 12 მიმართულებიდან ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ინოვაციური შესაძლებლობები (91-ე ადგილი),

2019 წლის საერთო სუსტი მაჩვენებლის მიუხედავად, შეერთებული შტატები რჩება ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტულ ეკონომიკად მსოფლიოში. ის კვლავ ინოვაციების ცენტრია, მე-2 ადგილზეა ინოვაციების შესაძლებლობების სვეტში (GII, 2022).

საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ბიზნესის განვითარებისთვის ინოვაციური ციფრული მომსახურებების შექმნის გზით. აგრეთვე მცირე წინსვლა განიცადა ფირმების ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით და ინოვაციური შესაძლებლობების მხრივ. სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით მთავრობამ ორი ახალი სააგენტო შექმნა. აღნიშნული ძალისხმევა ხელს უწყობს ფირმებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი დაბალი რჩება ინოვაციური კომპანიების ზრდის (108) თვალსაზრისით.

საქართველოს ინოვაციების ეროვნული ეკოსისტემის პროექტი (GENIE) ეხმარება ინოვაციურ დამწყებთა განვითარებაში, მათ შორის ციფრულ სფეროში, ხოლო სხვადასხვა სახის ღონისძიებების ფარგლებში გაწეული ტექნიკური დახმარება ხელს უწყობს ფინანსური და კაპიტალის ბაზრების გაღრმავებას, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას და ინვესტიციების გაძლიერებას. ინოვაცია, როგორც პოლიტიკის პრიორიტეტი, სულ უფრო თვალსაჩინო პოზიციას იკავებს მთავრობის სტრატეგიებსა და პროგრამებში.

გარემო ეკოლოგიური ფაქტორები

საქართველო, როგორც რეგიონალური, ასევე გლობალური მნიშვნელობით გამოირჩევა თავისი ბუნებრივი ფასეულობებით, შესანიშნავი ლანდშაფტებით, უხვი წყლის რესურსებით, მდიდარი ჰაბიტატებითა და ხელუხლებელი ეკოსისტემებით.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვან წყაროს და აქვს ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესაძლებლობა.

გარემო ეკოლოგიური ფაქტორების საუკეთესოდ წარმოსაჩენად ყველაზე ზუსტ ინფორმაციას იძლევა იელის გარემოსდაცვითი სამართლისა და პოლიტიკის ცენტრის (Yale Center for Environmental Law & Policy) (EPI, 2020)

2020 წლის გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი (EPI-Environmental Performance Index). ინდექსი წარმოადგენს მსოფლიოში 180 ქვეყნის ეკოლოგიური მდგრადობის მდგომარეობის შესახებ მონაცემებზე დაფუძნებულ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს 32 ინდიკატორს 11 სხვადასხვა საკითხის კატეგორიაში.

ეს ინდიკატორები ეროვნული მასშტაბით ასახავენ სიტუაციას, თუ რამდენად ახლოს არიან ქვეყნები გარემოსდაცვითი პოლიტიკის დადგენილ მიზნებთან. გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი EPI აფასებს თითოეულ ქვეყანას გარემოს ჯანმრთელობისა და ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის კუთხით.

ქულა 0-დან 100-მდე (0 წარმოადგენს ყველაზე შორს სამიზნეს და 100 - მიღწევის სამიზნეს) (EPI, 2020).

ცხრილი 9.

გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი EPI - 2020

გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი EPI - 2020 (180 ქვეყნის გლობალური EPI რეიტინგი, ქულები და რეგიონალური რეიტინგები (REG))														
ქვეყნები	EPI	გარემოს ჯანმრთელობა	ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობა	ჰაერის ხარისხი	სანიტარია და სასმელი წყალი	მძიმე მეტალები	ნარჩენების მართვა	ბიომრავალფეროვნება და ჰაბიტატები	ეკოსისტემის სერვისები	მეთევზეობა	კლიმატის ცვლილება	დაბინძურების ემისია	სოფლის მეურნეობა	წყლის რესურსები
	რეიტინგები													
აშშ	24	25	31	16	26	26	71	67	127	123	15	22	6	32
საქართველო	102	102	105	119	79	79	152	126	25	132	94	177	163	40
	ქულები													
აშშ	69.3	82.2	60.3	84.2	86.1	86.1	48.3	67.5	26.8	6.6	71.4	100	71.9	58.9
საქართველო	41.3	38.7	43.1	31.1	51.6	51.6	0	46.2	78	4.4	50.1	0.9	16.9	46.6

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.epi.yale.edu -ს მონაცემებზე დაყრდნობით

*(EPI -ის რეიტინგების დიაპაზონი: 1–36; 37–72; 73–108; 109–144; 145–180; N/A)

ცხრილიდან კარგად ჩანს აშშ-ს რეიტინგების მაღალი მაჩვენებელი აქვს ეკოსისტემის სერვისებსა და მეთევზეობაში, რასაც მოჰყვება შედარებით შემცირებული რეიტინგით ნარჩენების მართვა და ბიომრავალფეროვნება და ჰაბიტატების მაჩვენებლები. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის კატეგორიაში, აშშ ყველაზე დაბალი რეიტინგით არის წარმოდგენილი, ხოლო საკმაოდ მცირე მაჩვენებლები კლიმატის ცვლილება, ჰაერის ხარისხი და დაბინძურების ემისიის კატეგორიებში აქვს.

საქართველო თითქმის ყველა კატეგორიაში მაღალი რეიტინგით გამორჩევა, გარდა ეკოსისტემის სერვისებისა და წყლის რესურსებისა, რაც არასასიკეთო პროგნოზის მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნისათვის.

აშშ ცდილობს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებიდან დაწყებული არაგანახლებადი რესურსების ამოწურვამდე მსოფლიოს ეკოლოგიური საკითხების მოგვარებას. აშშ-ს უწევს მსოფლიოში ყველაზე რთული ამინდისა და კატასტროფების გამკლავება, რომელთა ზარალი მილიარდ დოლარს აღემატება (Environmental Protection, 2022). აშშ-ისათვის ყველაზე პრობლემატური გარემოსდაცვითი საკითხებია: ტყეების გაჩეხვა, ჰაერის დაბინძურება, გლობალური დათბობა, წყლის დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების შემცირება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამინდთან დაკავშირებული საფრთხეების მრავალი შემთხვევა მიანიშნებს ბუნებრივი კატასტროფების მიმართ საქართველოს მგრძობიარობას. გლობალური კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა შედეგებმა შესაძლოა გაამძაფროს ჰიდროლოგიური საფრთხეების სიხშირე და სიდიდე სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ორი მესამედი არის ეროზირებული ან დეგრადირებული; მიწის პროდუქტიულობის დაკარგვა დეგრადაციის გამო და წყალდიდობების, მეწყერების და ღვარცოფების სიხშირისა და სიდიდის გაზრდა მნიშვნელოვნად აზიანებს სოფლად მცხოვრებლებს (ECA, 2020). სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან სექტორად რჩება საქართველოში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის 50%-ზე მეტის დასაქმებას და ხელს უწყობს ექსპორტის 25%-ს.

ჰაერის დაბინძურება საქართველოსთვის მზარდი გარემოსდაცვითი გამოწვევაა. შიდა და გარე ჰაერის დაბინძურება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე (IHME, 2020). ნაწილაკების სამუალო წლიური კონცენტრაცია უფრო მაღალია, ვიდრე ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოდ მიიჩნევა (Bloomberg, 2020).

საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელდა მრავალი რეფორმა გარემოსდაცვითი გამოწვევების მასშტაბების გასამკლავებლად. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 ადგენს სამ მთავარ პრინციპს: ეკონომიკის პროდუქტიული სექტორების გაძლიერება, ინკლუზიური ზრდისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობა და გარემოს უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის გზით და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა (MFG, 2022).

სამართლებრივი ფაქტორები

მოკლედ განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი მიმართულება. აშშ-ს თითოეულ შტატს აქვს საკუთარი სამთავრობო სტრუქტურა და იურიდიული სქემა. ბიზნესი იმ შტატის მარეგულირებელ გარემოში ხვდება, სადაც ის ფუნქციონირებს. აშშ-ს გააჩნია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დასაცავად მძლავრი იურიდიული სისტემა (PESTEL analysis of the USA, 2021).

კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI, 2022) წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ შემუშავებულ მაჩვენებელს, რომელიც ზომავს კორუფციის აღქმის დონეს საჯარო სექტორში და ეყრდნობა ბიზნესის და ექსპერტების შეფასებებს. რეიტინგში 100 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავს. ყოველწლიური ანგარიშის მიზანს, სახელმწიფოში კორუფციის აღქმის დონის დადგენასა და ქვეყნების რეიტინგში რანგირებასთან ერთად, კორუფციის მიზეზების შესაძლო წყაროების დადგენა და ქვეყნებისათვის მისი აღმოფხვრის გზების შეთავაზება წარმოადგენს.

2003 წლის „ვარდების რევოლუცია“-მდე ქვეყანაში კორუფციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. საქართველოს ლიბერალური საგადასახადო მოდელზე გადასვლამ ქვეყანა ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველად აქცია.

“საერთაშორისო გამჭვირვალობის” კორუფციის აღქმის ინდექსის 2021 წლის მაჩვენებლის 2020-2019 წლის მონაცემებთან შედარებით საქართველო წარმოდგენილია ჯამური 55-56 ქულების კლებით 45-ე ადგილზე, რომელიც წინა 2019 წლის მაჩვენებელთან 1 პოზიციით არის გაუარესებული. რაც შეეხება აშშ-ს, ჯამური ქულების კლებით 67 ქულით 27-25-ე ადგილზეა, რაც 2019 წლის მაჩვენებელთან 2 პოზიციით გაუარესდა (CPI, Corruption Perception Index, 2022).

ცხრილი 10.

კორუფციის აღქმის ინდექსი CPI (2019-2021 წლები)

კორუფციის აღქმის ინდექსი CPI 2019-2021 წლები						
	2019 წელი		2020 წელი		2021 წელი	
	ქულა	ადგილი	ქულა	ადგილი	ქულა	ადგილი
აშშ	69	23	67	25	67	27
საქართველო	56	44	56	45	55	45

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.transparency.org -ის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველო წინ მიიწევს ბიზნესის კეთების ანგარიშში კონტრაქტის პირობების შესრულების უზრუნველყოფის ინდიკატორით. 2020 წელს უკავია მე-12 პოზიცია (შედარებით 23-ე პოზიციისა 2015 წელს), აჩვენებს რა მთლიანი სასამართლო პროცესის მნიშვნელოვან ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ხოლო აშშ-ის მაჩვენებელი მე-17 პოზიციით არის წარმოდგენილი, რაც 5 პოზიციით ჩამორჩება საქართველოს.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლების (IPR) განაცხადების ელექტრონული შევსების სისტემა ხელმისაწვდომი გახდა და ინტელექტუალური

საკუთრების უფლებების დარღვევა ამჟამად დასჯადია როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის კოდექსებით.

2015 წელს მიღებული, საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია ეხება კერძო სექტორში კორუფციის პრევენციის საკითხს და წარმოადგენს მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც საფუძვლად უდევს კორპორატიული ეთიკის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესს.

საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები კერძო სექტორში კორუფციის პრევენციის სამართლებრივი ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, მათ შორის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს პოლიტიკის პრიორიტეტებში კორუფციული და ნაშაულისთვის იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დაყენებით (OECD, 2023).

კანონის უზენაესობის ინდექსი (WJP) 2021 წარმოადგენს რვა ფაქტორზე დაფუძნებული ქულებისა და რეიტინგების მონაცემებს მსოფლიოს 139 ქვეყანაში. 2021 წელს მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის“ (The World Justice Project - WJP Rule of Law Index) (The WJP Rule of Law Index, 2022) ინდექსის რეიტინგში საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებლები უფიქსირდება სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კომპონენტებში. საქართველოს შედარებით გაზრდილი მაჩვენებლები აქვს კორუფციის არარსებობასა და შეკვეთა/უსაფრთხოების კატეგორიებში, რაც სარწმუნოს ხდის ვიფიქროთ, რომ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად შეიქმნა და დაიხვეწა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმები. ღია მთავრობის, მარეგულირებელი აღსრულებისა და ფუნდამენტური უფლებების კატეგორიები საშუალო ქულით გამოირჩევიან, რაც მიუთითებს ქვეყანაში ჯერ კიდევ დასახვეწ ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციონალურ მექანიზმებზე.

აშშ-ის პოზიციები დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა. ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა შეკვეთა/უსაფრთხოება და ღია მმართველობის

კატეგორია, ხოლო ყველაზე დაბალით სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და ფუნდამენტური უფლებების კატეგორია, რაც სარწმუნოს ხდის ვიფიქროთ, რომ ქვეყანაში ბოლო წლებში განხორციელებული პოლიტიკური და სხვა უამრავი ფაქტორების მნიშვნელოვანი ზემოქმედებით ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები შესუსტებულია. ხოლო მცირედით გაზრდილი, მაგრამ საშუალოზე ზედა მაჩვენებლებით გამოირჩევა მარეგულირებელი აღსრულება და მთავრობებზე უფლებამოსილებების შეზღუდვის კატეგორიები, რაც მნიშვნელოვნად არყვეს ხელისუფლებისადმი ნდობას ქვეყანაში.

ცხრილი 11.

მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსი WJP კატეგორიების მიხედვით (2021 წელი)

ქვეყნები	მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსი WJP კატეგორიების მიხედვით 2021 წელი							
	შეზღუდვები მთავრობის უფლებამოსილებებზე	კორუფციის არარსებობა	ღია მთავრობა	ფუნდამენტური უფლებები	შეკვეთა და უსაფრთხოება	მარეგულირებელი აღსრულება	სამოქალაქო სამართალი	სისხლის სამართალი
აშშ	0.68	0.72	0.75	0.66	0.81	0.71	0.62	0.6
საქართველო	0.54	0.68	0.59	0.63	0.79	0.56	0.54	0.53

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ <https://worldjusticeproject.org-ის> მონაცემებზე დაყრდნობით

*ქულები მერყეობს 0-დან 1-მდე, 1 მიუთითებს კანონის უზენაესობის ყველაზე მტკიცე დაცვაზე

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არაერთი სისტემური რეფორმა განხორციელდა. საქართველომ სერიოზულ გაუმჯობესებას მიაღწია ისეთ სფეროებში, როგორცაა ადამიანის უფლებები, მთავრობის გამჭვირვალობა, კორუფციისგან გათავისუფლება, ეფექტიანი მმართველობა, ბაზრის ეფექტიანობა და

ხელსაყრელი ბიზნეს გარემო. სწორედ სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში (MESD).

და ბოლოს, მოვახდინოთ PESTEL ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების შეჯამება მეტა - მატრიცაში.

ცხრილი 12.

PESTEL - შედეგების შეჯამება მეტა - მატრიცაში

ფაქტორები	აშშ		
	ტენდენციები	გამოწვევები	რეკომენდაციები
<p align="center">პოლიტიკური - Political</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ დემოკრატიის ინდექსის საარჩევნო პროცესში ჩართულობისა და პლურალიზმის კატეგორიაში ზრდა დაფიქსირდა; ➤ სამოქალაქო თავისუფლებების კატეგორია მოკრძალებული ზრდის მაჩვენებლით წარსდგა; ➤ გაძლიერებული პოლიტიკური პოლარიზაცია გამოიკვეთება ბოლო პერიოდში; ➤ პოლიტიკური კულტურაში, როგორც ყველაზე სუსტ კატეგორიაში, ქულები მკვეთრად დაეცა; ➤ მთავრობის ფუნქციონირების კატეგორია ბოლო პერიოდში შემცირდა; ➤ გაიზარდა არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგების გასაჩივრების და გარე ძალებზე გადაბრალების შემთხვევები. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად ჩამოქვეითება; ❖ ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ უნდობლობის გაზრდა; ❖ მთავრობის ფუნქციონირების ღრმა დისფუნქცია; ❖ აზრის გამოხატვის თავისუფლებისადმი შექმნილი საფრთხეების ზრდა; ❖ საზოგადოების პოლარიზაციის ხარისხი; ❖ აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც დიდი ხანია არღვევს მთავრობის ფუნქციონირებას. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ დემოკრატიული ინსტიტუტების აქტიურობა; ✚ ხალხის ჩართვა დემოკრატიულ და ანგარიშვალდებულ გადაწყვეტილების მიღებაში; ✚ აქტიურ მოქალაქეთა საზოგადოების შექმნა; ✚ დემოკრატიული სისტემების ხალხის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა.
<p align="center">ეკონომიკური - Economic</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ აშშ მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკაა, ყველაზე მაღალი ნომინალური მშპ-ით; ➤ ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსში საწარმოო პირობები და ბაზრის წვდომა/ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია; ➤ შექმნილია საუკეთესო საინვესტიციო გარემო ინვესტორებისათვის; ➤ სოციალური კაპიტალის დაცულობა მკაფიოა; ➤ ეკონომიკური ხარისხის მაჩვენებლები ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა; ➤ ბიზნესის კეთება საკმაოდ გამარტივებულია; ➤ დაკრედიტება და საწარმოების ლიკვიდაცია საუკეთესო პოზიციებს ინარჩუნებს. ➤ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ჯერ კიდევ ლიდერია. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტის სწრაფი ცვლილება; ❖ ბოლო წლებში გლობალური ბლოკირებებით გამოიწვეული ქაოსით ეკონომიკის შემცირება; ❖ COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური საქმიანობის შენელების გამო უმუშევრობის დონის ზრდა; ❖ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ყველაზე პრობლემატურია ჯანდაცვა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ❖ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგში ჩამოქვეითება შეინიშნება. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ ეკონომიკის ხელშეწყობისთვის ფისკალური პოლიტიკის ამოქმედება; ✚ ბიზნესის დახმარება; ✚ შინამეურნეობებისა და უმუშევარი მოსახლეობის დახმარება.

<p>სოციალური - Social</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ მოსახლეობის მხრივ მესამე ქვეყანა მსოფლიოში; ➤ განათლებისა და ჯანდაცვის სისტემა ერთ-ერთი საუკეთესოა; ➤ მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაზრდილია; ➤ ჯინის ინდექსში შემოსავლის კოეფიციენტში ზრდა დაფიქსირდა. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ მოსახლეობის დაბერების პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია; ❖ უკანონო იმიგრაციის ზრდა კიდევ ერთი საზრუნავია; ❖ შობადობის საერთო მაჩვენებელი შედარებით შემცირებულია; ❖ ჯერ კიდევ საყურადღებოა პანდემიით შექმნილი, როგორც ეკონომიკური, ისე ჯანმრთელობის კრიზისი; ❖ ადამიანის განვითარების ინდექსში გაუარესებული მაჩვენებელია. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ სახელმწიფოს მიერ მოხდეს სამუშაო ადგილების პროგრამის მხარდაჭერა; ✚ მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჩართულობა ადამიანის სიცოცხლის ხელმეოფი ფაქტორების, გარემოს დაბინძურების, შობადობის, მიგრაციისა და სხვა კვლევებში; ✚ თანაბარი განათლებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტების გამოყენებისათვის სპეციალური პროგრამების შემუშავება; ✚ მნიშვნელოვანია დაიგეგმოს უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისათვის კომპენსაციის ზრდა.
<p>ტექნოლოგიური - Technological</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ აშშ, როგორც ინოვაციების ცენტრი ლიდერობს ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა და განვითარების სფეროებში; ➤ ტექნოლოგიების ადაპტაციისა და გამოყენების თვალსაზრისით მოწინავე პოზიციებზეა; ➤ გლობალური ინოვაციების ინდექსის ინფრასტრუქტურის კატეგორიაში შემცირება უფიქსირდება; ➤ ბაზრისა და ბიზნესის დახვეწილობა, ცოდნისა და ტექნოლოგიების კატეგორიაში ზრდა იკვეთება. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ცვლილებების მაჩვენებელი აშშ-ში ძალზე სწრაფია; ❖ ქვეყანა მუდმივად განიცდის ინტენსიურ კონკურენციას; ❖ საწარმოო ობიექტების მსოფლიოში გადანაწილებამ და სამსახურის დაკარგვამ ბევრი ამერიკელის უკმაყოფილება გამოიწვია. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ კონკურენციის გამკლავებისთვის საწარმოო ობიექტების აშშ-ში გადმოტანა.
<p>ეკოლოგიური - Environmental</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ აშშ გამოირჩევა მრავალფეროვანი კლიმატით, ველური ბუნებითა და გეოგრაფიული მდებარეობით; ➤ გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსში ეკოსისტემის სერვისებსა და მეთევზეობაში ზრდა ფიქსირდება; ➤ ნარჩენების მართვისა და ბიომრავალფეროვნებაში მაჩვენებლები შემცირებულია; ➤ კლიმატის ცვლილება, ჰაერის ხარისხი და დაბინძურების ემისიის კატეგორიებში დაბალი რეიტინგებით გამოირჩევა. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ მსოფლიოში ყველაზე რთული ამინდისა და კატასტროფების გარდა აშშ განიცდის რესურსების დაბინძურებას; ❖ ყველაზე პრობლემატური გარემოსდაცვითი საკითხებია: ❖ ტყეების გაჩეხვა; ❖ ჰაერის დაბინძურება; ❖ გლობალური დათბობა; ❖ წყლის დაბინძურება; ❖ ბუნებრივი რესურსების შემცირება. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ საჭიროა კორპორაციებმა, ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა გამოხატონ აქტიური სურვილი და ჩაერთვნენ გარემოსდაცვითი საკითხების გადასაჭრელად; ✚ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებიდან დაწყებული არაგანახლებადი რესურსების ამოწურვამდე მსოფლიოს ეკოლოგიური საკითხების მოგვარება; ✚ მნიშველოვანია ზომების მიღება ეკოლოგიური საკითხების ეფექტიანობის შესანელებლად.

სამართლებრივი - Legal	<ul style="list-style-type: none"> ➤ თითოეულ შტატს აქვს საკუთარი სამთავრობო სტრუქტურა და იურიდიული სქემა; ➤ გააჩნია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დასაცავად მძლავრი იურიდიული სისტემა; ➤ კორუფციის აღქმის ინდექსი გაუარესებული პოზიციით არის წარმოდგენილი; ➤ ბიზნესის კეთების უზრუნველყოფის ინდიკატორი შემცირებული მაჩვენებლით არის წარმოდგენილი; ➤ კანონის უზენაესობის ინდექსის რეიტინგებში ზრდა ფიქსირდება შეკვეთა/უსაფრთხოება და ღია მმართველობის კატეგორიებში; ➤ შემცირების მაჩვენებლებით გამოირჩევა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და ფუნდამენტური უფლებების კატეგორიები. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ კორუფციის და თანხების არასათანადო მართვა; ❖ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი მნიშვნელოვნადაა შემცირებული; ❖ კანონის უზენაესობის ინდექსის რეიტინგები არასახარბიელო მაჩვენებლებით გამოირჩევა; ❖ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები მნიშვნელოვნად შესუსტებულია. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ მნიშვნელოვანია კორუფციის აღქმის დონის დადგენა; ✚ კორუფციის მიზეზების შესაძლო წყაროების დადგენა და ქვეყნისთვის მისი აღმოფხვრის გზების შეთავაზება; ✚ დროულად მოხდეს ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელება.
-----------------------	---	---	--

PESTEL - შედეგების შეჯამება მეტა-მატრიცაში

ფაქტორები	საქართველო		
	ტენდენციები	გამოწვევები	რეკომენდაციები
პოლიტიკური - Political	<ul style="list-style-type: none"> ➤ დემოკრატიის ინდექსში მთავრობის ფუნქციონირებისა და პოლიტიკური კულტურის მაჩვენებლები ყველაზე დაბალია; ➤ ნაწილობრივ კოროვირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების დანერგვის გამო საქართველო გაუარესებული შედეგით წარსდგა სამოქალაქო თავისუფლების მაჩვენებელშიც; ➤ რეგულარული და კონკურენტული არჩევნების პოლარიზაციამ გამოიწვია პოლიტიკურ კულტურაზე ზემოქმედება; ➤ ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო საარჩევნო პროცესსა და პლურალიზმში; ➤ ფულის წვდომის კატეგორიაში ზრდა დაფიქსირდა. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ კანონის უზენაესობის დაბალი დონე, სამართლიანი სასამართლოს არ ქონა და მაღალი დონის კორუფცია; ❖ საჩივრების გართულებული პროცედურები პოლიტიკური კონკურენციის გაუმართლებელი ბარიერები აუარესებს არჩევნების ხარისხს; ❖ ქვეყნის რეპუტაციაზე უარყოფითად მოქმედებს არჩევნებში ხმების მოსყიდვისა და დაშინების სხვადასხვა ფორმების შესახებ ბრალდებები; ❖ სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოს შორის დამოუკიდებლობის ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს ანტიკორუფციული კანონების ეფექტიან გამოყენებას; ❖ სასამართლოში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე ჩარევა რჩება არსებით პრობლემად; ❖ სასამართლო პროცესების გამჭვირვალობისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობა საფრთხეს უქმნის ანტიკორუფციული კანონების დროულ გამოყენებას. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ სამოქალაქო საზოგადოების სექტორის გაძლიერება და მათი ჩართულობა პოლიტიკის განხილვებში; ✚ სამთავრობო ოპერაციების მეტი გამჭვირვალობა; ✚ შესწავლილ იქნას არჩევნებში გამოვლენილი ბრალდებები ხმების მოსყიდვისა და დაშინების სხვადასხვა ფორმების შესახებ და მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები აღნიშნულის დროულად აღმოსაფხვრელად; ✚ კორუფციის მაღალი დონის დასაძლევად კარგი იქნა, სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოს შორის დამოუკიდებლობის დონის შენარჩუნება, რაც გაზრდის ანტიკორუფციული კანონების ეფექტიან გამოყენებას.

<p style="text-align: center;">ეკონომიკური - Economic</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით საუკეთესო მონაცემი საინვესტიციო გარემოს, მმართველობის, საწარმოო პირობების, განათლებასა და ბაზრის წვდომა/ინფრასტრუქტურის მაჩვენებლებში აქვს; ➤ ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით საქართველო ზედა პოზიციას ინარჩუნებს; ➤ ბიზნესის წარმოების (დაწყების) სიმარტივით მსოფლიოში ლიდერის პოზიციით გამოირჩევა; ➤ გაზრდილია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რამაც გააუმჯობესა მშენებლობების ხარისხის კონტროლი; ➤ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგში დაწინაურება დადებითი პროგნოზის მაჩვენებელია. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ყველაზე პრობლემატური ბაზრის მოცულობა, ინოვაციური შესაძლებლობები, ფინანსური სისტემა, ჯანდაცვა და მაკროეკონომიკური სტაბილურობაა; ❖ უმუშევრობის დონის მკვეთრი ზრდა მნიშვნელოვანი პრობლემაა ქვეყნისათვის; ❖ მაკროეკონომიკური გარემოს ნაკლები სტაბილურობა, ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაცია, კანონის უზენაესობის დაბალი დონე, სამართლიანი სასამართლოს არ ქონა, მაღალი დონის კორუფცია, ინფრასტრუქტურული გამოწვევები და ინოვაციური განვითარების დაბალი მაჩვენებლები საქართველოს ბიზნეს-გარემოზე უარყოფითად ზემოქმედებს. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ ინვესტიციების მოზიდვა, რასაც სჭირდება ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა; ✚ კონკურენტუნარიანობისა და ზრდის ფაქტორების ინტეგრირებული და თანმიმდევრული განვითარების ხელშეწყობა; ✚ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, შესაძლებელია უმუშევრობის დონისა და სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირება; ✚ საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის გატარება ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენციის, მოტივაციის სისტემის სრულყოფის, სამეურნეო საქმიანობის თავისუფლების, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობისათვის. ✚ აშშ-სთან FTA-ს ხელშეკრულების მიღწევა.
<p style="text-align: center;">სოციალური - Social</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველო მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში 129-ე ადგილზეა; ➤ ადამიანის განვითარების ინდექსში რეიტინგის გაუმჯობესება დადებითად აისახება ქვეყანაზე; ➤ მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაზრდილი მაჩვენებლებით წარსდგა; ➤ ჯინის ინდექსში საქართველოს კოეფიციენტის დაბალი მაჩვენებელი ქვეყანაში ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფში შემოსავლის უთანასწორობაზე მიუთითებს. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ ატმოსფერული დაბინძურებით გამოწვეული გულ-სისხლძარღვთა დაავადებები შემაშფოთებელ სტატისტიკას იძლევა; ❖ COVID-19 პანდემიის დროს საქართველო გახდა მსოფლიოს დაზარალებულ ქვეყანათა შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ განათლების რეფორმა, მათ შორის ღონისძიებები პროფესიული განათლების რეფორმირების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში; ✚ განათლების გაუმჯობესება და ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა, განსაკუთრებით სოფლად; ✚ სამუშაო ადგილების პროგრამის მხარდაჭერა, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორცაა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა.

<p style="text-align: center;">ტექნოლოგიური - Technological</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ბიზნესის განვითარებისთვის ინოვაციური ციფრული მომსახურებების შექმნის გზით; ➤ მცირე წინსვლა განიცადა ფირმების ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით; ➤ გლობალური ინოვაციის ინდექსში საქართველოს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი აქვს ინფრასტრუქტურაში, ბიზნესის დახვეწილობასა და ადამიანური კაპიტალის კვლევაში. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ კონკურენტუნარიანობის ინდექსი დაბალი რჩება ინოვაციური კომპანიების ზრდისა და კლასტერული განვითარების თვალსაზრისით; ❖ GCI ანგარიშში განხილული 12 მიმართულებიდან ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ინოვაციური შესაძლებლობები, რომელიც დიდი საფრთხოს წინაშე აყენებს საქართველოს ტექნოლოგიურ გარემოს მომავალს. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ მიზნობრივი და ღია წვდომის ციფრული პლატფორმების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ფირმებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უფრო ეფექტიანად ინტეგრირებაში; ✚ მეტი ღიაობა ფირმებს შორის ვაჭრობისა და კონკურენტულობის ზრდის მიზნით; ✚ საჭიროა განხორციელდეს ციფრული ფინანსური მომსახურებების, ელექტრონული კომერცის, ელექტრონული სამთავრობო სერვისების, დისტანციურ სწავლების და ტელემედიცინის ხელშეწყობა; ✚ ინოვაცია, როგორც პოლიტიკის პრიორიტეტი, კარგი იქნება, თუ უფრო თვალსაჩინო პოზიციას დაიკავებს მთავრობის სტრატეგიებსა და პროგრამებში.
<p style="text-align: center;">ეკოლოგიური - Environmental</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვან წყაროს და აქვს ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესაძლებლობა; ➤ გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსში ყველა კატეგორია მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, გარდა ეკოსისტემის სერვისებისა და წყლის რესურსებისა, რაც არასასიკეთო პროგნოზის მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნისათვის. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ გლობალური კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა შედეგებმა შესაძლოა გაამძაფროს ჰიდროლოგიური საფრთხეების სიხშირე და სიდიდე სამხრეთ კავკასიის რეგიონში; ❖ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ორი მესამედი არის ეროზირებული ან დეგრადირებული; ❖ მიწის პროდუქტიულობის დაკარგვა დეგრადაციის გამო და წყალდიდობების, მეწყერების და ღვარცოფების სიხშირისა და სიდიდის გაზრდა მნიშვნელოვნად აზიანებს სოფლად მაცხოვრებლებს; ❖ ჰაერის დაბინძურება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე; ❖ COVID-19 პანდემიამ გაზარდა ნარჩენების წარმოება; განსაკუთრებით სამედიცინო ნარჩენების და არასამთავრობო სამედიცინო საყოფაცხოვრებო ნარჩენების მხრივ; ❖ მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განახლებაში, მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო პრაქტიკას შორის; ❖ გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პარალელურად საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ რეფორმების განხორციელება გარემოსდაცვითი გამოწვევების მასშტაბების გასამკლავებლად; ✚ ინვესტიციების დაგეგმვა და ინოვაციების პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების ზრდას და შექმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

<p>სამართლებრივი - Legal</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები კერძო სექტორში კორუფციის პრევენციის სამართლებრივი ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, მათ შორის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს პოლიტიკის პრიორიტეტებში კორუფციული და დაშაულისთვის იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დაყენებით; ➤ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლების განაცხადების ელექტრონული შევსების სისტემა ხელმისაწვდომი გახდა; ➤ კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოში კორუფციის აღქმის მხრივ მდგომარეობა გაუარესებულია, წარმოდგენილია ჯამური ქულების კლებით ჩამოქვეითებული მაჩვენებლები; ➤ აჩვენებს რა მთლიანი სასამართლო პროცესის მნიშვნელოვან ხარისხობრივ გაუმჯობესებას, საქართველო წინ მიიწევს Doing Business-ის კონტრაქტის პირობების შესრულების უზრუნველყოფის ინდიკატორით; ➤ კანონის უზენაესობის ინდექსის რეიტინგში ყველაზე დაბალი მაჩვენებლები უფიქსირდება სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კომპონენტში. 	<ul style="list-style-type: none"> ❖ კორუფციასთან მაღალი დაუცველობით საქართველო წარმოდგენილია საშუალო ქულით; ❖ კანონის უზენაესობის ინდექსის რეიტინგში საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებლები მიუთითებენ ქვეყანაში ჯერ კიდევ დასახვეწ ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციონალურ მექანიზმებზე; ❖ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა შეაფასა თბილისი, როგორც საშუალო საფრთხის შემცველი ადგილი დანაშაულისთვის. 	<ul style="list-style-type: none"> ✚ ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისაკენ, ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებისკენ, გამჭვირვალობის ხარისხის ზრდისა და კორუფციასთან ბრძოლისაკენ; ✚ საჭიროა დაიხვეწოს ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმები; ✚ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და კანონშემოქმედების პროცესში.
------------------------------	---	---	---

2.3 საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზი

აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანასთან. შეერთებული შტატები საქონლის ექსპორტით მსოფლიოში მე-2 ადგილზეა. ექსპორტირებული საქონლის მესამედი კაპიტალური საქონელია. უდიდესი ქვეკატეგორია არის კომერციული თვითმფრინავები, სამრეწველო დანადგარები, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაციები, ელექტროენერჯის აპარატურა და სამედიცინო აღჭურვილობა (OEC, 2022).

აშშ-ს მომსახურების ექსპორტი აშშ-ს ექსპორტის 35%-ს შეადგენს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი კატეგორიაა სამოგზაურო მომსახურება, კერძო სერვისები, როგორცაა ფინანსური მომსახურება, ჰონორარი და სალიცენზიო მოსაკრებელი, მთავრობისა და სამხედრო კონტრაქტების მომსახურება.

შეერთებული შტატები საქონლის უდიდესი იმპორტიორია მსოფლიოში. უდიდესი იმპორტის კატეგორიაა ავტომობილები, ნაწილები და ძრავები, შემდეგ საკვების, საკვებისა და სასმელების კატეგორია (USTR, 2023). ყველაზე დიდი კატეგორიაა სამოგზაურო მომსახურება, შემდეგია ბიზნესის მომსახურება, ტრანსპორტი, დაზღვევა და სახელმწიფო სერვისების იმპორტი.

აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის 2021 წლის მონაცემების თანახმად, საქართველო აშშ-ის მე-100 მსხვილი საქონლის სავაჭრო პარტნიორი იყო, ხოლო 84-ე სიდიდით საქონლის საექსპორტო ბაზარი იყო. 2020-2022 წლების მაჩვენებლები საკმაოდ შეცვლილია, რაც ძირითადად დაკავშირებულია კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეულ უდიდეს ეკონომიკურ და ფინანსურ ზარალთან, რომელიც როგორც ინდივიდუალურად სახელმწიფოებს, ასევე, გლობალურ ეკონომიკას მიაღდა (USTR, 2023).

2021 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 14 342.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 25,56%-ით მეტია. 2021 წლის ექსპორტი გაიზარდა 26,89%-ით 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით და 4 242.7 მლნ. აშშ

დოლარს შეადგინა; 2021 წლის იმპორტი კი აღემატება 25,12%-ით 2020 წლის მაჩვენებელს და 10 099.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5 857.1 მლნ.აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40,7%-ია (MESDG, 2023).

საქართველოში დივერსიფიცირებული იყო, როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტიც (UN Comtrade Database, 2022).


საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა 2021 წლის მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69.4% შეადგინა (NSOG, 2022). სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი სამი პოზიცია სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა, ფეროშენადნობებმა და მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა დაიკავა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2020-2021 წლებში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები, სატვირთო ავტომობილები.

2022 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 19 043 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელთან 14 342. მლნ. აშშ დოლარი შედარებით გაზრდილია. აქედან, როგორც ექსპორტმა 5 593 მლნ. აშშ დოლარი, ასევე იმპორტმა 13 450 მლნ. აშშ დოლარი განიცადა ზრდა 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2022 წელს 34%-ით გაზრდილი 7 857 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2% შეადგინა (NSOG, 2022).

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები ჯგუფების მიხედვით:

დიაგრამა 7.



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.geostat.ge მონაცემებზე დაყრდნობით

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. საქართველოდან ჯამური ექსპორტი 2012-2022 წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც კარგად ჩანს სავაჭრო ურთიერთობების ამსახველი მაჩვენებლების ანალიზიდან. აშშ-ს ხვედრითი წონა საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში საკმაოდ სოლიდურია.

ცხრილი 13.

აშშ-ს ხვედრითი წონის დინამიკა საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში 2012-2022 წლებში

	ექსპორტი საქართველოდან აშშ-ში		იმპორტი აშშ-დან საქართველოში	
	ათასი აშშ დოლარი	%	ათასი აშშ დოლარი	%
2012	226 194,8	9,5	213 468,6	2,65
2013	137 551,8	4,80	254 266,6	3,17
2014	207 375,7	7,25	287 172,6	3,34
2015	104 228,3	4,73	254 089,2	3,48
2016	68 276,9	3,22	230 718,2	3,14
2017	121 796,7	4,44	330 964,1	4,11
2018	158 900,0	4,73	500 980,2	5,35
2019	132 251,4	3,48	678 728,4	7,13
2020	80 040,3	2,39	556 399,8	6,91
2021	194 670,7	4,59	648 197,2	6,42
2022	265 059,6	4,74	941 322,6	7,0

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ს www.geostat.ge - ის მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველოსა და აშშ შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების შედარებით ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2012-2022 წლებში ის ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გამონაკლისია 2016 და 2020 წლები, როცა ექსპორტის მოცულობა მკვეთრად შემცირებულია, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი მცირედით შეცვლილი. ამასთან, 2015 წელთან შედარებით, ექსპორტის შემცირების მაჩვენებელმა (35 951,34 ათასი აშშ დოლარი) იმპორტის შემცირების

მაჩვენებელს (23 371,0 ათასი აშშ დოლარი) 1,54-ჯერ გადაამეტა, რამაც ექსპორტ-იმპორტის სალდო აღნიშნულ წელს მნიშვნელოვნად შეცვალა. 2016 წლის ექსპორტ-იმპორტის სალდო 2015 წელთან შედარებით 12 580,37 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა. თუმცა, საანალიზოდ აღებულ 2012-2022 წლების პერიოდში, ექსპორტ-იმპორტის სალდოს მიხედვით, საქართველოსთვის არასახარბიელო მდგომარეობა დაფიქსირდა, რაც კარგად ჩანს მოცემული ცხრილი 14-დან. 2012-2022 წლებში ექსპორტი საქართველოდან აშშ-ში ზრდის მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო იმპორტის მაჩვენებელმა ნახტომისებური ზრდა განიცადა. შესაბამისად ექსპორტ-იმპორტის უარყოფითმა სალდომ მკვეთრად გაზრდილი მაჩვენებლები შეადგინა საქართველოსთვის არასახარბიელოდ. იმპორტის ზრდა არ შეიძლება ყოველთვის განვიხილოთ, როგორც უარყოფითი მოვლენა, ვინაიდან მსოფლიოს N1 ქვეყნის აშშ-ის უარყოფითი სავაჭრო ბალანსიც იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდით არის გამოწვეული. აქვე აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ 2019 წლიდან დაწყებული და 2020 წელს კორონა პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტმა განიცადა მკვეთრი ვარდნა, ხოლო ქვეყნის იმპორტმა მიაღწია მაქსიმუმ ნიშნულს 2019 წელს, ხოლო 2020 წელს იმპორტის მაჩვენებელი შემცირებული იქნა 124 440,7 ათასი აშშ. დოლარით. საანალიზო პერიოდში დაფიქსირდა ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები (546 477,02) და (676 262,99) ათასი აშშ დოლარი.

მიუხედავად ცხრილი 13-დან ნაჩვენები მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტის და აშშ-დან საქართველოში იმპორტის ხვედრითი წილი საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში ძალიან მცირეა, ჩვენი აზრით, აღნიშნული მაჩვენებლები, მომავლის პერსპექტივაში, ზრდის ტენდენციაზე მიუთითებენ. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ GSP-ის რეჟიმი არ ვრცელდება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უამრავი დასახელების საექსპორტო პროდუქციაზე.

ცხრილი 14.

აშშ-სთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სალდოს დინამიკა 2011-2022 წლებში

წელი	ექსპორტი ათასი აშშ დოლარი	იმპორტი ათასი აშშ დოლარი	სალდო ათასი აშშ დოლარი
2012	226 194,8	213 468,6	12 726,2
2013	137 551,8	254 266,6	-116 714,8
2014	207 375,7	287 172,6	-79 796,9
2015	104 228,3	254 089,2	-149 860,93
2016	68 276,9	230 718,2	-162 441,3
2017	121 796,7	330 964,1	-209 167,33
2018	158 900,0	500 980,2	-341 080,19
2019	132 251,4	678 728,4	-546 477,02
2020	80 040,3	556 399,8	-476 359,5
2021	194 670,7	648 197,2	-453 526,58
2022	265 059,6	941 322,6	-676 262,99

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ს www.geostat.ge - ის მონაცემებზე დაყრდნობით.

2020-2022 წლებში ექსპორტის მოცულობა 80 040,3 ათასი აშშ დოლარიდან 265 059,6 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა. აღნიშნული ზრდა დადებითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე, ვინაიდან ექსპორტის ზრდის ხარჯზე ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტა ზრდის სავალუტო შემოსავლებს.

ქართულ ექსპორტში აშშ-ის მიმართულებით, მიუხედავად მასში რამდენიმე ათეული განსხვავებული პროდუქტის ჩამონათვალისა, ცალსახად ლიდერობს ფეროშენადნობები. აშშ-ში აგრეთვე იგზავნება: მილები და მილაკები უნაკერო შავი ლითონისაგან, ღვინო, ხილისა და ბოსტნეულის წვენები, სპირტიანი სასმელები, ყველი, თხილი, პლასტმასის

ნაწარმი, ავეჯი, მისი ნაწილები და სხვა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კატეგორიები: ა) ხელსაწყოები და ინსტრუმენტები ტოპოგრაფიული, ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური და ბ) მსუბუქი ავტომობილები 100%-ით რე-ექსპორტს წარმოადგენენ. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ფეროშენადნობის ექსპორტის შემცირების მიუხედავად, აშშ-ში საქართველოდან მთლიანი ექსპორტის მოცულობა ზრდის ტენდენციით გამოიკვეთა.

უფრო სრულყოფილი ანალიზისთვის განხილულ იქნა, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა. გაანალიზდა 2019-2022 წლების ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურების ხუთეული. საანალიზოდ აღებულ პერიოდში გამოიკვეთა ხუთი უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი. ეს ჯგუფებია: ფეროშენადნობები (ფეროსილიკონმანგანუმი); მილები და მილაკები უნაკერო შავი ლითონისაგან; ყურძნის ნატურალური ღვინოები; ხილისა და ბოსტნეულის წვენები; მინერალური და მტკნარი წყლები.

2019-2022 წლებში ფეროშენადნობების (ფეროსილიკონმანგანუმი) ექსპორტი 104 241,3 ათასი აშშ დოლარიდან 143 832,1 ათას აშშ დოლარამდე, ანუ 38 %-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ 2019-2020 წლებში ფეროშენადნობების ექსპორტმა განიცადა მკვეთრად შემცირება, აღნიშნული კატეგორია საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით დაფიქსირდა მთლიან ექსპორტში. რაც შეეხება ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტს საანალიზოდ აღებულ პერიოდში გაიზარდა. 2019 წლის ექსპორტის მაჩვენებელმა 2 981,2 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2020 წელს 4 236,5 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც აშშ-ში განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 5,3%-ია. 2019-2022 წლებში გაიზარდა მინერალური, მტკნარი წყლებისა და გაზიანი სასმელების ექსპორტი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სასაქონლო ჯგუფში 2020 წელს ექსპორტის მაჩვენებლების შემცირება დაფიქსირდა, მომდევნო 2019-2022 წლების მიხედვით საკმაოდ გაზრდილი მაჩვენებლებით წარსდგა. საკმაოდ გაზრდილი მაჩვენებლები გამოიკვეთა მილები და მილაკები, უნაკერო შავი ლითონისაგან (NSOG, 2022) (U.S.C.B).

ცხრილი 15.

აშშ-ის ბაზარზე საქართველოს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფები 2019-2022 წლებში (ათასი აშშ. დოლარი)

	2019	%	2020	%	2021	%	2022	%
	134		80,040.3		194,670.7		265,059.6	
ფეროშენადნობები (ფეროსილიკონმანგანუმი)	116,835.7	88.3	62,891.5	78.6	172,835.7	88.8	202,891.5	76.5
მილები და მილაკები, უნაკერო შავი ლითონისაგან	1,372.6	1.0	1,665.8	2.1	1,572.7	0.8	2,005.8	0.8
ყურძნის ნატურალური ღვინოები	2,981.2	2.3	4,236.5	5.3	3,085.2	1.6	4,876.4	1.8
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	2,090.7	1.6	2,026.4	2.5	2,277.4	1.2	2,137.4	0.8
მინერალური და მტკნარი წყლები და გაზიანი სასმელები	1,724.4	1.3	2,748.4	3.4	2,209.5	1.1	2,939.4	1.1

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ www.geostat.ge და www.census.gov მონაცემებზე დაყრდნობით.

საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, განისაზღვრა თითოეული საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიან ექსპორტში.

ფეროშენადნობების (ფეროსილიკონმანგანუმი) წილი საქართველოდან აშშ-ში განხორციელებული ექსპორტის მთლიან მოცულობაში შეადგენს 88,3% (2019 წელს), 78,6% (2020 წელს), 88,8% (2021 წელს) და 76,5% (2022 წელს).

ექსპორტის მთლიან მოცულობაში მეორე ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია ყურძნის ნატურალური ღვინოები, რომელიც 2019 წლისთვის ამ სასაქონლო ჯგუფის წილი

2,3% იყო, ხოლო 2020 წელს 5,3%, ხოლო 2021 წელს 1,6% და 2022 წელს - 1,8% შეადგინა.

რაც შეეხება მინერალური და მტკნარი წყლები და გაზიანი სასმელების ექსპორტის წილის ცვლილებას, საქართველოდან აშშ-ში განხორციელებული ექსპორტის მთლიან მოცულობაში, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის ექსპორტის პროცენტულ მაჩვენებლებშიც მცირედით ზრდა დაფიქსირდა. თუ 2019 წელს მინერალური და მტკნარი წყლები და გაზიანი სასმელების წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 1,3% იყო, 2020 წლისთვის მხოლოდ 3,4% შეადგინა, 2021-2022 წლების მაჩვენებლების მიხედვით კი 1,1%-ს გაუტოლდა.

2019-2022 წლებში არათანაბარზომიერად იცვლებოდა ექსპორტში ხილისა და ბოსტნეულის წვენების წილიც. აღნიშნულ სასაქონლო ჯგუფზე 2019 წელს ექსპორტის 1,6% შეადგინა, 2020 წლისთვის კი 2,5%. შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა მიღები და მილაკები, უნაკერო შავი ლითონისაგან კატეგორიის ცვლილებაშიც. 2019 წელს მოცემული სასაქონლო ჯგუფის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 1,0% იყო, 2021-2022 წლებისთვის ეს მაჩვენებელი 0,8%-ს გაუტოლდა.

2019-2022 წლებში არათანაბარზომიერი ცვლილებები გამოვლინდა აშშ-დან საქართველოში იმპორტირებულ ძირითად სასაქონლო ჯგუფებში. მსუბუქი ავტომობილების 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2020 წლის იმპორტის მაჩვენებელი შემცირებული 185 466,6 ათასი აშშ. დოლარი, ხოლო 2022 წლის მაჩვენებელი გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და 285 249,3 ათასი აშშ. დოლარია.

სატელეფონო აპარატურის და პორტატული ციფრული გამომთვლელი მანქანების იმპორტის 2019-2020 წლების მაჩვენებლებთან შედარებით 2021-2022 წლების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო 2022 წელს დაფიქსირდა ზრდის საკმაოდ კარგი მაჩვენებელი ორივე კატეგორიაში. ზრდა დაფიქსირდა, აგრეთვე ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი ძრავების იმპორტის მიხედვითაც.

ცხრილი 16.

აშშ-დან საქართველოში იმპორტირებული ძირითადი სასაქონლო ჯგუფები

2019-2022 წლებში (ათასი აშშ დოლარი)

ათასი. აშშ დოლარი	2019	%	2020	%	2021	%	2022	%
	678,836.2		556,399.8		648,197.2		941,322.6	
მსუბუქი ავტომობილები	234,081.5	34.5	185,466.6	33.3	209,095.9	32.3	285,249.3	30.3
ძრავები, ტუმბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი	144,433.2	21.3	120,956.5	21.7	144,043.8	22.2	261,478.5	27.8
სატელეფონო აპარატები	87,030.3	12.8	74,186.6	13.3	74,505.4	11.5	138,429.8	14.7
დანარჩენი კვების პროდუქტები	78,934.4	11.6	62,516.8	11.2	78,096.1	12.0	112,062.2	11.9
პორტატიული ციფრული გამომთვლელი მანქანები	85,928.6	12.7	75,189.2	13.5	91,295.4	14.1	130,739.3	13.9

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.census.gov - ის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

საქართველოს იმპორტი აშშ-იდან მნიშვნელოვნადაა დივერსიფიცირებული, თუმცა მსუბუქი ავტომობილების კატეგორია დომინანტია. საანალიზოდ აღებულ 2019-2022 წლების პერიოდში პირველ ხუთეულში მოხვედრილი სასაქონლო ჯგუფებიდან ყველაზე დიდი წილი ავტომობილებზე მოდიოდა. თუმცა, ამ სასაქონლო ჯგუფის წილის, წინა წლებთან შედარებით, ზრდა მხოლოდ 2021 და 2022 წლებში დაფიქსირდა, ხოლო 2019-2020 წელს კი შემცირება განიცადა.

2020 წლის იმპორტში ძალიან შემცირდა პორტატიული ციფრული გამომთვლელი მანქანების ხვედრითი წილი, რომელმაც მთლიანი აშშ-ს იმპორტში 13,5%-იანი მაჩვენებელი შეადგინა. 2021. მცირედით გაიზარდა სატელეფონო აპარატების წილი. თუ 2019 წელს ამ

სასაქონლო ჯგუფზე აშშ-დან იმპორტის მთლიან მოცულობაში 12,8% მოდიოდა, 2022 წლისთვის უკვე 14,7%-ი შეადგინა, ხოლო ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი ძრავების წილი 2019 წლის 21,3%-იდან 2022 წელს 27,8%-ს მიაღწია (MESDG, 2023).

დღეისათვის საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარება წარმოადგენს (Sikharulidze & Kikutadze, 2017), რომლის დაძლევა სხვადასხვა მიმართულებით ძალიან აქტიურ მუშაობას მოითხოვს. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებთან თავისუფალი ვაჭრობის არსებობა.

GSP სისტემა მუდმივი არ არის. იგი პერიოდულობით ექვემდებარება გადახედვას. რაც შეეხება თავისუფალ ვაჭრობას, რომელიც მუდმივმოქმედია და თითქმის ყველა საქონელს მოიცავს, მასზე მოლაპარაკებები დიდი ხნის წინ არის დაწყებული.

სამთავრობო პროგრამაში 2018–2020 აღნიშნულია, რომ საქართველოს მიზანია აშშ–სთან ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების კუთხით მუშაობის გაგრძელება, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის ფორმატში, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობის განხილვის მიზნით.

საქართველომ აქტიურად უნდა იმუშაოს და თავისი წვლილი შეიტანოს, რათა შესაძლებელი გახდეს აშშ–სთან, როგორც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (FTA) მოლაპარაკებების დროულად განახლება.

თავი III. კვლევის სტრატეგია და მონაცემთა ანალიზი

3.1 კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ბაზის ფორმირება

მიმდინარე კვლევა მოიცავს საქართველოსა და 44 პარტნიორ ქვეყანას. კვლევაში წარმოდგენილი მონაცემები ეხება 2000 - 2021 წლებს და სულ ჩატარებულია $(22 \times 44 = 968)$ დაკვირვება. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის შესახებ მონაცემები მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემთა ბაზებიდან (NSOG, 2022). აღნიშნული ცვლადები, რომელიც განსაზღვრავს სავაჭრო ნაკადებს საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის, მოცემულია აშშ დოლარებში. მთლიანი შიდა პროდუქტისა და ქვეყნის მოსახლეობის მაჩვენებლები აღებულია მსოფლიო ბანკის ოფიციალურ მონაცემთა ბაზებიდან (The World Bank, 2022).

ცვლადები დაკავშირებული ქვეყნებს შორის გეოგრაფიულ მანძილთან, საერთო რელიგიასთან (CR) და საერთო საზღვართან (CB) აღებულია CEPII GeoDist მონაცემთა ბაზიდან (CEPII, 2023). ქვეყნებს შორის მანძილი გაზომილია კილომეტრებში. მანძილის გამოსათვლელად გამოყენებულია საქართველოს და პარტნიორი ქვეყნების ცენტრალური ლოკაციები. მანძილის ცვლადი (TC distance) ანალიზში გამოყენებულია როგორც საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის სატრანსპორტო ხარჯების საზომი, რომელიც ქვეყნებს შორის მანძილის ზრდასთან პირდაპირპროპორციულ კავშირშია (DC, 2023). თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე (FTA) მონაცემები მოპოვებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებიდან (MESDG, 2023).

დამოკიდებული ცვლადები FTA, CR და CB არის დიქტომიური და აქვთ მხოლოდ ორი მნიშვნელობა: 0 - მიეკუთვნება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების, საერთო რელიგიის ან საერთო საზღვრების არმქონე ქვეყნებს; 1 - მიეკუთვნება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების, საერთო რელიგიის და საერთო საზღვრების მქონე ქვეყნებს (იხ. ცხრილი 17).

ცხრილი 17.

საქართველოს 44 სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ჩამონათვალი

N	საქართველოს პარტნიორი ქვეყანა	სავაჭრო	თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოსთან	საერთო საზღვარი საქართველოსთან	საერთო რელიგია საქართველოსთან
1	ავსტრია		კი	არა	კი
2	ბელგია		კი	არა	კი
3	ბულგარეთი		კი	კი	კი
4	გერმანია		კი	არა	კი
5	დანია		კი	არა	კი
6	ესპანეთი		კი	არა	კი
7	ესტონეთი		კი	არა	არა
8	ირლანდია		კი	არა	კი
9	იტალია		კი	არა	კი
10	კვიპროსი		კი	არა	კი
11	ლატვია		კი	არა	კი
12	ლიეტუვა (ლიტვა)		კი	არა	კი
13	ლუქსემბურგი		კი	არა	კი
14	მალტა		კი	არა	კი
15	ნიდერლანდები		კი	არა	კი
16	პოლონეთი		კი	არა	კი
17	პორტუგალია		კი	არა	კი
18	რუმინეთი		კი	კი	კი
19	საბერძნეთი		კი	არა	კი
20	საფრანგეთი		კი	არა	კი
21	სლოვაკეთი		კი	არა	კი
22	სლოვენია		კი	არა	კი
23	უნგრეთი		კი	არა	კი
24	ფინეთი		კი	არა	კი
25	შვედეთი		კი	არა	კი
26	ჩეხეთი		კი	არა	არა
27	ხორვატია		კი	არა	კი
28	აზერბაიჯანი		კი	კი	არა
29	ბელარუსი		კი	არა	კი
30	თურქმენეთი		კი	არა	არა
31	მოლდოვა		კი	არა	კი
32	რუსეთი		კი	კი	კი
33	სასომხეთი		კი	კი	კი
34	ტაჯიკეთი		კი	არა	არა
35	უზბეკეთი		კი	არა	არა
36	უკრაინა		კი	კი	კი
37	ყაზახეთი		კი	არა	არა
38	ყირგიზეთი		კი	არა	არა
39	აშშ		არა	არა	კი
40	გაერთიანებული სამეფო		არა	არა	კი
41	თურქეთი		კი	კი	არა
42	ირანი		არა	არა	არა
43	კანადა		არა	არა	კი
44	ჩინეთი		კი	არა	არა

გრავიტაციული განტოლების ანალიზის სტანდარტული ჩარჩო მისი ზოგადი ფორმით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$X_{ij} = GS_i M_j \phi_{ij}$$

სადაც X_{ij} წარმოადგენს ქვეყანა i -დან j -მდე განხორციელებული ექსპორტის ფულად ღირებულებას, M_j მოიცავს იმპორტიორისთვის დამახასიათებელ ყველა სპეციფიკურ ფაქტორს, რომლებიც ქმნიან იმპორტიორის მთლიან მოთხოვნას (როგორცაა იმპორტიორი ქვეყნის მშპ), ხოლო S_i მოიცავს ექსპორტიორისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფაქტორებს (როგორცაა ექსპორტიორის მშპ), რომლებიც წარმოადგენს მთლიან რაოდენობას, რომლის მიწოდება სურთ ექსპორტიორებს. G არის ცვლადი, რომელიც არ არის დამოკიდებული i ან j -ზე, როგორცაა მსოფლიო ლიბერალიზაციის დონე. და ბოლოს, ϕ_{ij} წარმოადგენს i -ის ექსპორტიორის მარტივად წვდომას j ბაზარზე (ანუ ორმხრივი სავაჭრო ხარჯების ინვერსიას).

ჩვენს მიერ ზემოაღნიშნულ ნაწილში განხილული თეორიისა და ემპირიული კვლევის მიხედვით კარგად ჩანს, რომ გრავიტაციის მოდელზე ძირითადად გავლენას ახდენენ ცვლადები, როგორცაა i და j ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი გამოსახული მილიარდ აშშ დოლარში, i და j ქვეყნების მოსახლეობა გამოსახული მილიონ ადამიანში, რელიგია და სავაჭრო გახსნილობა i და j ქვეყნებში, მანძილი i და j ქვეყნებს შორის გამოსახული კილომეტრებში, საერთო საზღვარი და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები. ორმხრივი ვაჭრობის გრავიტაციული განტოლების განმსაზღვრელი მოდელი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$\log Btrade_{ijt} = \alpha_0 + \alpha_1 \log GDP_{it} + \alpha_2 \log GDP_{jt} + \alpha_3 \log Dist_{ijt} + \alpha_4 TO_{it} + \alpha_5 TO_{jt} + Indicators_{ijt} + \epsilon_{ijt}$$

ცხრილი 18.

ცვლადების განსაზღვრა²

ცვლადები	აღწერა	წყარო
ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა	საქართველოს ექსპორტი j ქვეყანაში პლუს j ქვეყნის იმპორტი საქართველოში მილიარდობით აშშ დოლარში.	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
GDPit	i ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი მილიარდობით აშშ დოლარში.	მსოფლიო ბანკის მონაცემები Data indicators https://data.worldbank.org/
GDPjt	j ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი მილიარდობით აშშ დოლარში.	მსოფლიო ბანკის მონაცემები Data indicators https://data.worldbank.org/
POPi	i ქვეყნის მოსახლეობა მილიონებში	მსოფლიო ბანკის მონაცემები Data indicators https://data.worldbank.org/
POPj	j ქვეყნის მოსახლეობა მილიონებში	მსოფლიო ბანკის მონაცემები Data indicators https://data.worldbank.org/
Rel	რელიგია (დიქტომიური ცვლადი), ქრისტიანული ქვეყანა – 1, სხვა რელიგია – 0.	CEPII http://www.cepii.fr
TO it	ვაჭრობის ლიბერალიზაცია ან ვაჭრობის გახსნილობა იზომება ექსპორტით და იმპორტით, როგორც პროცენტი საქართველოს მშპ-ში.	მსოფლიო ბანკის მონაცემები Data indicators https://data.worldbank.org/
TO jt	ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ანუ ვაჭრობის გახსნილობა, იზომება ექსპორტით და იმპორტით, როგორც პარტნიორი ქვეყნის მშპ-ის პროცენტი.	მსოფლიო ბანკის მონაცემები Data indicators https://data.worldbank.org/
Distance (TC)	მანძილი i და j ქვეყნებს შორის კილომეტრებში.	CEPII http://www.cepii.fr https://distancecalculator.globefeed.com/
CB	საერთო საზღვარი i და j ქვეყნებს შორის (დიქტომიური ცვლადი).	CEPII http://www.cepii.fr
FTA	თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება i-სა და j-ს ქვეყნებს შორის (დიქტომიური ცვლადი).	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge

² დეტალურ მონაცემთა ბაზა იხილეთ დანართში.

მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თანამედროვე სამეცნიერო სფეროში აღიარებული პროგრამა EViews 12 (EViews, 2023), რომელიც რაოდენობრივი კვლევისთვის მრავალი სხვადასხვა მეთოდის გამოყენების საშუალებას იძლევა. EViews 12 არის ეკონომეტრიული, სტატისტიკური და პროგნოზირების თანამედროვე ანალიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც მთელს მსოფლიოში გამოიყენება ეკონომეტრიკისა და დროის სერიების ანალიზის სწავლებისთვის. EViews-ის გამოყენებით შესაძლებელია მონაცემების ეფექტიანად მართვა, აგრეთვე ეკონომეტრიული და სტატისტიკური ანალიზის განხორციელება.

3.2 მონაცემთა ანალიზი და ემპირიული კვლევის შედეგები

ერთ-ერთი მთავარი საკითხი გრავიტაციული განტოლების შეფასებისას არის ჯვარედინ მონაცემთა სიმრავლის დამოკიდებულების ტესტირება. გარეშე ფაქტორებიდან გამომდინარე, დროის მწკრივები სხვადასხვა ჯვარედინი მონაცემების სიმრავლეთა ერთეულებისთვის იღებენ ტესტირებაში მონაწილეობას. ფართოდ გავრცელებულმა ჯვარედინ მონაცემთა სიმრავლის დამოკიდებულებამ, სადაც ყველა ერთეული ერთსა და იმავე კვეთაში არის თავმოყრილი, შეიძლება გავლენა იქონიოს პანელის მონაცემებზე. ეს ჩვეულებრივ მიეკუთვნება გარკვეული შეუმჩნეველი საერთო ელემენტების ზემოქმედებას, რომლებიც გაზიარებულნი არიან ყველა ერთეულის მიერ და ზემოქმედებენ თითოეულ მათგანზე, თუმცა განსხვავებულად (Henningsen & Henningsen, 2019). შედეგად, განხორციელდა ჯვარედინ მონაცემთა სიმრავლის დამოკიდებულების ტესტირება (Breusch & Pagan, 1980). Pesaran-ის (2004) ჯვარედინ მონაცემთა სიმრავლის დამოკიდებულების ტესტირების შედეგების 5%-იან დონეზე ნულოვანი ჰიპოთეზა შეიძლება უარყოფილი იყოს. შედეგად, პანელური დროის მწკრივებიდან მიღებულ მონაცემებში კარგად ჩანს ძლიერი ჯვარედინი დამოკიდებულება.

ცხრილი 19.

პანელის ჯვარედინი დამოკიდებულების (CD) ტესტი

Test	Statistic	d.f.	Prob.
Breusch-Pagan LM	4137.828	946	0.0000
Pesaran scaled LM	73.38020		0.0000
Pesaran CD	25.49103		0.0000

წყარო: ავტორის დათვლები გაკეთებულია პროგრამაში EViews 12 (EViews).

საქართველოში ორმხრივი ვაჭრობის შესაფასებლად გამოვიყენეთ შემდეგი ეკონომეტრიკული ტექნიკა: EGLS, Two Stage-EGLS და GMM. ცხრილში 20 მოცემულია ჩვენი

შეფასების შედეგები, რომელმაც შეისწავლა გრავიტაციული მოდელის ცვლადების გავლენა ორმხრივ ვაჭრობაზე საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის (იხ. ცხრილი 17). მე-20-ე ცხრილში წარმოდგენილი შეფასების შედეგები მიუთითებს, რომ დაზუსტებული R-კვადრატი, რომელიც ზომავს ცვლადების მორგების სისწორეს, საკმარისად დიდია ყველა მოდელისთვის, რაც ვარაუდობს, რომ სავაჭრო ნაკადების ვარიაციების დაახლოებით 80 პროცენტი ერთობლივად აიხსნება 2000-2021 წლების პერიოდებზე მოცემული ამხსნელი ცვლადებით.

ცხრილი 20.

გრავიტაციული მოდელის შედეგები (დამოკიდებული ცვლადი: საქართველოს მთლიანი ვაჭრობა პარტნიორ ქვეყნებთან)

Independent variable (დამოუკიდებელი ცვლები)	EGLS	Two stage EGLS	GMM
LN_GDPG	1.315335*	1.300699***	1.697081***
	(0.718387)	(0.387731)	(0.556041)
LNGDP_P	0.370771***	0.370775***	0.259989***
	(0.044670)	(0.032516)	(0.039160)
LN_POP_PC	0.396875***	0.396850***	0.498059***
	(0.042149)	(0.035700)	(0.043437)
LN_POPG	-16.51219***	-16.64678***	-13.56706***
	(5.268422)	(3.311422)	(4.763021)
FTA	-0.950541***	-0.950499***	-0.539084***
	(0.105879)	(0.179155)	(0.196750)
CB	2.186565***	2.186616***	2.195464***
	(0.064148)	(0.072306)	(0.096345)
RELIGION	-0.306948***	-0.306898***	-0.275751***
	(0.034079)	(0.073260)	(0.097499)
TC_DISTANCE	-0.000340***	-0.000340***	-0.000234***
	(1.91E-05)	(2.71E-05)	(3.35E-05)

TO	-2.01E-08***	-2.01E-08***	-2.12E-08***
	(4.52E-09)	(4.74E-09)	(5.37E-09)
TO_GEO	-0.001626	-0.001554	-0.002986
	(0.007288)	(0.004402)	(0.006366)
C	222.9338***	225.3067***	170.0197***
	(95.06808)	(58.15446)	(83.59388)
R-squared	0,86	0,86	0,767
Adjusted R-squared	0,859	0,859	0,764
S.E. of regression	0,931	0,931	0,949
Durbin-Watson stat	0.356596	0.356864	0.345884

წყარო: ავტორის შეფასება

შენიშვნა: ***, ** და * შესაბამისად მიუთითებს მნიშვნელოვან 1%, 5% და 10%.

ემპირიული შედეგები აჩვენებს რომ 1%-იან დონეზე მშპ-ის კოეფიციენტი არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ყველა მოდელისათვის. აღნიშნული ცვლადი დადებით გავლენას ახდენს სავაჭრო ნაკადებზე. როგორც ჩანს, ვაჭრობის გახსნილობა (იმპორტს პლუს ექსპორტი შეფარდებული მშპ-სთან), უარყოფით როლს თამაშობს საქართველოს ორმხრივ ვაჭრობაში. 2000-2021 წლებში აღნიშნულ ფაქტორს გააჩნია უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კოეფიციენტები. ბუნებრივია, გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც საგარეო ვაჭრობის გახსნილობაში აისახება, დაკავშირებულია მწვავე საერთაშორისო კონკურენციის გადადინებასთან ქვეყნის შიგა ბაზარზე, რაც სავაჭრო პარტნიორებს ურთულეს გაყიდვების შემდგომ ზრდას. ასეთი შედეგი ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების კომპანიების მხრიდან საექსპორტო სტრატეგიებიდან პირდაპირი ინვესტიციების სტრატეგიაზე გადართვას.

თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება უარყოფით გავლენას ახდენს სავაჭრო ნაკადებზე და ეს გავლენა არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ვფიქრობთ რომ საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები სრულად არ არის ამოქმედებული. ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებენ ქართველი ეკონომისტები,

მაგალითად ლაღანიძე და რამიშვილი (2017) თავის ნაშრომში „საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები“, ექსპორტის ზრდას არ უკავშირებენ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს. მსგავსი შედეგი დაფიქსირდა ირშადისა და ქსინის (2018) ნაშრომში, რომელიც იკვლევდა პაკისტანის ორმხრივ ვაჭრობას პარტნიორ ქვეყნებთან.


საქართველოს სავაჭრო ნაკადებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან და დადებით გავლენას ახდენს პარტნიორი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე, რომელიც უარყოფით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებაში იმყოფება სავაჭრო ნაკადებთან. ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას, ერთი მხრივ ტრანსფორმაციული შოკის დაძლევის შემდგომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპებით, და მეორეს მხრივ გაზრდილი ემიგრაციული ნაკადებით, რაც თავის მხრივ ქვეყანაში ცხოვრების დაბალი დონითაა განპირობებული.

გეოგრაფიული დისტანცია ასევე უარყოფით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავაჭრო ნაკადებზე 1%-იან დონეზე. თუმცა ეს გავლენა არ არის დიდი და მნიშვნელოვანი. სამივე ტექნიკის რეგრესიული შედეგები გვიჩვენებს, რომ საერთო საზღვარი დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავაჭრო ნაკადებზე. ხოლო რელიგიური განსხვავებები უარყოფით სტატისტიკურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებაში იმყოფება ვაჭრობასთან.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების ემპირიული ანალიზის შემდეგ გრავიტაციის რეგრესიული განტოლების შედეგებზე დაყრდნობით გამოვთვალეთ საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-თან. შეფასებული რეგრესიული განტოლების შედეგები მიღებულია საქართველოსა და 44 პარტნიორ ქვეყანასთან 2000-2020 წლებში ემპირიული ანალიზის საფუძველზე.


დიაგრამა 8.

აშშ-სთან საქართველოს სავაჭრო პოტენციალი (EGLS)




დიაგრამა 9.

საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-სთან (ორი ეტაპიანი -EGLS) (Two stage -EGLS)



დიაგრამა 10. აშშ-თან საქართველოს სავაჭრო პოტენციალი (GMM)



აშშ-თან საქართველოს სავაჭრო პოტენციალის შესაფასებლად გამოვიყენეთ შემდეგი ფორმულა: $\Delta T = \text{პოტენციური სავაჭრო ღირებულება} - \text{ფაქტობრივი სავაჭრო ღირებულება}$ (Irshad & Xin, 2018), სადაც დადებითი მნიშვნელობა გულისხმობს მომავალში ვაჭრობის გაფართოვების შესაძლებლობას, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ საქართველომ გადააჭარბა აშშ-თან სავაჭრო პოტენციალს. დიაგრამა 1, 2 და 3 გვიჩვენებს საქართველოს სავაჭრო პოტენციალს აშშ-თან. დიაგრამა 1-ში მოცემულია საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-თან EGLS ტექნიკის გამოყენებით, დიაგრამა 2-ში ნაჩვენებია ორ საფეხურიანი Two stage-EGLS ტექნიკის გამოყენებით, ხოლო დიაგრამა 3-ში განსაზღვრულია GMM ტექნიკის გამოყენებით. თითოეული ტექნიკა გამოყენებულია გრავიტაციული მოდელის განტოლების შესაფასებლად. ყველა ტექნიკის საშუალებით მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ მიუხედავად აშშ-ის დიდი და მიმზიდველი ბაზრისა საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-თან არის სუსტი და გამოუყენებელი ქართული ექსპორტის ნაკლები დივერსიფიკაციის, სუსტი კონკურენტული უპირატესობის, აშშ-ში დაწესებული მაღალი სტანდარტების და მაღალი სატრანსპორტო ხარჯების გამო. სუსტი კონკურენტული უპირატესობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ჭარბობს დაბალი დამატებითი ღირებულების პროდუქტები.

დასკვნა

XXI საუკუნეში სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ვაჭრობაში. მათი მთავარი მიზანია ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად საერთაშორისო არენაზე პოზიციების გამყარება. საერთაშორისო ბიზნესი თავის განვითარების პიკს აღწევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებში. საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის მთავარ შემადგენელ კომპონენტს. უნდა აღინიშნოს რომ ეკონომიკური თეორიის არცერთი ნაწილი არ არის ისეთი წინააღმდეგობრივი, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის თეორია და პოლიტიკა, შესაბამიად საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ახსნა რომელიმე ერთი თეორიით შეუძლებელია, ამიტომ უნდა მოხდეს მისი კომპლექსური შესწავლა. საყოველთაოდ ცნობილ საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკურ თეორიებს მოჰყვა თანამედროვე თეორიები, რომელთა აუცილებლობა განპირობებული იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში გამოწვეული ცვლილებებით.

საერთაშორისო ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების უფრო კომპლექსურ ანალიზს გვთავაზობს კონკურენტუნარიანობის კონცეფციები. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია როგორც შიდა, ისე გარე მოქმედ ფაქტორებზე. PESTEL ანალიზი საუკეთესო მექანიზმია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სამართლებრივი ფაქტორების წარმოსაჩენად, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის მაკრო გარემოზე.

საერთაშორისო ვაჭრობის საკითხების შესწავლისა და ქვეყნების მსოფლიო ბაზართან ინტეგრაციის პრობლემის კვლევაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის გრავიტაციულ მოდელს. გრავიტაციის მოდელი ასევე გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში ვაჭრობაზე ხელშეკრულებებისა და კავშირების გავლენის შესაფასებლად. გრავიტაციული განტოლება წარმატებით გამოიყენება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების (FTA) სავაჭრო ნაკადებზე ზემოქმედების კვლევისას.

სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველოსა და აშშ-ის შორის თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია დაფუძნებულია სტრატეგიულ პარტნიორობაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება მნიშვნელოვანია საქართველოსათვის.

საქართველოსა და მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის აშშ-ის ბიზნეს გარემოს გასაანალიზებლად სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია PESTEL - ანალიზი. სადაც გამოვლინდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი და სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორივე ქვეყნის მაკრო გარემოზე. განხორციელებული კვლევის საფუძველზე მიღებულ იქნა PESTEL ანალიზის შედეგების შეჯამება მეტა - მატრიცაში, რომელიც მოიცავს არსებულ ტენდენციებს, შესაძლო გამოწვევებსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს. კვლევამ გამოავლინა, რომ საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, საქართველოსათვის ძირითად გამოწვევად რჩება მაკროეკონომიკური გარემოს ნაკლები სტაბილურობა, ქვეყანაში არსებულ მაღალი ინფლაცია, კანონის უზენაესობის დაბალი დონე, სამართლიანი სასამართლოს არ ქონა, მაღალი დონის კორუფცია, ინფრასტრუქტურული გამოწვევები და ინოვაციური განვითარების დაბალი მაჩვენებლები. საქართველოში არაერთი სისტემური რეფორმის წარმატებულმა და ეფექტიანმა განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება საერთაშორისო რეიტინგებში.

საქართველო დღეისათვის მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანასთან ეკონომიკურ ურთიერთობებს აწარმოებს ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებებით. ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე დღეისათვის საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულ 3 500-მდე დასახელების პროდუქციაზე ვრცელდება GSP (პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა) სავაჭრო რეჟიმი, რაც აშშ-ში ქართული პროდუქციის შეღავათიანი საბაჟო განაკვეთით ექსპორტის საშუალებას იძლევა.

დღეისათვის საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, რომლის დაძლევა სხვადასხვა მიმართულებით ძალიან აქტიურ

მუშაობას მოითხოვს. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებთან თავისუფალი ვაჭრობის არსებობა.

ემპირიული კვლევებით დადგინდა, რომ საერთაშორისო თუ ორმხრივ ვაჭრობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორისაა გეოგრაფიული მდებარეობა, ქვეყნებს შორის მანძილი, სასაზღვრო ბარიერები, ქვეყნის ეკონომიკური სიდიდე და მშპ, აგრეთვე საერთო კულტურისა და რელიგიის გაზიარება.

კვლევაში გამოყენებული ორმხრივი ვაჭრობის გრავიტაციის მოდელი შეფასდა სამი საუკეთესო EGLS, two-stage EGLS და GMM ტექნიკით, რომელიც მოიცავდა შემდეგ ცვლადებს: მშპ, მოსახლეობა, საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების სავაჭო ღიაობა და მანძილი. ბინალურ ცვლადებად გამოყენებულია რელიგია, საერთო საზღვრები და სავაჭრო შეთანხმებები.

კვლევაში ასევე გამოვლენილია, რომ საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-თან სუსტია, რაც გამოვთვალეთ გრავიტაციის რეგრესიული განტოლების შედეგებზე დაყრდნობით. შეფასებული რეგრესიული განტოლების შედეგები მიღებულია საქართველოსა და 44 პარტნიორ ქვეყანასთან 2000-2020 წლებში ემპირიული ანალიზის საფუძველზე.

ყველა ტექნიკის საშუალებით მიღებული შედეგებით გამოვლინდა, რომ მიუხედავად აშშ-ის დიდი და მიზიდველი ბაზრისა საქართველოს სავაჭრო პოტენციალი აშშ-თან არის სუსტი და გამოუყენებელი ქართული ექსპორტის ნაკლები დივერსიფიკაციის, სუსტი კონკურენტული უპირატესობის, აშშ-ში დაწესებული მაღალი სტანდარტების და მაღალი სატრანსპორტო ხარჯების გამო. სუსტი კონკურენტული უპირატესობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ჭარბობს დაბალი დამატებითი ღირებულების პროდუქტები.

რეგრესიის განტოლების პარამეტრული ტესტით დადგინდა, რომ წარმოდგენილი ყველა ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, გარდა საქართველოს სავაჭრო

გახსნილობის. კერძოდ მშპ, მოსახლეობა, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, საერთო საზღვარი, დისტანცია, რელიგია და პარტნიორი ქვეყნის ვაჭრობის გახსნილობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადებია. თუმცა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, ვაჭრობის გახსნილობა, რელიგია და დისტანცია უარყოფით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავაჭრო ნაკადებზე, მაშინ როდესაც, მშპ, მოსახლეობის ზომა და საერთო საზღვარი დადებით დამოკიდებულებაში იმყოფება სავაჭრო ნაკადებთან. მიუხედავად იმისა რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების მთავარი მიზანი პარტნიორ ქვეყნებს შორის სავაჭრო ნაკადების ზრდაა, რასაც როგორც წესი მონაწილე ქვეყნები გრძელვადიან პერსპექტივაში აღწევენ, ჩვენმა კვლევამ საპირისპირო შედეგი აჩვენა. საქართველოს შემთხვევაში თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება სავაჭრო ნაკადებთან, რაც ვფიქრობთ საქართველოს მიერ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების უპირატესობათა არასრულყოფილი გამოყენებითაა გამოწვეული.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში გამოყენებული ცვლადები საკმარისად ასახავს საქართველოს ორმხრივ ვაჭრობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენას, ვფიქრობთ სამომავლო კვლევისათვის საინტერესო იქნება სხვა ცვლადების დამატება, როგორცაა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების და ვაჭრობის შეზღუდვების სხვა ფაქტორების გავლენა ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Akman, E. (2016). The facilitating role of visa policies on international trade and foreign direct investment. doi:DOI:10.1080/14683849.2016.1232589
- Anderson, J. E., & Yotov, Y. V. (2010). The Changing Incidence of Geography. *American Economic Review*, 100(5), 2157-86. doi:10.1257/aer.100.5.2157
- Baier, S. L., & Bergstrand, J. H. (2001, February). The growth of world trade: Tariffs, transport costs, and income similarity. *Journal of International Economics*, 53(1), 1-27. doi:10.1016/S0022-1996(00)00060-X
- Baier, S. L., & Bergstrand, J. H. (2007, March 8). Do Free Trade Agreements Actually Increase Members' International Trade? *Journal of International Economics*, 72-95. doi:10.1016/j.jinteco.2006.02.005
- Baldwin, R. (2006). The Great Unbundlings. 22.
- Barney, B. J. (1995). Looking inside for Comp. Adv. . *Academy of Management Executive*, 9(4), 49-61. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/4165288?seq=1>
- Bergstrand, J. H. (1985, August). The gravity equation in international trade: some microeconomic foundations and empirical evidence. *The Review of Economics and Statistics*, 67(3), 474-481. doi:10.2307/1925976
- Bialynichka-Birula, J. (2015). Modeling international trade in art. Modified gravity approach. *Procedia Economics and Finance*(30), 91-99. doi:10.1016/S2212-5671(15)01258-7
- Bloomberg. (2020). Retrieved August 4, 2020, from <https://www.bloomberg.com/news/articles/2018-06-01/environmental-activism-blooms-in-tbilisi-georgia>.
- Boulhol, H., Serres, A., & Molnar, M. (2008). The Contribution of Economic Geography to GDP per Capita. *OECD Journal: Economic Studies*, 2008.
- Breusch, T. S., & Pagan, A. R. (1980). The Lagrange multiplier test and its applications to model specification in econometrics. *The Review of Economic Studies*, 47(1), 239-253.
- Carrere, C., Mrazova, M., & Neary, P. J. (2020, April 2). Gravity without Apology: The Science of Elasticities, Distance, and Trade. *The Economic Journal*, 130(628), 880-910. doi:10.1093/ej/ueaa034
- CATO Institute. (2019). *CATO INSTITUTE 2019 ANNUAL REPORT*. Retrieved from <https://www.cato.org/>
- CEPII. (2023). *CEPII Research and Expertise on the World Economy*. Retrieved from <http://www.cepii.fr>.
- CFR. (2022). *The Council on Foreign Relations*. Retrieved from <https://www.cfr.org/>.
- Chang, M. H., Rugman, A. M., & Verbeke, A. (1995). The generalized double diamond approach to international competitiveness. *Research in Global Strategic Management*, 5, 97-114. doi:10.1016/S1064-4857(95)05005-1

- Cinar, E., Johnson, M., & Geusz, K. (2016). Estimating Chinese trade relationships with the Silk Road countries. *Journal China and World Economy*, 24(1), 85-103. doi:10.1111/cwe.12145
- Congressional Research Service. (2020). *The North American Free Trade Agreement*. Retrieved July 30, 2020
- CPI. (2022). *Corruption Perception Index*. Transparency International. Retrieved from <https://www.transparency.org/>
- CPI. (2022). *U.S. BUREAU OF LABOR STATISTICS*. Retrieved from <https://www.bls.gov/cpi/>.
- Darmayadi, A., & Megits, N. (2023). The impact of the Russia-Ukraine war on the European Union economy. *Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR)*, 10(1), 46-55. doi:10.15549/jeecar.v10i1.1079
- DC. (2023). *Distance calculator*. Retrieved from <https://distancecalculator.globefeed.com>.
- Deadroff, A. (1998). Determinants of Bilateral Trade: Does Gravity Work in a Neoclassical World? (J. A. Frankel, Ed.) *University of Chicago Press*.
- Dell'Ariccia, G. (1999, August). Exchange Rate Fluctuations and Trade Flows: Evidence from the European Union. *IMF Staff Papers*, 46(3,5), 315-334.
- Disdier, A., & Head, K. (2008). The Puzzling Persistence of the Distance Effect on Bilateral Trade. *Review Economics and Statistics*(90), 37-48.
- Doing Business. (2020). *Doing Business 2020*. Retrieved from <https://www.worldbank.org/en/news/feature/2019/10/24/doing-business-2020-sustaining-the-pace-of-reforms>: <https://www.doingbusiness.org>
- Dragusha, B., Hasaj, B., Kruja, A., & Lulaj, E. (2023). The impact of foreign trade liberalization on Albania's economic growth: An econometrical approach. *Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR)*, 10(2), 189-200. doi:10.15549/jeecar.v10i2.1097
- DSUSA. (2023). *Office of the Historian*. Retrieved from <https://history.state.gov/countries/georgia>.
- Dunning, J. H. (1992). The competitive advantage of countries and the activities of transnational corporations. *Transnational Corporations*, 1(1), 135-168.
- Dunning, J. H. (1993). Internationalizing Porter's diamond. *Management International Review*, 33(2), 7-15.
- Dunning, J. H. (1993). The Globalization of Business, The Challenges of the 1990s. *Routledge*, 127.
- ECA. (2020). *Georgia: Towards Green and Resilient Growth. ECA Sustainable Development Environment, Natural Resources & Blue Economy*. World Bank 2020. Retrieved from www.worldbank.org
- Econlib. (n.d.). *The Library of Economics and Liberty*. Retrieved from <http://www.econlib.org/library/Enc/Mercantilism.html>: <https://www.econlib.org/>
- EIU. (2020). *The Economist Intelligence Unit*. Retrieved from <https://www.eiu.com>.

- Environmental Protection*. (2022). Retrieved from <https://eponline.com>.
